პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 13—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექტ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანების საბჭოს განცხადება.
- უთანხმოება პოლონეთ - ლიტვის კომისიაში.
- ინგლისის მთავრობა შეუდგა საჰაერო [illegible] საიფუში (პალესტინა).
- ინგლისის პრესა ეგვიპტის კაბინეტის კრიზისის შესახებ.
- რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნება ბრეიტშეიდი.
- შახტის კონტრ-რევოლიუციონერთა პროცესზე დაიწყო მხარეთა კამათი.
- პროფ. გერნეტს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის სახელწოდება.

შაბათი, 30 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 150 (2193)

1928 წლის 2 ივლისს,
საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში, საღამოს 6 ს.
დანიშნულია
საქ. კომპ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის
მესამე მორიგი პლენუმი
დასწრება საქ. კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.
ც. ს. კომისიის თავმჯდომარე: ა. დოლიძე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის
კვირას, 1-ლ ივლისს კანტორა ღია იქნება
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

მიულერის მთავრობა

თვენახევრის ვაჭრობის შემდეგ, რომელიც წარმოებდა ბურჟუაზიულ პარტიებსა და სოციალ - დემოკრატებს შორის, ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახით შედგენილ იქნა ახალი მთავრობა გერმანიაში. ამ ვაჭრობამ გვიჩვენა, რომ, როგორც ეს იმ თავიდანვე ცხადი იყო, არჩევნებში გამარჯვებული მენშევიკები არსებითად ბურჟუაზიის ტყვეობაში აღმოჩნდენ. არა ისინი უკარნახებდენ თავის ნებისყოფას დამარცხებულ ბურჟუაზიულ პარტიებს, არამედ — პირიქით. და ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ სოციალ - დემოკრატებს ერთად აღებულ ყველა ბურჟუაზიულ პარტიებთან შედარებით, უმრავლესობა არა ყავთ რეიხსტაგში, არამედ უფრო იმით, რომ სოციალ - შემთანხმებელთა საპარლამენტო გამარჯვებას საერთოდ, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ნამდვილი ძალა-უფლების შეცვლის საკითხისათვის, რამდენადაც ბურჟუაზია ფაქტიურად (ეკონომიურად, და, მაშასადამე, პოლიტიკურადაც) ბატონობს, ხოლო სოციალ - შემთანხმებელთ კი აზრადაც არ მოსდით მისი პოზიციების შერყევა.

ასეთ პირობებში სოციალ - დემოკრატია, რომელიც გერმანიაში მთავრობას ჩაუდგა სათავეში, მხოლოდ კაპიტალის პოლიტიკის გამტარებელი იქნება. ამ აზრის გასაბათილებლად არ გამოდგება, მაგ., იმაზე მითითება, რომ შემთანხმებლებმა არ დაუთმეს სახალხო პარტიას, რომელიც გერმანიის მთავრობაში თავის მონაწილეობის პირობად აყენებდა მის დაშვებას პრუსიის მთავრობაშიც, მაშინ, როცა სახალხო პარტიის ხვედრი წონა პრუსიის ლანდტაგში ამის უფლებას არ აძლევს მას. პრუსიის კაბინეტის რეორგანიზაციის საკითხი, რომელიც ფორმალურად უთანხმოების მთავარ მუხლს წარმოადგენდა სახალხო პარტიისა და სოციალ - დემოკრატების შორის გერმანიის მთავრობის შედგენის შესახებ გაძართულ მოლაპარაკების დროს, — ეს საკითხი თავის - თავად თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ის წამოყენებული იყო უფრო დამატებითი ზეგავლენის მოსახდენად მენშევიკების მეთაურობით შემდგარ სრულიად გერმანიის მთავრობის მომავალ პოლიტიკის მიმართულებაზე.

სახალხო პარტიის უსაფუძვლო მოთხოვნა პრუსიის მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ სოციალ - დემოკრატიამ ჯერ - ჯერობით უარყო, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ის არსებითად იარაღს არ ყრის ბურჟუაზიის წინაშე. ჯერ ერთი, მოსალოდნელია რომ სოციალ - დემოკრატია ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნება, სახალხო პარტიის ხსენებული პრეტენზია დააკმაყოფილოს, რომ თავიდან აიცილოს რეიხსტაგში სახალხო პარტიის გადასვლა ოპოზიციაში, რასაც ადვილად შეიძლება მოყვეს მენშევიკების მიერ სამინისტრო პორთფელების დაკარგვა. ამ პორთფელებს კი ისინი მაგრა ებღაუჭებიან და მათი შენარჩუნებისათვის, როცა ეს აუცილებელი გახდება, მზად არიან ბურჟუაზიის მიმართ სრულ და აშკარა კაპიტულაციაზე წავიდნენ.

თავი რო დავანებოთ პრუსიის მთავრობის რეორგანიზაციის საკითხსაც, უამისოდაც ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატები გერმანიის მთავრობაში რაიმე საკუთარ ხაზს ვერ გაატარებენ, თუ საერთოდ მათ ასეთი რამ გააჩნიათ. ამას მოწმობს გერმანიის მთავრობის შედგენის ხასიათიც. ვერ მოხერხდა კაბინეტის შექმნა პარტიათა შეთანხმების ნიადაგზე. რადგან რეიხსტაგში ძალთა განწყობილება ისეთია, რომ დიდი კოალიციის გარეშე შემდგარი მთავრობა არ იქნება მტკიცე. შტრეზემანის წინადადებით შეიქმნა ამ კოალიციის სუროგატი, ე. ი. შესდგა კაბინეტი დიდი კოალიციის (აგრეთვე ბავარიის სახალხო პარტიის) წარმომადგენლებისაგან, ისე, რომ ამ პარტიებს არ შეუმუშავებიათ მუშაობის პროგრამა და ისინი რაიმე წინასწარ ვალდებულებას არ კისრულობენ მისთვის მხარის დაჭერის შესახებ. მიულერის კაბინეტში შემავალ პარტიებს გადაწყვეტილი აქვთ, განუცხადონ, რომ ისინი ინარჩუნებენ მოქმედების სრულ თავისუფლებას მის მიმართ და, რომ მათი დამოკიდებულება ამ მთავრობისადმი განისაზღვრება უკანასკნელის პოლიტიკით და მუშაობით. ამგვარად, ფაქტიურად დიდი კოალიცია შესდგა, მაგრამ ეს შენიშვნა მის მთავრობას სიმტკიცეს აცლის. ბურჟუაზიული პარტიები ასეთ შენიშვნას იმ მიზნით აკეთებენ, რომ შებორკონ სოციალ - დემოკრატია და მისი წარმომადგენლები მთავრობაში და ისინი თავის გავლენის ქვეშ მოაქციონ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრებიან მიულერის კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადებით და მისი დამხობით.

აშკარაა, რომ სოციალ - დემოკრატია თავის პოლიტიკას არსებითად სავსებით შეუთანხმებს ბურჟუაზიის სურვილებს. ამისათვის „ფორვერტს" უკვე ამზადებს ნიადაგს. თუ მენშევიკური არჩევნების დროს მასების მოსატყუებლად ათასნაირ სიკეთეს პირდებოდენ მათ, შემდეგ, როცა მიულერებმა მანდატები იგდეს ხელთ. — „ფორვერტს" წერს, რომ, როგორც დღემდე ისე შემდეგშიც ჩვენ - ჩვენი ნებისყოფა მხოლოდ თანდათან უნდა გავატაროთ და ანგარიში უნდა გაუწიოთ ეხლანდელ პირობებსო, ე. ი. რეიხსტაგის ბურჟუაზიულ უმრავლესობის ინტერესებსო. „ფორვერტს" ამ „ჩვენი ნების ყოფა"-ში გულისხმობს მუშათა კლასის სამსახურს, სოციალიზმის განხორციელებას. თუ როგორ ატარებდენ მენშევიკები ასეთ „ნების ყოფას", ეს ჩვენ კარგად ვიცით; მათი ნებისყოფა გამოიხატებოდა მუშათა კლასის ინტერესების სისტემატიურ გაცემაში და ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებაში. მტკიცება არ უნდა, რომ სოციალ დემოკრატიის პოლიტიკა შემდეგშიც ასეთი იქნება, იმ განსხვავებით, რომ ის ეხლა, როგორც უკვე მთავრობის მეთაური, უფრო გამოაჩენს თავის გამცემლურ ბუნებას.

მოძრაობა ჩრდილ. ექსპედიციის გაგრძელების სასარგებლოდ სამხრეთ ჩინეთში

იან-იუ-ტინი გადატრიალებას ამზადებს მანჯურიაში.-იაპონიამ გადასწყვიტა არ გაიყვანოს ჯარები ცზინანიდან

გერმანიის ახალი მთავრობა რეიხსტაგს წარუდგება 3 ივლისს

ინდოეთის პრესა ავღანისტან-თურქეთის ხელშეკრულების შესახებ

მდგომარეობა ჩინეთში

სამხრეთელები მუკდენის დაკავებას მოითხოვენ

ტოკიო, 28 ივნისი. სიმბუნ რენგოს საგენტოს ცნობით, სამხრეთელების წრეებში მოითხოვენ ჩრდილოეთის ექსპედიციის გაგრძელებას და მუკდენის დაკავებას. (ადს)

იან-იუ-ტინი გადატრიალებას ამზადებს მანჯურიაში?

ტოკიო, 28 ივნისი. ხმები დადის, თითქოს ანგოცზიუნის გენერალური შტაბის უფროსმა იან-იუ-ტინმა კავშირი გააბა სამხრეთელებთან და სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს მანჯურიაში. (ადს)

შეტაკება ჩინელებსა და იაპონელებს შორის

შანხაი, 28 ივნისი. ჩინელთა წრეებიდან მიღებული ცნობებით, შანდუნში ისევ ქონდა ადგილი შეტაკებას იაპონელებსა და სამხრეთელების ჯარებს შორის. კიაოჩაოში იაპონელებმა სცადეს იარაღი აეყარათ 200 სამხრეთელისათვის, მაგრამ უშედეგოთ. იაპონელებმა სროლა აუტეხეს სამხრეთელებს, რომლებიც გაიქცენ. ცზინანში იაპონელებმა მოახდინეს მასიური ჩხრეკა და დააპატიმრეს ასი კაცი. (ადს)

ბაი-ცზუნ-ჩი შეტევისთვის ემზადება

შანხაი, 28 ივნისი. პეკინიდან იუწყებიან, რომ მუკდენელები ემზადებიან ბაი-ცზუნ-ჩის ჯარების მოსაგერიებლად, რომლებიც თითქოს უკვე დაიძრენ მანჯურიის საზღვრისაკენ. (ადს)

სამხედრო მოქმედების რაიონის სამოქალაქო მართვა-გამგეობის კომისია

შანხაი, 28 ივნისი. გოვენის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობამ გააუქმა სამხედრო მოქმედების რაიონის სამოქალაქო მართვა-გამგეობის კომისია, გოვენი აღნიშნავს, რომ ამ კომისიის მუშაობის წყალობით პეკინში აღმოჩნდა ორი მერი. (ადს)

ძალაუფლებისათვის ბრძოლა პეკინში

შანხაი, 28 ივნისი. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს" იუწყება, რომ პეკინში დანიშნულია ორი მერი ხო ჩენ-ჩუნი და ხო ჩი-კუნი, როდესაც ენ სი-შანის მიერ დანიშნულმა ხო ჩენ-ჩუნმა დაიკავა მერის თანამდებობა, გამოირკვა, რომ ნანკინმა ფან-იუ-სიანის მოთხოვნილებით პეკინის მერის თანამდებობაზე დანიშნა ფინ-იუ-სიანის მდივანი ხო ჩი-კუნი.

ეს არის პირველი აშკარა შეტაკება იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ძალაუფლებისათვის პეკინში. (ადს)

ტანაკა იაპონიის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

ტოკიო, 28 ივნისი. იაპონიის პრემიერმა ტანაკამ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მთავრობა ვერ გაიყვანს ჯარებს ცზინანიდან, ვინაიდან იქ „წინანდებურად სამხრეთელების საშიშ გამოსვლებს აქვს ადგილიო". შეეხო რა იაპონიის მიერ ნანკინის მთავრობის ცნობის საკითხს, ტანაკამ სთქვა, რომ იაპონია ამ საკითხში ვერ მიიღებს გარკვეულ გადაწყვეტილებას. ვინაიდან ნანკინის ხელისუფლება ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა საბოლოოდ.

დასასრულ, პრემიერმა აღნიშნა „მანჯურიასა და მონღოლეთში მშვიდობიანობის დაცვის აბსოლუტური აუცილებლობა". (ადს)

ახალი გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 28 ივნისი, 28 ივნისს ისევ გაიფიცა აბრეშუმის სართავ ფაბრიკების 5 ათ. მუშა, გაფიცულები მოითხოვენ რომ მათ მიეცეს ამას წინედ დამთავრებულ გაფიცვის დღეების ხელფასი. **ყვითელი პროფკავშირის ხელმძღვანელებს საშინლად სცემეს გაფიცულებმა, რომლებმაც აგრეთვე რამოდენიმედ დააზიანეს ფაბრიკებიც.** ფაბრიკებს იცავენ ჯარები და პოლიცია. (ადს)

მიულერის კაბინეტი რეიხსტაგს წარუდგება 3 ივლისს

ბერლინი, 28 ივნისი. ახალი მთავრობა რეიხსტაგს წარუდგება 3 ივლისს, მეორე დღეს დაიწყება დიდი პოლიტიკური კამათი, რომელშიაც გამოვლენ მთავრობის მონაწილე პარტიები და გამოაცხადებენ მიულერის კაბინეტის მიმართ მოქმედების სრულ თავისუფლებას, იმის და მიხედვით, თუ რა ხაზს გაატარებს ის მომავალში.

რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ბერლინი, 28 ივნისი. რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ იქნება სოციალ - დემოკრატების ლიდერი ბრეიტშეიდი. (ადს)


შტრეზემანი

ჰერმან მიულერი
რეიხ-კანცლერი

მასიური დაპატიმრება ზაგრებში

ვენა, 28 ივნისი. სამხრეთ-სლავიის პრესის ცნობით, ზაგრებში დააპატიმრეს ზაგრების მუნიციპალიტეტის მუშურ-გლეხური ბლოკის ექვსი დეპუტატი. მეშვიდე დეპუტატი — **კრუდელი** გაიქცა. დაპატიმრებულია მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანოს რედაქტორი **ვორბა,** საოლქო სამმართველოს დეპუტატი **ხორვატინი** და მუშურ-გლეხური ბლოკის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

პოლიცია დაპატიმრებას უკავშირებს ხორვატიის დეპუტატის მოკვლასთან დაკავშირებით ზაგრებში გამართულ დემონსტრაციას და აცხადებს, რომ ეს დემონსტრაცია „კომუნისტებმა მოაწყვეს"-ო. (ადს)

გენსაბჭოს ორგანო ესალმება „თეთრ წიგნს"

ლონდონი, 28 ივნისი. პროფკავშირთა გენსაბჭოს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ორგანო „ინდუსტრიალ ნიუზ"-ის მორიგ ნომერში მთავარი ადგილი უჭირავს წერილს „თეთრი წიგნის" შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯოინსონ ხიკსმა ინგლისში „საბჭოთა ბანკების მუშაობის საკითხზე". წერილის ავტორი, გენსაბჭოს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე, **გერბერტ ტრესი,** ესალმება „თეთრი წიგნის" გამოცემას და სავსებით მხარს უჭერს ხიკსის ყველა მტკიცებებს, ხაზს უსვამს რა მათ მყვირალა სათაურებით და ცილისწამებით აღსავსე ბრალდებებით ინგლისის კომპარტიის წინააღმდეგ. (ადს).

იაპონია-საბჭოთა დაახლოვების საზოგადოებაში

ტოკიო, 28 ივნისი. გაიმართა იაპონია - საბჭოთა კავშირის დაახლოვების საზოგადოების წლიური კრება. კრებამ საპატიო თავმჯდომარედ აირჩია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში **ტროიანოვსკი.** კრებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კრების თავმჯდომარე ვიკონტი **გოტო.** (ადს)

„სამშვიდობო კონგრესი" ვარშავაში

ვარშავა, 28 ივნისი. „სამშვიდობო კონგრესი" გახსნა პოლონეთის ყოფ. ვიცე-პრემიერმა **ტუგუტმა,** რომელმაც შესავალ სიტყვაში განაცხადა, რომ პოლონელებს ყოველთვის ახასიათებდა მშვიდობიანობისადმი მისწრაფება, რის გამო მათ დაჰკარგეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მე-XVIII საუკუნის დამლევს"-ო.

პირველ სხდომაზე გამოვიდა საფრანგეთის სენატორი **ლაფონტენი** და მიესალმა მთლიან დამოუკიდებელ პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენას.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ სენატორმა ლაფონტენმა ნაციონალ დემოკრატების ორგანო „ეპოკა"-ს თანამშრომელთან საუბარში, სხვათა შორის, სთქვა, რომ ის წინააღმდეგია ახალწვეულთა კონტინგენტის შემცირებისა საფრანგეთში. პოლონეთი, მისი აზრით, აუცილებლობის გამო, არის „მილიტარიზაციაქმნილი და არა მილიტარისტული" ქვეყანა.

შემდეგ ლაფონტენმა ურჩია პოლონეთს ხელი შეუწყოს აღმოსავლეთის ლოკარნოს ჩამოყალიბებას. ლაფონტენმა აგრეთვე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს, შინაური მდგომარეობის გამო, არ შეუძლია პოლონეთთან ომი, და იწინასწარმეტყველა, რომ „საბჭოთა კავშირში გადატრიალება" მოხდებაო.

პოლონეთის მთელი რიგი გაზეთები, კონგრესისადმი მიძღვნილ წერილებში ხაზს უსვამენ არსებულ ხელშეკრულებების უცვლელად დატოვების აუცილებლობას. (ადს).

ინდოეთის პრესა ავღანისტან-თურქეთის ხელშეკრულების შესახებ

ქაბული, 28 ივნისი. ინდოეთის ნაციონალური პრესა ერთსულოვნად ესალმება მეგობრობის ხელშეკრულების დადებას ავღანისტან-თურქეთს შორის.

„ინდუსტან ტაიმს"-ი, ეხება რა ხელშეკრულებას, სწერს:

„ამ ხელშეკრულების დადება საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ ფადიშაჰი ამანულა ვერ შეაცდინა დასავლეთის გადაჭარბებულმა თავაზიანობამ და პირფერობამ და არ ჩაება დასავლეთის სახელმწიფოების შემჭიდროებულ კავშირში. ამანულა ცდილობს აიყვანოს ავღანისტანი თანამედროვე პროგრესის დონეზე, მრავალ დარგში მან უკვე მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს. ამანულა ყოველგვარ ზომებს ღებულობს აინაზღაუროს დაკარგული დრო. მან უმჯობესად სცნო აღმოსავლეთის მრჩევლების მიწვევა და არ მიმართა საშიშ ევროპიელ ექსპერტებს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ მას თავისი წინადადებებით. დასავლეთის მრჩევლები ხშირად დასავლეთის ექსპლოატატორების წინამძღოლნი არიან. ამანულამ ეს გაითვალისწინა და ამიტომ **იგი უმჯობესად სთვლის არ დაუახლოვდეს დასავლეთის იმპერიალისტებს, რათა თავის ქვეყანა სახიფათო მდგომარეობაში არ ჩააყენოს მათი ინტრიგების მეოხებით".**

დასასრულ, გაზეთი აცხადებს, რომ შეკავშირებული ავღანისტანი და თურქეთი საიმედო დასაყრდენი იქნებიან ევროპის სახელმწიფოების შემოტევის წინააღმდეგ. (ადს).

წითელ ფრონტელთა დევნა

ბერლინი, 28 ივნისი. ოპპელნის (სილეზია) პოლიციის უფროსმა აკრძალა წითელ ფრონტელების ადგილობრივ ორგანიზაციის საოლქო ალლუმი, რომელიც 1 ივლისისათვის იყო დანიშნული. ამავე დროს პოლიციამ ფაშისტური ორგანიზაციის — „ფოლადის მუზარადის" ადგილობრივ განყოფილებას ნება დართო გამართოს ალლუმი 1 ივლისს.

დანციგის პოლიციამ წითელ ფრონტელებს აუკრძალა ფორმის ტარება დემონსტრაციებსა და კრებების ღია ცის ქვეშ მოწყობის დროს. ამ ბრძანების საპასუხოდ დანციგის მუშებმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია.

შვეიცარიის პროლეტარულმა ორგანიზაციამ — „მუშათა თავდაცვამ" შაფჰაუზში მოწყობილ „წითელ დღეზე" დასასწრებლად მიიწვია გერმანიის წითელ ფრონტელების კავშირის წარმომადგენლები. შვეიცარიის მთავრობამ არ მისცა ვიზა გერმანელ წითელ ფრონტელებს. დემონსტრაციის დროს შაფჰაუზში მუშათა თავდაცვის წევრებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა (ადს).

ინტერვენცია ჩინეთში და წყნარ ოკეანეს პრობლემა

მანჯურია უკვე დიდი ხანია წარმოადგენს იაპონიის იმპერიალიზმის ზრახვების ობიექტს. მას შემდეგ, რაც იაპონიამ მტკიცედ მოიკიდა იქ ფეხი, პორტსმუტის ზავის დროიდან, უკვე მეოთხედმა საუკუნემ განვლო. იაპონიამ ყოველმხრივ გამოიყენა ეს პერიოდი, რათა განემტკიცებია თავისი როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური პოზიციები. მისი გავლენის გამტარებლად მანჯურიაში იყო სამხრეთ - მანჯურიის რკინის გზა, ხოლო მის პოლიტიკურ აგენტად თითქმის თავის სიკვდილამდე რჩებოდა ჩან-ძო-ლინი.

1926 წელში მძლავრად აზვირთებულმა რევოლიუციონურმა ტალღამ, რომელმაც გადაიარა მთელ სამხრეთ და ცენტ. ჩინეთზე და რომელიც ემუქრებოდა ჩრდილოეთ პროვინციებ-საც აიძულა იაპონელი იმპერიალისტები ფეხი ზლად ყოფილიყვნენ. თუ გამარჯვებით დამთავრდებოდა ლაშქრობა ნაციონალური არმიისა, რომელსაც მხარს უჭერდნენ ფართო მასები და რომელიც მაშინ კიდევ თამაშობდა რევოლიუციონურ როლს, — ჩინეთის გაერთიანება სრულებით არ იყო შეუძლებელი. მაშინ მანჯურიის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა იაპონიის წინაშე. მართლაც ცენტრალური მთავრობა, რომელსაც შეეძლო დაეწყო ლაპარაკი მთელი ჩინეთის სახელით, არ დააყოვნებდა თავისი უფლებების წარდგენას მანჯურიაზე. და აი, რათა თავიდან აეცილებია საქმის მისთვის არასასიამოვნოდ შებრუნება, იაპონია შეუდგა მოქმედებას. დამახასიათებელია, რომ ჩრდილოეთზე ლაშქრობის გაჩაღების მომენტში, ხანკოუს დაცემის შემდეგ იაპონია აძლევდა სამხრეთელებს სესხს 30 მილიონი დოლარის რაოდენობით, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი პეკინის აღების შემდეგ აღარ გაილაშქრებდნენ მანჯურიაზე. ჩან-კაი-შის ღალატმა ნაციონალური რევოლიუციის საქმისადმი იაპონიას ამოცანა გაუადვილა. აშკარა მილიტარისტებთან შეთანხმება სიძნელეს არ წარმოადგენს: უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მოქმედება ძალით. იაპონია სწორედ ასე მოიქცა. როდესაც ჩინელ მუშების და გლეხების სისხლში გასვრილმა ჩან-კაი-შიმ სცადა დაემთავრებია ლაშქრობა, რომელიც დაიწყო მან, როგორც ნაციონალურ - რევოლიუციონური არმიის მთავარ სარდალმა, იაპონია შიეშველა ჩრდილოელ მილიტარისტებს. დაახლოვებით ამავე დროს იაპონიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის „დადებით" პოლიტიკაზე გადადის მანჯურიაში. ამერიკულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ჩაინა უიკლი რევიუ"-მ, რომელიც შანხაიში გამოდის, როდესაც კომენტარიებს უკეთებდა იაპონიის დამამშვიდებელ განცხადებებს ღია კარების პრინციპის დაცვის შესახებ, სრულიად სამართლიანად ახსნა იაპონიის პოლიტიკის ახალი გეზი, როგორც მანჯურიის და მონღოლეთის „ღია კარების" დახურვა. მართლაც, იაპონიამ არ დააყოვნა სიტყვებიდან საქმეზე გადასვლა. ტანაკას მთავრობის მიერ ჩან-ძო-ლინისათვის წარდგენილი ულტიმატუმი და მოვლენათა შემდგომი მსვლელობა საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებს ამას. ამჟამად უცხოეთის პრესა უკვე იმაზე მსჯელობს, თუ რა ფორმით განახორციელებს იაპონია მანჯურიის დაკავებას, — პროტექტორატის გამოცხადების სახით მოხდება ეს, თუ გამოცხადებული იქნება მანჯურიის ეგრედწოდებული დამოუკიდებლობა. იაპონიის ნამდვილი ზრახვები ყველასთვის აშკარაა.

უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ „ინტერესები ჩინეთში" — ინგლისი და შეერთებული შტატები, სრულიად სხვადასხვანაირად აფასებენ იაპონიის ავანტიურას. მაშინ, როდესაც ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ჩემბერლენი პარლამენტში მიცემული შეკითხვის საპასუხოდ დაკმაყოფილდა ორჭოფული განცხადებით, რომ მან „არაფერი არ იცის" იაპონიის განზრახვების შესახებ, ჩრდ. ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრი კელოგი აცხადებს, რომ ამერიკა არ სცნობს იაპონიის განსაკუთრებულ უფლებებს მანჯურიაში (თუმცა უნდა ითქვას, რომ იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ ის ჯერ-ჯერობით არავითარ ნაბიჯებს არ სდგამს). ხსენებული „ჩაინა უიკლი რევიუ" სწერს, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ „ტანაკას საჯარო განცხადებებს და ჯარების გაგზავნას (შანდუნში, ჩჟილიში, მანჯურიაში, რედ.), ეჭვს გარეშეა, რომ იაპონიის მთავრობის საბოლოო მიზანს შეადგენს ვაშინგტონის შეთანხმების პრინციპების დარღვევა, (ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საიდუმლოება არაა, რომ თვით ყბადაღებული ვაშინგტონის შეთანხმება წარმოადგენს „გავლენათა სფეროების" განაწილების ფარულ ფორმას, რედ.), რაც წარმოადგენს სერიოზული საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხს, განსაკუთრებით ამერიკისათვის, რომელიც იყო ვაშინგტონის კონფერენციის ინიციატორი და რომელიც ყოველთვის იცავდა ღია კარების და თანაბარ შესაძლებლობათა პრინციპს. როგორც ძირითად მუხლს ამერიკის პოლიტიკისას შორეულ აღმოსავლეთში".

და იმის მსგავსად, როგორც სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ ჩემბერლენი და კელოგი, ისე ინგლისური გაზეთი „ჯაპან ქრონიკლ"-ი, რომელიც იაპონიაში გამოდის და რომელიც ჩვეულებრივად ჰკიცხავს იაპონიის მთავრობის ავანტიურისტულ პოლიტიკას აზიის მატერიკზე, ეხლა ბევრად უფრო რბილად აფასებს იაპონიის ინტერვენციას, ვიდრე ამერიკული პრესა. „იმისი ფიქრი, — სწერს გაზეთი, — თითქოს ხდება ისეთივე რამ, რაც არის ანექსია, მეტისმეტი იქნებოდა. ამას ადგილი ჰქონდა კორეის მიმართ, მაგრამ მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა".

ამ განცხადებების და ორჭოფული ფრაზების აზრი საკმაოდ ნათელია. ინგლისი ერთის მხრივ ვითომ „ვერ ამჩნევს" იმ ომს, რომელსაც აწარმოებს იაპონია ჩინეთის ტერიტორიაზე, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც სჩანს ამ რამოდენიმე დღის წინად გამოქვეყნებულ ცნობიდან, თითონ გზავნის ჯარებს ჩრდილოეთ ჩინეთში, ე. ი. ფაქტიურად უერთდება იაპონიის ინტერვენციას. რაც შეეხება შეერთებული შტატების მთავრობას, როგორც მისი მოქმედებიდან სჩანს, ის აშკარა ნერვიულობას იწყებს. მართლაც, შემთხვევითი ხომ არ არის ის გარემოება, რომ ამერიკის სამხედრო მინისტრ დევისის ჩინეთში გამგზავრება მოხდა იმავე დროს, როდესაც გამოქვეყნდა ცნობა, — რომელიც შესაძლებელია ჯერჯერობით ნიადაგის მოსინჯვას წარმოადგენდეს, — იმის შესახებ, რომ ჩან სუე-ლიანმა უკვე გამოაცხადა მანჯურიის დამოუკიდებლობაო. მოვლენათა ამავე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან უთანასწორო ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების საზღვაო სამინისტროს „განმარტება", რომ ამერიკას განზრახული არა აქვს გაიწვიოს თავისი ჯარები ჩინეთიდან.

ამრიგად, საქმეს საკმაოდ სერიოზული მიმართულება ეძლევა. ინგლის-იაპონიის შეთანხმება მტკიცდება. ამერიკის იმპერიალიზმის თანდათან გაძლიერება აიძულებს ინგლისს დადგეს ტოკიოს მხარეზე. თუმცა აქ ინგლისს უხდება ანგარიშის გაწევა დომინიონებისათვის, რომლებიც უფრო შეერთებულ შტატებისაკენ მიილტვიან, ვიდრე იაპონიისაკენ.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ამბებს, რომლებიც ჩინეთში ხდება, იმპერიალისტების ბანაკის აქტივობის გაძლიერება მოწმობს იმას, რომ მათ წრეში ადგილი აქვს ღრმა წინააღმდეგობებს, რომლებიც, მიუხედავად ეგრედწოდებული „მუდმივი მშვიდობიანობის" თვალთმაქცურ პროექტების გარშემო ატეხილი განგაშისა, წარმოადგენენ გიგანტიური კატასტროფის საფრთხეს. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გადაჯგუფებას, რომელიც ხდება იმპერიალისტების ბანაკში, შორეულ აღმოსავლეთის ამბებთან დაკავშირებით.

იაპონიის შეტევითი პოლიტიკა, ინგლისის საეჭვო გულკეთილობა და შეერთებულ შტატების ნერვიულობა ისევ აყენებენ დღის წესრიგში ყველა იმ საკითხებს, რომელთა ჯამი ჰქმნის წყნარ ოკეანეს რთულ პრობლემას, ხოლო ამ პრობლემის ამა თუ იმ სახით გადაჭრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის.

„პრავდა", 29 ივნისი.

უკანასკნელი ცნობები

რეიხსტაგის სოც. - დემ. ფრაქციის დადგენილება

ბერლინი, 29 ივნისი. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმების უმრავლესობით 9-ს წინააღმდეგ, დაადგინა გაგზავნოს თავის წარმომადგენლები გერმან მიულერის კაბინეტში (ადს).

პილსუდსკი რუმინეთის კურორტებზე მიემგზავრება

ვარშავა, 29 ივნისი. გუშინ, ბუქარესტისაკენ გაფრინდა პილსუდსკის კანცელიარიის უფროსი პოლკოვნიკი ბეკი. გაზეთები იტყობინებიან, რომ მას დავალებული აქვს ჩაატაროს სამზადისი პილსუდსკის ჩამოსასვლელად რუმინეთის ერთ-ერთ კურორტზე (ადს).

ვოიცეხოვსკის პროცესი

ვარშავა, 29 ივნისი. გაზეთები—„პორანნა" და „ვარშავსკა" იტყობინებიან, რომ გამოძიება იური ვოიცეხოვსკის საქმის გამო უკვე დასრულდა. პროცესი დაიწყება მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში (ადს).

ამერიკელი დემოკრატების კანდიდატი პრეზიდენტად

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. დემოკრატიულ პარტიის ყრილობამ ნიუ - იორკის შტატის გენერალ - გუბერნატორის თანამდებობის კანდიდატათ აირჩია სმიტი (ადს).

გაზ. „დნის" დახურვა

პარიზი, 29 ივნისი. 1-ლი ივლისიდან შესწყდება რუს თეთრგვარდიელების გაზ. „დნი"-ს გამოცემა (ადს).

ამანულა ხანის ჩასვლა გერათში

ქაბული, 29 ივნისი. ქაბულში მიღებული ცნობებით ავღანისტანის ფადიშახი, ამანულა ხანი დღეს ჩამოვა გერათში (ადს).

განაჩენი კომუნისტ ბრაუნის საქმეზე

ბერლინი, 29 ივნისი. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება ყველა იმ პირთა შესახებ, რომლებიც მიცემული იყვნენ პასუხისგებაში ციხეში მყოფ კომუნისტ ბრაუნის გათავისუფლების საქმეზე.

ბრალდებულ ფილიპსს მიუსაჯეს ექვსი თვის ციხე წინასწარ დაპატიმრების ვადის ჩათვლით. ბრალდებული ზეიფერტი გაამართლეს (ადს).

იტალიის საჰაერო კომპანია

რომი, 29 ივნისი. მეფის დეკრეტით იტალიის სავიაციო საქმეთა სამინისტროს ნება ეძლევა მიიღოს მონაწილეობა ხმელთაშუა ზღვის საჰაერო კომპანიის მოწყობაში 7.200.000 ლირის ფარგლებში.

აღნიშნულ საჰაერო კომპანიას დაევალება იტალიის მთავრობის კონტროლის ქვეშ დაამყაროს საჰაერო მიმოსვლა ალბანეთთან. (ადს).

ჰაეროპლან „ლატამას" ბედი

ოსლო, 29 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

„ჩრდილოეთიდან ახლად დაბრუნებული მეთევზემ და მასთან ერთად სხვა მეთევზეებმაც, 18 ივნისს დაინახეს აეროპლანი „ლატამი", რომელიც დაფრინავდა დაახლოვებით 24 მილის დაშორებით დათვების კუნძულიდან ჩრდილო - დასავლეთით. „ლატამი" დაფრინავდა ძალიან დაბლა. გარშემო სქელი ნისლი იდგა და ჰქროდა ძლიერი ქარი. მეთევზეებს მეორე დღესაც ესმოდათ მატორის ხმა, მაგრამ თვით აპარატი არ დაუნახავთ ნისლის გამო" (ადს).

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

გოლუვკოს განცხადება

კოვნო, 28 ივნისი. პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკებაზე გაგზავნილ პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ **გოლუვკომ** კოვნოში პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ პოლონეთის დელეგაციას, წინანდელ მოლაპარაკების დროს ლიტველების მიერ პოლონეთის პროექტების უარყოფის გამო, ახალი პროექტები, არ ჩამოუტანია და მას გადაწყვეტილი აქვს გაეცნოს ლიტვის პროექტებს.

„ლეტუვოს აიდას"-ის მოწინავე წერილი

კოვნო, 28 ივნისი. ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას" ლიტვის ოპოზიციის გამოსვლებს უძღვნის მოწინავე წერილს, რომელშიაც ეხება ოპოზიციის განცხადებას, რომ „ვილნოს დაბრუნებამდე არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება პოლონეთთან".

გაზეთი სწერს: **„ეხლანდელი მოლაპარაკება არსებითად არ წარმოადგენს მოლაპარაკებას ვილნოს შესახებ. ეხლანდელი მოლაპარაკების მიზანია „მოდუს ვივენდის" დამყარება მშვიდობიანობის შენარჩუნების მიზნით".**

დასასრულ, ოფიციოზი მოუწოდებს „პოლონეთის დელეგაციის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოწყობის მსურველთ, დელეგაციას მოეპყრან ისე, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო თავაზიანობის წესები და ლიტვის ხალხის ღირსება". (ადს).

პოლონეთ-ლიტვის კომისიაში

კოვნო, 28 ივნისი. ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, პოლონეთ - ლიტვის კომისიის პირველ სხდომაზე პოლონეთის დელეგაციამ შეუძლებლად დაინახა მიეცა რაიმე დასკვნა ლიტვის პროექტზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, და განაცხადა, რომ დაუცდის დირექტივებს ვარშავიდან.

პოლონეთის მხარემ წარადგინა მოთხოვნილება იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც, თითქოს, მიაყენა პოლონეთს ლიტვის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევამ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ომის დროს. ამის საპასუხოდ ლიტვის დელეგაციამ მოითხოვა პოლონეთის პრეტენზიების კონკრეტიზაცია.

შემდეგი სხდომა შესდგება შაბათს.

ლიტვის მოთხოვნილება ზარალის ანაზღაურების შესახებ

კოვნო, 28 ივნისი. ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ლიტვის დელეგაციამ უშიშროების საკითხების და ზარალის ამანაზღაურებელ კომისიის პლენარულ სხდომაზე გადასცა პოლონეთის დელეგაციას საგარანტიო პაქტის ლიტვის პროექტი. პოლონეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ პოლონეთი მზად არის მხედველობაში მიიღოს ლიტველების მოთხოვნილება იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიაყენა ლიტვას გენერალ ჟელიგოვსკის მოქმედებამ, მხოლოდ იმ პირობით, თუ სამაგიეროდ ლიტვაც დააკმაყოფილებს პოლონეთის პრეტენზიებს იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიაყენეს ლიტველებმა პოლონეთის დაწესებულებებს 1920 წლის 12 ივლისიდან.

ბარტელის კაბინეტში

ვარშავა, 28 ივნისი. პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვა ხმები დადის მთავრობის რეკონსტრუქციის შესახებ. ზოგიერთი ცნობების მიხედვით **პილსუდსკიმ** დაიტოვა უფლება ერთგვარი გავლენა მოახდინოს ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე. ეს ცნობები, სხვათა შორის, მოყვანილია პილსუდსკის ორგანო — „გლოს პრავდა"-ში. ბევრ კომენტარიებს იწვევს **სვიტალსკის** განათლების მინისტრად დანიშვნა. ფიქრობენ, რომ სვიტალსკი იქნება ბარტელის მოადგილედ, როცა ეს უკანასკნელი შვებულებაში წავა. რაც შეეხება **სოსნკოვსკის** დანიშვნას —ერთი ვერსიით ის იქნება პილსუდსკის, როგორც სამხედრო მინისტრის, მოადგილე, ხოლო მეორე ვერსიით— არმიის გენერალური ინსპექტორატის მეთაურად. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

უმაღლეს სკოლის ქიმიზაცია

მოსკოვი, 29 ივნისი. დღეს განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ა. ლუნაჩარსკიმ მიიღო სწავლულ ქიმიკოსთა დელეგაცია, რომელმაც მისცა ამხ. ლუნაჩარსკის ვრცელი წერილობითი მოხსენება უმაღლეს სასწავლებლის ქიმიზაციის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში ქიმიას სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის თავდაცვის დარგში აკუთვნებენ პირველხარისხოვან მნიშვნელობას, საბჭოთა კავშირში ამ საკითხის გარშემო ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო საზოგადოებრივი აზრი, არ არის გადადგმული შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯები, რათა ქიმიამ ჩვენს მეცნიერებაში და ეკონომიკაში საპატიო ადგილი დაიჭიროს.

უნდა გაუმჯობესებულ იქნას ქიმიის საგნების სწავლება. ამ მიზნით საჭიროა უმაღლეს სპეციალურ სკოლების ქსელის გაფართოვება. ამასთანავე უნდა აღმოიფხვრას სასწავლო პროგრამების ხშირი ცვლა, რაც დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდობის აკადემიურათ წარმატებაზე.

სახალხო განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა უმაღლეს სასწავლებლებში ქიმიის სწავლების საკითხის განსახილველად მოიწვიოს სპეციალური თათბირი პროფსაბჭოებისა, სამეურნეო მუშაკებისა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

კარნავალი კოოპერაციის დღეს

მოსკოვი, 29 ივნისი. მოსკოვის კოოპერატივები უკვე შეუდგნენ გაცხოველებულ სამზადისს კოოპერაციის დღისათვის. განზრახულია კოოპერაციის დღეს მისცენ ფართე მასიური ხასიათი. ამ მიზნით მოწვეულია მოსკოვის საუკეთესო არტისტიული ძალები და მუშათა კლუბების მუშაკები. თვით კოოპერაციის დღეს ქალაქში მოეწყობა დიდი კარნავალი.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობა პურის შესახებ

მოსკოვი 29 ივნისი. გამოქვეყნდა საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობა მოსახლეობის პურით მომარაგების შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ პურის დამზადების სიძნელეებმა საბჭოთა კავშირის ზოგიერთ პუნქტებში გამოიწვია პურის ნაწილობრივი ნაკლებობა. ამან კი თავის მხრივ საბაბი შეჰქმნა ყოველგვარ გაზვიადებულ და პანიკურ ხმების გავრცელებისათვის.

სავაჭრო კომისარიატი აცხადებს, რომ მოსახლეობის პურით მომარაგების მხრივ მდგომარეობა ნორმალურია. მარტო სატრანსპორტო კოოპერაციას მარაგად აქვს გადადებული 1 ნახ. მილიონი ფუთი თეთრი და შავი ფქვილი, მუშათა კოოპერაციის პურის მარაგი კი უდრის 4 მილიონ ფუთ პურს.

რამდენი სასეზონო მუშაა მოსკოვში

მოსკოვი, 29 ივნისი. მოსკოვში ამჟამად თავმოყრილია 35.000 კაცი სასეზონო მუშა. ვინაიდან წელს მოსკოვს მოაწყდა სეზონით მომუშავეთა არაჩვეულებრივად დიდი რაოდენობა, ყველა მათი მოწყობა აღმშენებლობაში შეუძლებელი შეიქნა. ამიტომ სასეზონო მუშებს შორის გავრცელებულია უმუშევრობა. ბევრი მათგანი უკანვე ბრუნდება თავიანთ სოფლებში, მაგრამ ყოველ დღე მოდიან ახლები.

აღსანიშნავია, რომ აღმშენებლობაში დიდი მოთხოვნილებაა კვალიფიცურ ოსტატებზე, ხოლო სასეზონო მუშებს შორის ასეთები ძალიან ცოტაა.

„უშიშროების" კომიტეტის სესია

თურქეთის დელეგაციის წინადადება

ჟენევა, 28 ივნისი. თურქეთის დელეგაციამ უშიშროების კომიტეტის სესიაზე წარმოადგინა თავისი მოსაზრებები თავდაუსხმელობის ტიპიური კონვენციების იმ პროექტების შესახებ, რომლებიც კომიტეტმა შეიმუშავა. თურქეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ პროექტიდან ან წინასწარ გამოირიცხოს პუნქტი, რომელიც უფლებას აძლევს ერთა ლიგის საბჭოს მიმართოს იძულებით ღონისძიებებს შესარიგებელი პროცედურის უშედეგოდ დამთავრების შემთხვევაში ან, რამდენადაც ეს აუცილებელია, პროექტში აღნიშნულ იქნეს, რომ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ერთა ლიგაში არ შედიან, ერთა ლიგის საბჭოს ჩარევა არ უნდა გასცილდეს ლიგის წესდების მე-17 მუხლის ფარგლებს (ამ მუხლში ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო, რომელიც ერთა ლიგაში არ შედის, უარს იტყვის დაემორჩილოს კონფლიქტის მოწესრიგების პროცედურას და მიმართავს ომს ლიგის წევრის წინააღმდეგ, მაშინ ის ჩაითვლება მშვიდობიანობის დამრღვევად და მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ლიგის წესდების 12-16 მუხლები).

გარდა ამისა თურქეთის დელეგაციას აუცილებლად მიაჩნია, რომ იმის გამორკვევა, თუ რომელია თავდამსხმელი მხარე, იმ შემთხვევაში, როცა საქმე შეეხება სახელმწიფოს, რომელიც არ შედის ლიგაში, უკანასკნელის მოთხოვნით, დაეკისროს საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიას — (ადს).

მთავრობის კრიზისი ეგვიპტეში

მეფე ფუადის გალაშქრება კონსტიტუციის წინააღმდეგ

ლონდონი, 28 ივნისი. ქაირიდან იუწყებიან, რომ მაჰმუდ-ფაშას, თუ ახალი კაბინეტის შედგენა მოახერხა, განზრახული აქვს პარლამენტის სესიის გადადება და, შესაძლოა, დაითხოვოს კიდეც პარლამენტი.

ამის გამო მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი სწერს:

„ეჭვ გარეშეა, რომ ნახას-ფაშას კაბინეტის გადადგომა პროლოგია მეფე ფუადის ახალი ცდისა—მმართოს ქვეყანა კონსტიტუციის წინააღმდეგ და უპარლამენტოდ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1925 წელში. პარლამენტის სესია გადადებული იქნება განუსაზღვრელ დრომდე ან და პარლამენტი სრულიად დათხოვნილი იქნება. ახალი მთავრობა ქვეყანას უხელმძღვანელებს უპარლამენტოდ ერთი ან 2 წლიწადი და ამ ხნის განმავლობაში შეცვლის საარჩევნო კანონს, ხოლო შემდეგ დანიშნავს ახალ არჩევნებს, შეზღუდულ, არა საყოველთაო და არა დემოკრატიულ საარჩევნო უფლების საფუძველზე. რათა ამ გზით უზრუნველყოს თავის მომხრეთა უმრავლესობა პარლამენტში.

მთავრობის კრიზისი ეგვიპტეში დაიწყო ლიბერალ მინისტრების გადადგომით; ამჟამად კრიზისი უაღრესად გამწვავებულია იმ დოკუმენტების გამოქვეყნებით, რომლებსაც ზინოვიევის ყალბ წერილს აგონებენ (ლაპარაკია ეგვიპტის ლიბერალურ გაზეთებში გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე, რომლებიც უნდა დაამტკიცებდა, თითქოს უოფდის პრეზიდენტმა ნახას-ფაშამ ქუაზე შეჰპირდა პრინც სეიფედინის ოჯახს შეძლოდ დიდი ჰონორარი, რათა პრინცის პოლიტიკური გავლენა გამოეყენებინა თავისი მატერიალური მიზნებისათვის). მთავრობის გადადგომა ფუადსა და მის მომხრე ძლიერ ჯგუფებს ხელს უწყობს ვაფდის პარტიის გავლენისა, და ეგვიპტის ნაციონალური მოძრაობის სიძლიერის გასანადგურებლად. ფუადის ბრძანება ნახას-ფაშას მთავრობის გადადგომის შესახებ თუმცა ფორმალურად კანონიერი იყო, მაგრამ არსებითად ის სახელმწიფო გადატრიალებას წარმოადგენს".

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიან"-ი კი, პირიქით, ატყობს, რომ „მაჰმუდ-ფაშა უფრო დამყოლად იმოქმედებს" და „შეიქნება შესაძლებლობა მოგვარდეს ხშირ საკითხებს უფრო დამაკმაყოფილებელი შედეგები როგორც ინგლისისათვის, ისე ეგვიპტისათვის"-ო. (ადს).

ყალბი საბჭოთა ბანკნოტების დამზადების საქმე

ბერლინი, 28 ივნისი. პრუსიის სასამართლოს გამომძიებელმა დაამთავრა ყალბი საბჭოთა ბანკნოტების დამზადების საქმის გამოძიება. ახლო მომავალში ეს საქმე გახდება დიდი პოლიტიკური პროცესის საგანი, თუ რამდენად ფართოდ იყო დაყენებული ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმე, ეს იქიდან სჩანს, რომ გამომძიებელმა, როგორც ნივთიერი მტკიცების საბუთს ყადაღა დადო წყლის ნიშნებიან 24 ცენტნერ ქაღალდს, რომლიდანაც 200.000 ერთ ერთჩერვონციანი ფულის ნიშანი უნდა დამზადებულიყო. გარდა ამისა, ხელისუფლებამ ბრალდებულებს ჩამოართვა ჩემოდანი ხუთი ნახმარი კლიშეთი.

წინასწარმა გამოძიებამ განსაკუთრებით დიდძალი მასალა დააგროვა ბრალდებულ ვასილ სადიერაშვილის წინააღმდეგ. ის დასავლეთ საქართველოდანაა, რევოლიუციის შემდეგ სადათიერაშვილი იყო თეთრგვარდ. ავანტიურის ავალოვ-ბერმონტის მდივანი. როგორც ავალოვ-ბერმონტის მდივანი, ის შევიდა კომიტეტში, რომელიც მიზნად ისახავდა „საქართველოს განთავისუფლებას ბოლშევიკებისაგან". ამ კომიტეტს წევრები ჰყავს მთელს ევროპაში და გერმანიაში და მათ მჭიდრო კავშირი აქვთ უცხოეთის მემარჯვენე ჯგუფებთან. ამ კომიტეტის ფინანსური მდგომარეობის გასაძლიერებლად ვინმე ქარუმიძემ შეიტანა წინადადება—დამზადებულიყო ყალბი ჩერვონცები და ამით, ამავე დროს, ზიანი მიეყენებინა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამ საქმის სათავეში ჩადგა სადათიერაშვილი, რომელმაც ამ მიზნით გერმანიაში შეაგროვა ტექნიკ. პერსონალი. სადათიერაშვილმა თავისი აგენტები მოაწყო მთელ ევროპაში. აგენტებს ამოცანას შეადგენდა ყალბი ჩერვონცების გასაღება. ყალბი ჩერვონცების დამზადება სწარმოებდა გერმანიაში ფრანკფურტის მახლობლად ბელლინსთან. (ადს).

ინგლისის საჰაერო ბაზა ხაიფაში

ლონდონი, 28 ივნისი. ინგლისის მთავრობამ მიიღო მოსამზადებელი ზომები საჰაერო ბაზის ასაგებათ ხაიფაში (პალესტინა). ეს ბაზა იქნება ინგლისის მთავარი საჰაერო ბაზა ახლო-აღმოსავლეთში.

ამასთან დაკავშირებით „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ერთა ლიგის წესდების თვალსაზრისით სახელმწიფოს, რომელსაც აქვს მანდატი რომელიმე ტერიტორიაზე (პალესტინა გადაეცა ინგლისს ერთა ლიგის მანდატით) არა აქვს უფლება ააგოს ამ ტერიტორიაზე საკუთარი ხმელეთის, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ბაზები. მაგრამ ამავე დროს მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ისეთ ტერიტორიაზე, როგორიც პალესტინაა, სამხედრო ბაზების აგება ერთა ლიგას წესდებით პირდაპირ არაა აკრძალული (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანების სამდივნოს განცხადება

სტოკჰოლმი, 28 ივლისი. ოსლოდან მიღებულ ცნობით, ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანების სამდივნომ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ნორვეგიის და ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანებებმა მიიწვიეს წითელი პროფინტერნი და ამსტერდამის ინტერნაციონალი კონფერენციაზე, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

მსოფლიოში უდიდესი ჰაეროპლანი

ლონდონი, 27 ივნისი. ამ დღეებში ლონდონზე ფრენას მოახდენს მსოფლიოში უდიდესი აეროპლანი — მონოპლანი „ინფლექსიბლ"-ი, რომელიც აგებულია ინგლისში. აეროპლანი იწონის 14 ტონას, აქვს სამი მოტორი, რომელთა საერთო ხიმძლავრე უდრის 2.100 ძალას. აეროპლანის ფრთების სიგრძე უდრის 150 ფუტს, ფუზელიაჟის — 75 ფუტს.

საპროტესტო მიტინგი

პრაღა, 28 ივნისი. 27 ივნისს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ მოიწვია მასიური საპროტესტო მიტინგი რეფორმისტების შემთანხმებელი ტაქტიკის წინააღმდეგ სოციალურ დაზღვევის საკითხში. მიტინგმა, რომელსაც აურაცხელი მუშები დაესწრო, ცხადყო პრაღის პროლეტარიატის ბრძოლის განწყობილება.

კელოგის პროექტი

პარიზი, 28 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ბრიანმა განაცხადა, რომ კელოგის მიერ გამოქვეყნებული პროექტი ომის აკრძალვის შესახებ მას საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

მაგრამ ის ცნობები თითქოს მინისტრთა საბჭომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება კელოგის მიერ წამოყენებული ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ, ნაადრევია.

საფრანგეთის მთავრობა, ალბათ, მიიღებს კელოგის პროექტს, მაგრამ ეს ცნობები ჯერჯერობით არაოფიციალურია". (ადს)

რიკლენი და როსსე

პარიზი, 28 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„იმის შემდეგ, რაც მთავრობამ დასვა საკითხი ნდობის შესახებ, პალატამ 420 ხმით 160-ის წინააღმდეგ გადასდო ვალტერის იმ რეზოლიუციის განხილვა, რომელიც მოითხოვდა ელზასის ავტონომისტების საქმეზე მსჯავრდადებულ დეპუტატების რიკლენის და როსსეს განთავისუფლებას. (ადს)

ჟუოს „სიბრძნე"

პარიზი, 28 ივნისი. სახელმწიფო წარმოებების მუშა - მოსამსახურეების ყრილობაზე გამოვიდა ჟუო (შრომის რეფორმისტულ გენერალურ კონფედერაციის ბელადი), რომელიც ამტკიცებდა, რომ „უაზრობაა" „კაპიტალისტური „რაციონალიზაციის" წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ის „სტიქიურ მოვლენასავით არის გავრცელებული მთელი მსოფლიოს მრეწველობაში"-ო.

ორენმა აღიარა თავისი შეცდომა

პარიზი, 28 ივნისი. ორენმა საფრანგეთის კომპარტიის სამდივნოში გაგზავნა წერილი, რომელშიაც აღიარებს თავის შეცდომებს. **ორენი მოუწოდებს პროლეტარიატს მჭიდროთ დაირაზმოს კომპარტიის გარშემო მემარცხენე ბურჟუაზიისა და მისი მომხრე სოციალისტურ პარტიის წინააღმდეგ.**

საფრანგეთის კომპარტიის სამდივნო ორენის წერილს აქვეყნებს თავისი შენიშვნით, რომელშიაც ნდობას უცხადებს ორენს და ჰპირდება, რომ დეპუტატთა პალატას მიმართავს პროტესტით ენდრის დეპარტამენტის არჩევნების არ დამტკიცების ცდის წინააღმდეგ.

შენიშვნა: ორენი — საფრანგეთის კომპარტიის წევრია. ის არჩეულ იქნა ენდრის დეპარტამენტის დეპუტატათ პარტიის მიერ უარყოფილ „წითლების პლატფორმის", სიით რომელსაც მან პირადათ მოაწერა ხელი. პირველად ორენი დაემორჩილა პარტიის მოთხოვნილებას არა პარტიულ პლატფორმაზე მიღებულ დეპუტატის რწმუნების მოხსნის შესახებ, მაგრამ შემდეგ დაიწყო რყევა და დაბოლოს უარი სთქვა დეპუტატის მანდატზე. მაგრამ სათანადოთ არ დაუსაბუთებია ეს, მაშინ როცა პარტია ასეთ დასაბუთებას აუცილებლად სთვლიდა. მე-2-ს მხრივ, პალატის სამანდატო კომისია მოითხოვს ენდრში ჩატარებულ არჩევნების გაუქმებას, ამტკიცებს რა, რომ იქ ადგილი ჰქონდა საარჩევნო უფლების დარღვევას. (ადს).

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ზრდა

მოსკოვი, 29 ივნისი. შრომის სტატისტიკის ცენტრალურმა ბიურომ ჯამი გაუკეთა იმ ცნობებს, რომლებიც ახასიათებს პროფკავშირების ზრდას საბჭოთა კავშირში 1922 წლის პირველი ოქტომბრიდან 1927 წლის 1-ლ ოქტომბრამდე. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის პროფკავშირები ორჯერ მეტად გაიზარდნენ (4 მილიონიდან 10 მილიონამდე). ამშენებელთა კავშირის წევრების რიცხვი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა რვაჯერ, სახალხო კვების კავშირის—ექვსჯერ, სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის—სამჯერ. კავშირების ზრდას თვალსაჩინოდ უწყობდა ხელს სოფლიდან მოსული მუშა ხელი. 1928 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის პროფკავშირებში იყო სამ მილიონზე მეტი ქალი და მოზარდი. (ადს).

ლენინგრადელ სტუდენტების ექსკურსია დასავლეთ ევროპაში

ლენინგრადი, 29 ივნისი. გერმანიაში მიემგზავრება ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტების ექსკურსია დასავლეთ ევროპის კულტურულ ცხოვრების გასაცნობად. სტუდენტებთან ერთად მიემგზავრება უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი სერებრიაკოვი. (ადს).

ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკა

მოსკოვი, 29 ივნისი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში ვოლგის ოლქის და ვოლგის ნაპირის გერმანელთა რესპუბლიკის ბუნებრივ-ისტორიული და სამეურნეო პირობების ერთგვარობა და დაამტკიცა ვოლგის ნაპირის გერმანელთა რესპუბლიკის საბჭ. მე-5 საგანგებო ყრილობის დადგენილება ამ რესპუბლიკის ქვემო ვოლგის ოლქის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ეს დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინება სრულიად რუსეთის ცაკის მორიგ სესიას.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გასაძლიერებლად

მოსკოვი, 29 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა მისცეს მას მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, 20 მილიონი მანეთის კრედიტი იმ პირობით, თუ ეს თანხა დაფარული იქნება მოკავშირე რესპუბლიკების 1928-29 წლის ბიუჯეტების ხარჯზე. გარდა ამისა შრომისა და თავდაცვის საბჭომ მხედველობაში მიიღო სახელმწიფო ბანკის განცხადება, რომ ის გაანაღდებს სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემის 10 მილიონი მანეთის მოკლევადიან თამასუქებს. (ადს).

ნორვეგიის ქაღალდის მრეწველობის მუშათა კონგრესიდან დაბრუნება

მოსკოვი, 29 ივნისი. ნორვეგიის ქაღალდის მრეწველობის მუშათა კონგრესიდან, რომელიც ოსლოში შესდგა, დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველობის მუშათა კავშირის ცაკის წარმომადგენლები ამხ. ბაზბოზოვი და კოჩეტოვი.

კონგრესმა ერთხმად აღიარა, რომ საჭიროა ძმური თანამშრომლობის დამყარება სკანდინავიის, ფინეთის და საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველობის მუშათა კავშირებს შორის.

პროფესორი გერნეტი—მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

მოსკოვი, 29 ივნისი., რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭომ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა პროფ. გერნეტს, რომელიც უკვე 30 წლის განმავლობაში მოღვაწეობს ბოროტმოქმედებათა მეცნიერულად შესწავლის დარგში. (ადს).

„ცენტროსოიუზ"-ის ლოზუნგები კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

მოსკოვი, 29 ივნისი. გაუმარჯოს კოოპერაციის საერთაშორისო დღეს—საერთაშორისო კოოპერაციის ძალთა შემოწმების დღეს!

აღმოსავლეთის კოოპერატორებო! დაიცავით მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები!

გაუმარჯოს კოოპერატიული და პროფესიონალური მოძრაობის საერთაშორისო რევოლიუციონურ მთლიანობას!

რეფორმისტული ბელადების ცდას ჩამოაშორონ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობას, ვუპასუხებთ კოოპერაციის ყველა რევოლიუციონური ელემენტების დარაზმვით! განვამტკიცოთ საბჭოთა ქვეყნის და დასავლეთის კოოპერაციის ეკონომიური კავშირი!

საბჭოთა კავშირის კოოპერატორებო! ემზადეთ იმპერიალისტებთან მომავალი ბრძოლებისათვის საბჭოთა კოოპერაციის განმტკიცებით და მისი როლის გაძლიერებით სოციალისტურ მშენებლობაში! კოოპერაციის საერთაშორისო დღეს განვამტკიცოთ საბჭოთა კოოპერაციის კავშირი მუშათა კოოპერაციასთან მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას! კოლონიალური ქვეყნების მშრომელნო, შექმენით რევოლიუციონური კოოპერაცია! დასავლეთის პროლეტარებო, გადააქციეთ თქვენი კოოპერაცია კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად!

ჩვენი ძმური სალამი კაპიტალის ტყვეებს, რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიის ციხეებში!

მთელი მსოფლიოს მუშებო და გლეხებო, ლენინური დროშის ქვეშ აშენეთ კოოპერაცია!

მუშებო და გლეხებო, შეამოწმეთ თქვენი კოოპერატივების მუშაობა, გააიაფეთ სავაჭრო აპარატი, დაუკლეთ ფასები! კოოპერაციის პაის მქონენო, მოსთხოვეთ ანგარიში თქვენ მიერ არჩეულ ორგანოებს და რწმუნებულებს. პირადი მონაწილეობით დაეხმარეთ კოოპერატივის მუშაობას! კოოპერაცია შენდება მრავალი მილიონი ხელით, მუშებო და გლეხებო, განამტკიცეთ კოოპერაცია!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო ქალებო, თქვენი აქტიური მონაწილეობა კოოპერატიულ მუშაობაში დააჩქარებს წინსვლას სოციალიზმისაკენ!

წითელი არმიის მებრძოლების შეკავშირებით კოოპერაციაში ჩვენ განვამტკიცებთ მის ბრძოლის უნარს!

მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობავ, შედით კოოპერაციის რიგებში!

მთელი ჩვენი მიღწევანი, ნაკლოვანებანი და მთელი მუშაობა კრიტიკისა და შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს მასებს!

მოჯამაგირენო და ღარიბო გლეხებო, მტკიცე კავშირი დაამყარეთ საშუალო გლეხთან კულაკის წინააღმდეგ!

„ყველა მასები რომ შეგვეკავშირებია კოოპერაციაში, ჩვენ უკვე ვიდგებოდით ორივე ფეხებით სოციალისტურ ნიადაგზე" (ლენინი).

პროფკავშირის ყოველი წევრი უნდა გახდეს სამომხმარებლო საზოგადოების პაის მქონე!

დაუნდობელი ბრძოლა უყაირათობას, დაუდევრობას, გულგრილობას და რუტინას კოოპერატიულ მშენებლობის ფრონტზე!

მუშათა და გლეხთა კავშირი კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, კულაკების და სპეკულიანტების წინააღმდეგ, სოციალისტურ მრეწველობასთან დაახლოებით, განამტკიცებს და გააფართოებს სოციალისტურ კოოპერაციას!

მუშებო და გლეხებო, თქვენი პაიები და ანაბარები კოოპერაციას გაუხსნის გზას პროდუქტების სოციალისტურ განაწილებისაკენ!

მშენებლობის და მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის მასიურ კოოპერატიულ ნიადაგზე დაყენება,—აჰა ასეთია სოფლის გზა სოციალიზმისაკენ!

იაფი პური ქალაქსა, იაფი საქონელი სოფელს, აყვავებულ ქალაქის და სოფლის მეურნეობა და განამტკიცეთ მათი კავშირი!

ებრძოლეთ კერძო ვაჭრობას კოოპერაციის საშუალებით!

კოოპერატიული განათლება—კოოპერაციის გზაა და სადღეისო ამოცანაა.

ფასების დაკლება შეიძლება შესრულებულ იქნას მხოლოდ მუშურ-გლეხური ფართო მასების მონაწილეობით. პაის მქონევ, შეიტანე შენი ანაბარი და მონაგროვი თანხა კოოპერაციაში! პაი ჰქონდეს კოოპერატორის ყოველ ოჯახს! შეიტანეთ თქვენი პაი მთლიანად!

კოოპერაციაში მთელი მასების შეკავშირებისათვის საჭიროა ფართოდ და ღრმად განავითაროთ კულტურული მუშაობა მშრომელთა მასებს შორის. (ადს).

ამხ. მიქოიანის მიმართვა

მოსკოვი, 29 ივნისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. მიქოიანმა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სახ. კომისარიატებს, და აგრეთვე ყველა საოლქო, საგუბერნიო და ადგილობრივ ორგანოებს მიმართა ცირკულიარული დეპეშით: დეპეშაში ნათქვამია, რომ მიუხედავად დირექტივებისა, რომლებიც დაუშვებლად სცნობს პურის ბაზრების დახურვას—და დაშლას, და აგრეთვე გლეხების მიერ ბაზარზე პურის გაყიდვის აკრძალვას, ადგილებიდან კვლავ მოდის ცნობები ამ მხრივ ხაზის დამახინჯების შესახებ.

ამიტომ ამხ. მიქოიანი წინადადებას აძლევს მათ გადაჭრით შესწყვიტონ ყოველგვარი ცდები, ბაზრების ლიკვიდაციისა ან შევიწროვებისაკენ მიმართული. კერძოთ, მათ ეძლევა წინადადება: არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ბაზრების დახურვა და დაშლა, და აგრეთვე რაიმე ადმინისტრატიული ზომების მიღება იმ მიზნით, რომ გლეხებს ჩამოართვან ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი პური ან აიძულონ ისინი მიყიდონ პური სახელმწ. და კოოპ. ორგანიზაციებს; არ შეუშალონ ხელი გლეხებს თავისი პურის თავისუფლად გაყიდვაში; არ დააწესონ სავალდებულო ფასები იმ პურზე, რომელსაც გლეხები გასაყიდად გამოიტანენ ბაზარზე; ფართოდ უნდა შეუწყონ ხელი ბაზრების გამოცოცხლებას და გლეხების მიერ ბაზარზე პურის გატანას.

ბრძოლა სპეკულიანტებთან წარმოებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ მან ხელი არ შეუშალოს ადგილობრივი პურის ბრუნვას და აგრეთვე ბაზრების ბრუნვის განვითარებას.

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

28 ივნისის დილის სხდომა

მხარეების კამათი

მოსკოვი, 29 ივნისი. 28 ივნისს შახტის პროცესის დილის სხდომაზე დაიწყო მხარეების კამათი. პირველ სიტყვას ამხ. ვიშინსკი აძლევს საზოგადოებრივ ბრალდების წარმომადგენელს ამხ. ბრინკოს.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის ამხ. ბრინკოს სიტყვა

ამხ. გრინკოს მოჰყავს ამხ. ლენინის სიტყვები საკავშირო კომპარტიის (ბ) მეორე ყრილობაზე: „დონბასი ჩვენი ეკონომიკის საფუძველია".

„და სწორედ—ამბობს ამხ. გრინკო—ჩვენი ქვეყნის ამ ენერგეტიულ ცენტრზე მიიტანა იერიში იმ ორგანიზაციამ, რომლის მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს თქვენ ხედავთ აქ საბრალმდებლო სკამზე. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ საქმემ მიიპყრო არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყურადღება.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ თეთრგვარდიელთა პრესა და რეაქციონურად განწყობილი ელემენტები ქვეყნის შიგნით ცდილობენ გამოიყვანონ საქმე ისე, თითქოს ბრალდებულთა სკამზე ზის ჩვენი ქვეყნის ინტელიგენცია.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აქ საქმე ეხება არა ინტელიგენციის გასამართლებას.

ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციამ გაიარა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის და საბოტაჟის მძიმე ხანა, სანამ მისი ფართო მასები გამოვიდოდა საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობის ფართო გზაზე და მტკიცედ დაუკავშირებდა თავის ბედს მუშათა კლასს.

სრულიად საწინააღმდეგო ევოლიუცია განიცადეს იმათ, ვინც ამჟამად საბრალმდებლო სკამზე სხედან. ნახევრად აქტიურ და ნახევრად პასიურ ცდებიდან გადაემალათ მაღაროები და შეენარჩუნათ ქონება ყოფილ მეპატრონეებისათვის, ეს ხალხი, დაბოლოს, გადავიდა აქტიური მავნებლობის რთულ კონტრ - რევოლიუციონურ სისტემაზე; ინდივიდუალურ მავნებლობიდან — ზედმიწევნით ჩამოყალიბებულ ცენტრალიზაციაქმნილ ორგანიზაციაზე, რომელსაც სწორი კონსპირატიული კავშირი ჰქონდა გაბმული, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ — უცხოეთის კაპიტალთან და ემიგრანტებთან; ეკონომიური მავნებლობიდან — უშუალო პოლიტიკურ კონტრ - რევოლიუციონურ მუშაობაზე.

ამხ. გრინკო საჭიროდ სთვლის კატეგორიულ უარყოფილ იქნეს ვერსია ბრალდებულთა განწყობილების შეცვლის შესახებ რემის, ბოლკინის და დვორიანჩიკის ჯგუფის მიერ. არჩევს რა ბრალდებულთა ჩვენებებს, მათი ვერსიების მიხედვით, კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციის განწყობილებათა შეცვლის შესახებ, ამხ. გრინკო ამბობს, რომ, პირიქით ორგანიზაციის მავნებლური განწყობილება და მოქმედება თანდათან იზრდებოდა. ეჭვს გარეშეა, რომ კონტრ - რევოლიუციონურ ორგანიზაციის გემზე 1927 წლის ბოლოს ზოგიერთ ვირთხებმა იგრძნეს მისი დაღუპვის მოახლოვება და, განსაკუთრებით, პირველ დაპატიმრებათა შემდეგ ისინი ნერვიულობდნენ და აპირებდნენ გემიდან გაქცევას.

ამხ. გრინკო აყენებს კითხვას — შეიძლება თუ არა სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესში უყურადღებოდ ვსტოვებდით ტექნიკოსთა და ინჟინრების ინტერესებს, შეიძლება თუ ვაძლევდით გასაქანს მათ შემოქმედ ენერგიას? ეს არ არის მართალი. ჩვენ მივეცით ინჟინერებს შესაძლებლობა გაეშალათ შემოქმედებითი ენერგია, მივეცით შესაძლებლობა გამგზავრებულიყვნენ ევროპაში და ამერიკაში და გაცნობოდნენ უცხოეთის ტექნიკის მიღწევებს. თქვენ კარგად იცით, როგორ გამოიყენეს მათ ეს მიღწევები—თავიანთ კონტრ - რევოლიუციონური საქმიანობის გასაძლიერებლად, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ორგანიზაციის შესაქმნელად.

ინჟინერების ეს მცირე ჯგუფი საბედნიეროდ არ წარმოადგენს მასიურ მოვლენას. ეს არის ინდივიდუალური ჯგუფი, რომელსაც უდიდესი ზიზღით შეაქცია ზურგი საბჭოთა ქვეყნის ინჟინერებმა. ამ ხალხმა, ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. გრინკო, მძიმე დანაშაული ჩაიდინა და საბჭოთა მართლმსაჯულების მძიმე მახვილი უნდა დაეშვას მათ თავზე.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის ამხ. შეინის სიტყვა

სიტყვა ეძლევა მეორე საზოგადოებრივ ბრალმდებელს ამხ. შეინს. ამხ. შეინი—ინჟინერთა და ტექნიკოსთა სრულიად საკავშირო სექციათაშორისო ბიუროს თავმჯდომარე —ბრალდებულთა „მუშაობას" ახასიათებს, როგორც ჩვენი ქვეყნის საინჟინერო - ტექნიკურ მუშაკთა მცირე ფენის გამოსვლას.

ინჟინერობა სრულიადაც არ არის [illegible] უმძიმეს პირობებში, სამოქალაქო ომის წლებში ჩვენი მეცნიერები და ტექნიკოსები სოციალისტურ სახელმწიფოს აძლევდენ ყველაფერს, რის მიცემაც შეეძლოთ. ახლა ათასზე მეტი ინჟინერისა და ტექნიკოსის სახელით ამხ. შეინი სთხოვს უზენაეს სასამართლოს ბრალდებულთ მოუსაჯოს უსასტიკესი სასჯელი, რომელიც მაგალითი უნდა გახდეს სხვა ბოროტმოქმედთათვის, რომლებიც შეიძლება ჯერ კიდევ არ არიან აღმოჩენილი.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის პროფ. ოსადჩის სიტყვა

მესამე საზოგადოებრივი ბრალმდებელი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ოსადჩი თავის საბრალმდებლო სიტყვაში ანალიზს უკეთებს რა კაპიტალისტურ წყობილების ჩარჩოებში აღზრდილ და მომუშავე ინჟინრობას, სასამართლოს ყურადღებას მიაპყრობს საინტერესო ფაქტზე — საბჭოთა მეურნეობის განვითარების ისტორიაზე. იმ პერიოდში, როცა დაიწყო ამ მეურნეობის აღდგენა, ენერგეტიკის მეურნეობის ყოველ სფეროში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვქონდა. მეტად საინტერესოა ის, რომ ამ პროცესზე ზოგიერთი ბრალდებულნი სცნობენ, რომ ჩვენ აუცილებლად გვაქვს მიღწევები და ვდგევართ სწორ გზაზე. ყოველგვარ ტექნიკურ მიღწევათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენში დაბოლოს დამყარდა ურთიერთ გაგება ინტელიგენციასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის, დამყარდა ნდობა ტექნიკოსებისადმი, ასე რომ ეხლა მათ დამშვიდებით შეუძლიათ მუშაობა.

სწორედ ამ წლებში, 1925 — 26 წლის პერიოდში ხდება დამნაშავეთა ორგანიზაციის საბოლოოდ ჩამოყალიბება, მისი საქმიანობის სფეროს გაფართოება, მჭიდრო კავშირის გაბმა საზღვარგარეთის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და ორგანიზაციის საქმიანობაში აშკარა პოლიტიკურ კონტრ - რევოლიუციონურ მიზნების შეტანა.

ორგანიზაციის მოქმედება გრძელდებოდა 1927 წელში, მისი წევრების დაპატიმრებამდე, როცა უკვე დამთავრდა აღდგენის პერიოდი, როცა ჩვენ გადავედით რეკონსტრუქციის პერიოდში და როცა ქვეყნის ყველა ჯანსაღი ძალები, მათ შორის ათასობით ინჟინერები, შეთანხმებულათ მუშაობენ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ურთულესი ამოცანების გადასაჭრელად.

სასამართლოს წინაშე გადაიშალა დონუგოლის ხელმძღვანელ საინჟინერო ძალთა ზნეობრივი გახრწნის უსაშინელესი სურათი, სამეურნეო დეზორგანიზაციის სურათი. აქ იყო ყველაფერი: მუხანათობა, გამცემლობა, ღალატი, მექრთამეობა, ბოროტმოქმედებითი დაფარვა და ყველაფერ ამას ზედ ერთვოდა უსაზიზღრესი ცინიკური დამოკიდებულება სამსახურის ყოველდღიურ საქმეებისადმი.

„ამხანაგო მოსამართლენო, — ამბობს ამხ. ოსადჩი — ბრალდებულთა შორის არიან ისეთები, რომლებიც სხვებს აბამდნენ ორგანიზაციაში და ისეთები, რომლებიც თვითონ ჩააბეს სხვებმა. არიან აქტიური და არიან პასიური დამნაშავეები. არიან ძველი ინჟინერები, რომელთაც არ შესწევთ უნარი განთავისუფლდენ თავის წინანდელ იდეოლოგიისაგან, არიან უფრო ახალგაზრდა თაობის ინჟინრები, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუძლიათ საბჭოთა იდეოლოგიის შეთვისება. არიან ისეთები, რომლებიც გადაჭრით უარყოფენ თავის დანაშაულს, არიან მერყევნი და აგრეთვე ისეთები, რომლებმაც გულწრფელად აღიარეს თავის დანაშაული და მოინანიეს. საბჭოთა საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ უზენაესი სასამართლო თავის განაჩენში სამართლიანად შეაფასებს თვითეული ბრალდებულის საქმიანობას, დააკმაყოფილებს შახტის საქმით აღშფოთებულ პროლეტარიატს და საბჭოთა ინტელიგენციას, რომლებიც მრავალრიცხოვან განცხადებებში მოითხოვენ საბჭოთა მეურნეობის დამნაშავეთა სასტიკად და დაუზოგავად დასჯას. საზოგადოებრივი აზრს მიაჩნია, რომ ყველა ბრალდებულ საბჭოთა მოქალაქეებმა თავის ბოროტმოქმედებით ამოშალეს თავიანთი სახელი ინჟინერთა წრიდან და საბჭოთა მოქალაქეების სიიდან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ ლმობიერებას შეუძლია მისცეს ზოგიერთ მათგანს შესაძლებლობა დროთა განმავლობაში გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული პროლეტარიატისადმი პატიოსანი სამსახურით".

პროფ. ოსადჩი თავის საბრალმდებლო სიტყვას ამთავრებს შემდეგი მიმართვით უზენაეს სასამართლოსადმი:

„ჩვენში, ამხანაგებო, უდიდეს ზიზღს იწვევს შახტის საქმე, მაგრამ ჩვენ უზრუნველყოფილად მოგვაჩნია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მიღწევები".

სხდომა შესწყდა საღამომდე.

საზოგადოებრივ ბრალმდებელ ამხ. კრუმინის სიტყვა

მოსკოვი, 29 ივნისი, „პროცესმა—ამბობს ამხ. კრუმინი—სრულიად გარკვევით გამოამჟღავნა რუსეთის ბურჟუაზიის როლი: მას უცხოეთის კაპიტალი ინახავს.

რუსეთის ბურჟუაზიის მორალური ძალა სულდგმულობს საზღვარგარეთიდან ფულის უხვად მიღებით. როდესაც ჩვენ ვარკვევთ დამნაშავეთა კონტრ.-რევოლიუციონური ორგანიზაციის წარმოშობას, ჩვენ ვხედავთ ცენტრს სამხრეთ რუსეთის სამთამადნო მრეწველთა ყრილობების საბჭოს სახით. სამთამადნო მრეწველთა ყრილობების საბჭო წარმოადგენდა რუსეთის კაპიტალისტთა კლასის მებრძოლ ორგანიზაციას. ის ხელს უწყობდა მოხალისეთა არმიას. ამ ცენტრისაკენ მიილტვოდა დონბასის კვალიფიციურ ინჟინრების ზედა ფენა.

დამნაშავეებმა თავის ამოცანად ისახავდნენ სოციალისტური რაციონალიზაციის დეზორგანიზაციას. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია უხელმძღვანელოს ახალი მეურნეობის მშენებლობას.

ორგანიზაცია თითქოს სავალდებულო მოთხოვნილებად არ აყენებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ძველ წესწყობილებაზე დაბრუნებას, მაგრამ მოელოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა დამნაშავეთა კონტრ-რევოლიუციონური ეკონომიური მუშაობის გამო. დამნაშავეების მიერ დასახული გეგმის განხორციელება აუცილებლად გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის დამონებას და მის გადაქცევას კოლონიად.

ანტისაბჭოთა, მოღალატური, კონტრ-რევოლიუციონური, ბურჟუაზიული ორგანიზაცია უნდა აღიგავოს დედამიწის პირიდან.

28 ივნისის საღამოს სხდომა

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. კრილენკოს სიტყვა

28 ივნისს უზენაეს სასამართლოს საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. კრილენკომ. თავისი სიტყვის პირველი ნახევარი ამხ. კრილენკომ მოანდომა პროცესის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობის დახასიათებას, ხოლო მეორე — იმ მომენტების ანალიზს, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკე ბრალდებულთა მოქმედებას (ადს).

სოც.-დემ. პრესა შახტის პროცესის შესახებ

ბერლინი, 28 ივნისი. სოციალ-დემოკრატიული პრესა რომელიც წინად შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა შახტის პროცესს, ეხლა ბეჭდავს სხვადასხვა ტენდენციურ ცნობებს პროცესის შესახებ და არ ერიდება ფაქტების დამახინჯებასაც, ასე, მაგალითად, პროვინციალური სოც.-დემოკრატიული გაზეთები აქვეყნებენ სოც.-დემოკრატიული გაზეთის ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ცნობას, რომელიც ეხება ბრალდებულ გერმანელების დაკითხვას და იხილავს გერმანია-საბჭ. კავშირის ურთიერთობას; ამ ცნობაში ბრალდებულ მეიერის უწოდებენ კომუნისტს.

სოც.-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანომ „ფორვერტს"-მა გამოაქვეყნა ცნობა ინჟინერ სკორუტოს დაკითხვის შესახებ. ამ ცნობაში არაფერია ნათქვამი სკორუტოს უკანასკნელ ჩვენების შესახებ და იქმნება შთაბეჭდილება თითქოს სკორუტომ სასამართლოზე უარ ყო თავისი წინანდელი განცხადება (ადს).

„აზნავთი"-ს და გროზნავთის ტრესტების გამოკვლევა

მოსკოვი, 29 ივნისი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შეერთებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. როზენგოლცის მოხსენება აზნავთის და გროზნავთის ტრესტების გამოკვლევის შედეგების შესახებ.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ტრესტებმა უცხოეთში შეიძინეს 78 მილიონი მანეთის სხვადასხვა მოწყობილობა, რომელიც გამოიყენეს 90 პროცენტით. საიმპორტო მოწყობილობის გამოყენებამ უზრუნველყო მნიშვნელოვანი წარმატებები ნავთის მრეწველობის რეკონსტრუქციის საქმეში.

ამასთან ერთად გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტებისა. დაკვეთების გაცემა ხშირად ხდებოდა საკითხის სათანადოდ შეუსწავლელად, ზოგიერთ დაკვეთების გაცემა ხდებოდა პროექტების საბოლოოდ დაუმტკიცებლად.

აღმოჩნდა, რომ ნავთის ტრესტების საწყობებში გამოუყენებლად ინახება 1.750.000 მანეთის სხვადასხვა მოწყობილობა. ამ მოწყობილობის ნაწილი სრულიად გამოუსადეგარია ნავთის მრეწველობაში. ამიტომ ტრესტები ჰყიდიან სხვა ორგანიზაციებზე.

იმის გამო, რომ შეკვეთები კარგად არ იყო მოფიქრებული და სავაჭრო წარმომადგენლობა სუსტად უწევდა კონტროლს შეძენილი მოწყობილობის მიღებას, 1-ნახევ. მილიონ მანეთზე მეტად ღირებული მოწყობილობა ნაწილობრივ ან სრულიად უვარგისი აღმოჩნდა.

მიღებული რეზოლიუციით წინადადება ეძლევა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს, „გლავმეტალ"-ს, „გლაველექტრო"-ს, „გლავგორტოპ"-ს, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, აზნავთის და გროზნავთის გამგეობებს მიიღონ მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებები შენიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად საიმპორტო მოწყობილობის გამოყენებაში.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა მიუთითეს აზნავთის გამგეობას და აზნავთის ყოფილ უფროს ამხ. სერებროვსკის იმ გარემოებაზე, რომ ისინი საკმაო კონტროლს არ უწევდნენ მთელ რიგ დაკვეთების გაცემას, რის გამოც მიღებული მოწყობილობის ნაწილი არ შეეფერება ტრესტების საწარმოო მოთხოვნილებას.

ანალოგიური მითითებები მიეცა აზნავთის ტექნიკურ ბიუროს გამგე ამხ. კულაკოვს, გროზნავთის გამგეობას, გროზნავთის ტექნიკურ დირექტორს ამხ. როდენკოს და გროზნავთის კომერციულ სამმართველოს ყოფილ გამგე ამხ. ცატურიანს (ადს).

პარტიული ცხოვრება

რა გვიჩვენა ბიუროების გადარჩევამ

(თბილისი)

უნდა ითქვას, რომ საერთოდ თბილისის ორგანიზაციამ სწორად შეითვისა თვითკრიტიკის ლოზუნგი. ბიუროების გადარჩევის დროს, მეტწილად, პარტიული ამხანაგები საქმიანი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ყველა ავადმყოფურ მოვლენებს, რომლებთაც საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა როგორც უჯრედის, ისე პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში, ორატორები მიუთითებდენ იმ გარემოებაზე რომ უჯრედების ბიუროები ვერ აწარმოებენ საკმაო ბრძოლას ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ. მთელ რიგ უჯრედებში (ქიმიკოსები, ქალაქის მეორე საავადმყოფო, ა.-კ. სახელმწ. ვაჭრობა) აღნიშნავდენ არა სასურველ ელემენტების პროტექციით მიღების შემთხვევებს.

ადმინისტრაციულ - სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირების საქმეში უჯრედების ბიუროები ვერ იჩენდენ სათანადო ინიციატივას და საერთოდ ამ საკითხს მცირე ყურადღებას აქცევდენ. მაგალითად, ფოსტის უჯრედში ეს საკითხი არ დაუმუშავებიათ და 23 პროც. შემცირება არაა გატარებული. თბილისის აღმასკომში შემცირება გაატარეს მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს და ისიც 10-14 პროცენტით. რკინის გზის სამმართველოშიაც სუსტი ყურადღება ექცეოდა ხარჯების შემცირებას, რაც იქიდან სჩანს, რომ იმ პირებზე, რომლებმაც ისარგებლეს შვებულებით, 16.000 მან. არის გაცემული. უჯრედის ბიურო არ ამჟღავნებდა ხარჯების 20 პროც. შემცირების შედეგებს და არ აქცევდა ყურადღებას სამეცნიერო-ტექნიკურ ძალების რაციონალურად გამოყენებას, რომლებიც უსაქმობის გამო „ქაღალდებით იქცევდენ თავს".

სამშენის უჯრედის ბიურო უსიტყვოდ დაეთანხმა ადმინისტრაციის „ავტორიტეტულ" აზრს იმის შესახებ, რომ „20 პროც. შემცირება სამშენში შეუძლებელია". უჯრედები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდენ აგრეთვე საწარმოო საკითხებსაც. გარდა იმისა, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა მოიკოჭლებდა, უჯრედების ბიუროები არ ამოწმებდენ მუშათა წინადადებების შესრულებას სამეურნეო მუშაკების მიერ. ამით კი მუშებს ეკარგებოდათ მუშაობის ხალისი (სასაკლაო, სამთო ტრესტი, მაკარონის ფაბ. და სხვა).

მთავარ სახელოსნოების საქმეზე საანგარიშო მომუშავე ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სამქროს ადმინისტრაციის მიზეზით ფუჭდება მასალა, მაგრამ ამის გამო ადმინისტრაციისათვის არავის არ მოუთხოვია პასუხი. [illegible] ნაწილის უჯრედში ერთმა ამხანაგმა სთქვა: „შეუდექით ნავთსადენის ხელახლა მოწყობას, დავხარჯეთ 1 მილ. მანეთი და ეხლა ფიქრობენ ამ საქმის [illegible]".

ასეთ გამოსვლებს ბევრგან ჰქონდა ადგილი.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ პარტიული მასა დიდათაა დაინტერესებული სამეურნეო მუშაობით, უჯრედები უკვე უახლოვდებიან ამ საკითხს, მაგრამ საქმე ჯერ ჯერობით ნელა მიდის, უჯრედების ბიუროებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ სავსებით ის უდიდესი როლი, რომელიც უნდა ითამაშოს უჯრედმა წარმოების ცხოვრებაში.

უჯრედების მასიური მუშაობა საანგარიშო პერიოდში სუსტად სწარმოებდა. ღია კრებებზე არ ისმოდა უპარტიო მასისათვის საინტერესო საკითხები. გადარჩევის კამპანიამ გამოამჟღავნა, რომ დახურული კრებები სჭარბობდა ღია კრებებს.

რკინის გზის სამმართველოს უჯრედში აღნიშნეს, რომ უკვე 6 თვეა რაც მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება არ მოუწვევიათ. რკინის გზის საავადმყოფოს უჯრედი იმდენად მოსწყდა თავის მოსამსახურეებს, რომ, ერთი ამხანაგის სიტყვით, „ექიმებმა უჯრედის არსებობაც კი არ იციან".

რაც შეეხება ნებაყოფლობითი საზოგადოებებზე ხელმძღვანელობას ბიუროების მხრივ ეს მუშაობა იმდენად სუსტი იყო, რომ მასზედ ლაპარაკიც ზედმეტია.

უჯრედები ერთ დროს (1927 წ.) დიდ ყურადღებას აქცევდენ დაწინაურების საკითხებს, მაგრამ ეხლა ეს საქმე დიდათ მოიკოჭლებს. უჯრედების ბიუროები არ იმჩნევდენ დაწინაურებულთა მოხსენებებს და არავითარ დახმარებას არ უწევდენ მათ, ამიტომაც დაწინაურებულ მუშებს ხშირად სჩაგრავენ სპეცები, რომლებიც ამბობენ: „დაწინაურებულები უნდა განვდევნოთ, რადგან არაფერი არ გვიკეთებენ". (რკინის გზის სამმართველოს უჯრედი). ერთ-ერთი ამხანაგის სიტყვით ამიერკავკასიის რკინის გზის სამომხმარებლო კოოპერაციაში („ზაკტპო") ადგილი ჰქონდა „დაწინაურებულების დევნას, მაგრამ ბიუროს არავითარი ზომები არ მიუღია".

სუსტია საუჯრედო კომისიების, განსაკუთრებით აგიტკომისიების მუშაობა. უჯრედების ბიუროები არ ისმენდენ კომისიების საანგარიშო მოხსენებებს და საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ მათ.

ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად შესუსტდა კომკავშირის უჯრედების მუშაობა. ეს აიხსნება იმით, რომ პარტიის უჯრედთა ბიუროები სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევდენ კომკავშირის უჯრედებს. პარტმიმაგრებულთა უხეირო შერჩევამ, რომლებიც ხშირად სხვა პარტიული მოვალეობით იყვენ დატვირთულნი ან და პოლიტიკურად არ იყვენ მომზადებული, გამოიწვია პარტხელმძღვანელობის შესუსტება კომკავშირის მუშაობაზე.

ზოგიერთ უჯრედებში სუსტია პარტდისციპლინა—პარტიის წევრები თავის დროზე არ იხდიან საწევრო გადასახადს (სამხედრო-უწყების, შრომის სახ. კომისარიატი. თამბაქოს ფაბრიკა, „პროლეტარი", წყალსადენის სახელოსნოები, [illegible] ტრამვაი და სხვა) და უჯრედის საიდუმლო დადგენილებები ხშირად [illegible] უპარტიო მასაში („ზაკტპო", აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის უჯრ.) „ზაკტპოს" უჯრედის სხდომაზე ამხანაგები მოდიან მთვრალი. რკინისგზის საავადმყოფოს უჯრედში საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გაიჩინა პატარა „საინფორმაციო ბიურო", რომლისაც მას აწვდიდა უჯრედის საიდუმლო დადგენილებებს. რკ. გზ. სამმართველოს უჯრედში აღნიშნეს, რომ „როცა უჯრედის კრებებზე ამხანაგები გამოსთქვამენ თავის აზრს სპეციალისტების ნაკლზე, ეს უკანასკნელნი მეორე დღესვე გებულობენ, რომ მათ შესახებ ლაპარაკი იყო უჯრედში".

სერიოზულ ავადმყოფურ მოვლენებს თბილისის ორგანიზაციაში არა აქვს ადგილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კინკლაობას ზოგიერთ უჯრედებში (ლუდის ქარხანა, რკ. გზის სტამბა, ტრამვაი და სახანძრო რაზმი) და ნაციონალიზმის გამომჟღავნების ზოგიერთ შემთხვევებს (ტრამვაი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და გზატკეცილების სამმართველო, სადაც იყო შემთხვევა, რომ პარტიულ ამხანაგს წინადადება მისცეს გამოეცვალა ებრაული გვარი).

აი, მთავარი მომენტები, დამახასიათებელი ფაქტები, რომლებიც გამოამჟღავნა გადარჩევის კამპანიამ.

მიუხედავად აღნიშნულ ნაკლოვანებებისა, უჯრედებს მაინც მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ. თბილისის ორგანიზაციამ ცხადჰყო თავისი იდეური სიმტკიცე იმით, რომ მან მოსპო ყოველგვარი იდეური მერყეობა თავის რიგებში.

უჯრედები ცდილობენ სამეურნეო საკითხების გადაჭრას და მონაწილეობას ღებულობენ ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირების, წარმოების რაციონალიზაციის და აპარატის გაუმჯობესების საქმეში.

ი. რუხაძე.

ორგანიზაციის ზრდის ნაკლოვანებანი

(თელავი)

თელავის სამაზრკომმა 7 თემში გამოიკვლია პარტიის ზრდა-მოწესრიგების საკითხი გამოირკვა, რომ პარტიაში მიღების შესახებ შემოსული განცხადებები დაგვიანებით ირჩევა, როგორც უჯრედებში, ისე თემკომებში და ნაწილობრივ სამაზრკომშიაც. მაგ. ენისელში ერთი წლის წინედ კანდიდატად მიღებულია 8 კ. აქედან მხოლოდ 4-ს აქვს მიღებული მანდატი. ამავე ხნის განმავლობაში ს. ხოდაშენში მიღებულია 5 კანდიდატი, პარტიული დოკუმენტი კი ჯერ-ჯერობით არც ერთს არა აქვს. დამტკიცების ასე გაჭიანურება უკმაყოფილებას იწვევს ახლად შემოსავალ ამხანაგებში. მათგან ხშირად გაიგონებთ „რად ვიმუშაო, როცა მატყუებენ და სწორ პასუხს არ მაძლევენ, მიმიღებენ თუ არა" (ახმეტის თემი).

მართალია უკანასკნელად კომკავშირელების პროცენტი პარტიაში გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ერთგვარ გაურკვევლობას ამ საკითხში. თელავის მაზრში 261 ასაკგადაცილებული კომკავშირელია, ამათში მუშა—5, მოჯამაგირე—4, ხელოსანი—14, დანარჩენი—გლეხები და მუშა-მოსამსახურეები. ცხადია მუშების და მოჯამაგირეების პარტიაში გადაუყვანლობა ნაკლად უნდა ჩაითვალოს. პარტუჯრედი ხშირად ვერ ერკვევა კომკავშირელთა მიღების საკითხში, მაგალითად, ენისელის კომუჯრედში შეტანილი ჰქონდათ განცხადება კომკავშირის თემკომისა და უჯრედების მდივნებს.

მათ პარტიაში მიღებაზე უარი უთხრეს შემდეგი მოტივით: „ესენი ჯერ პატარები და ამავე დროს შინაურები არიან, პირველად უპარტიოები მივიღოთ და თუ ადგილი დაგვრჩება შემდეგში მაგათაც მივიღებთ".

ზრდის მოწესრიგებაზედ უარყოფითად მოქმედობს ის, რომ სტაჟგავლილი კანდიდატები თავის დროზე ვერ გადადიან წევრებათ. რაც ერთი მხრივ აიხსნება საქმის შეჩერებით სამაზრკომის და ცაკას მიერ, მეორე მხრივ კი —თვით კანდიდატების მოუმზადებლობით. ეს საკითხი საჭიროა მალე მოწესრიგდეს.

ორგანიზაციაში მიღებულია 43 წევრი, ამათში მხოლოდ 10 ქალია. ქალების მიღება არ სწარმოებს ყველგან ერთგვარი წესით. ზოგან ქალებს ღებულობენ მასიურად, რაც რასაკვირველია დაუშვებელია. (წინანდალის და ახმეტის თემებში 8 მარტთან დაკავშირებით მიიღეს რამოდენიმე ქალი ისე, რომ მათი საქმე უჯრედში არ განუხილავთ. შემდეგ უჯრედმა ეს ქალები არ დაამტკიცა და ამან გამოიწვია გაუგებრობა).

ზოგი თემკომი და უჯრედი არ აწარმოებს მისაღებ ამხანაგების წინასწარ შესწავლას. ზოგი კი მიღების დროს არ უწევს ანგარიშს მისაღებ კანდიდატების განათლებას და სოციალურ მდგომარეობას. ერთმა მუშამ შეტანილი ანკეტა უკან წაიღო—„აღარ მინდა პარტიაში შესვლა, რადგან ბევრ შეკითხვებს მაძლევენო". უჯრედმა ორ მუშას გაუგრძელა საკ. სტაჟი პოლიტიკურ მოუმზადებლობის გამო, მუშებისადმი ასე მიდგომა ხელს უშლის ორგანიზაციის ნორმალურ ზრდას.

ღარიბების და მოჯამაგირეების ლტოლვა პარტიისადმი საგრძნობლად გაძლიერდა, რაც აიხსნება მათ შორის სპეციალური მუშაობის წარმოებით; ამან კი შედეგად მოგვცა ღარიბების და მოჯამაგირეების პროც. ზრდა ორგანიზაციაში.

ვ. ლუარსაბოვი.

როგორ მუშაობს სასწავლებლის კომუჯრედი

(ლენრაიონი, თბილისი)

ჩვენ ძალიან ღარიბი ვართ კომუნისტი პედაგოგებით. ამიტომაც ჩვენში უკანასკნელ წლებამდე სრულიად არ არსებობდა მასწავლებელთა კომუჯრედები. ამჟამად თბილისის ორგანიზაციაში ითვლება მასწავლებელთა ოთხი უჯრედი.

ლენინის რაიონში ასეთი კომუჯრედი ჩამოყალიბდა 1926 წელში. უჯრედი თავიდანვე მცირერიცხოვანი იყო. ამჟამად კი აერთიანებს 12 წევრსა და 9 კანდიდატს. პირველ ხანებში უჯრედის მუშაობა ძალზე სუსტად და უფერულად მიმდინარეობდა. მან ვერ შესძლო სასკოლო ცხოვრებაში შეჭრა და უჯრედის თვითეული წევრი სრულიად დამოუკიდებელ მუშაობას აწარმოებდა სკოლაში.

ცხადია სკოლების ყოველდღიურ ცხოვრებაში წამოიჭრება მრავალი საჭირბოროტო საკითხი. აუცილებელია საერთო აზრის შექმნა საკითხების გარშემო, ერთი სიტყვით—მათი კომუჯრედში დამუშავება, ამას უჯრედი ყურადღებას არ აქცევდა,—უჯრედის კრებებზე ისმებოდა მხოლოდ საერთო ხასიათის პარტიული და საბჭოთა ცხოვრების საკითხები.

მასიური მუშაობა თითქმის არ სწარმოებდა. მასწავლებელთა მასებს და კომუჯრედს შორის ჩინური კედელი იყო აღმართული.

ამ ბოლო ხანებში უჯრედმა შესძლო სასკოლო საკითხებთან დაახლოება. კრებების დღის წესრიგში დაისვა მოხსენებები სკოლების მდგომარეობის შესახებ და მათ გარშემო მიღებულ იქნა საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საკითხები უმთავრესად ისმებოდა უჯრედის ღია კრებაზე, სადაც უპარტიო მასწავლებლობაც საკმაოდ ესწრებოდა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მასიური მუშაობის განვითარებას მასწავლებელთა შორის და აწია კომუნისტ-პედაგოგების ავტორიტეტი. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ მასიური მუშაობის სასურველად გაშლას ხელს უშლის ზოგიერთი ტექნიკური საკითხი და რაც უმთავრესია, ჩვენი ძალების სიმცირე.

ჩვენი სკოლების მდგომარეობის გაცნობაში დიდი სარგებლობა მოიტანა იმ გამოკვლევამ, რომელიც უჯრედმა ჩაატარა რაიკომის ხელმძღვანელობით. გამოკვლევა შეეხო ლენრაიონში შემავალ სასწავლებლებს და მრავალი საინტერესო ფაქტი გამოაშკარავა ჩვენი სასკოლო ცხოვრებიდან.

უჯრედმა შესძლო კომკავშირის უჯრედის მუშაობის გაუმჯობესება, თუმცა ამ უჯრედს (ჯერ კიდევ მრავალი სუსტი მხარე ახასიათებს). უჯრედმა უნდა განაგრძოს მომავალში სასკოლო ცხოვრების კონკრეტულ საკითხების დამუშავება. გააცხოველოს მასიური მუშაობა, რომ ამ გზით კომუნისტ-პედაგოგების გვერდით განმტკიცდეს ჩვენი ნამდვილი თანამგრძნობი საბჭოთა პედაგოგების კადრი. ამ მუშაობის სასურველად საჭიროა უჯრედის რიცხობრივი გაძლიერება. რაიკომი უნდა შეეცადოს, რომ ყველა კომუნისტი მასწავლებელი მიამაგროს მასწავლებელთა კომუჯრედზე.

ირან.

კომკავშირში

მეტი ყურადღება გასამხედროების საკითხებს

კომკავშირში სამხედრო მუშაობის საკითხი ყოველთვის პირველ რიგში იდგა.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გართულების შემდეგ კი კომკავშირმა პრაქტიკულად დასვა როგორც კომკავშირის წევრთა, ისე უპარტიო ახალგაზრდობათა გასამხედროების საკითხი. სამხედრო ცოდნათა მთელ რიგ წრეებმა, (მსროლელთა სპეციალური წრეები, მუშა-ახალგაზრდობის ბატალიონები) მიზნად ჰქონდა დასახული მომზადება ახალგაზრდობის ფართო მასების სამხედრო საკითხებში, მიეცა მათთვის ელემენტარული სამხედრო ცოდნა.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ამჟამად არ გველის არავითარი ომის საფრთხე და ამიტომ საჭირო არ არის მივაქციოთ ყურადღება გასამხედროების საკითხს. ასეთი შეხედულება ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ განუწყვეტლივ უნდა გავაძლიეროთ სამხედრო ძალები, მუდამ უნდა ვიყოთ მზად ყოველი მოსალოდნელი შემთხვევისათვის. პარტიის უკანასკნელმა ყრილობამაც აღნიშნა, რომ ეხლა უფრო უკეთესად უნდა დავაყენოთ სამხედრო მომზადების საქმე.

კომკავშირი იმდენად უშუალოდ ჩაება სამხედრო მუშაობაში, რომ ის უკვე პრაქტიკულ მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობაში. განსაკუთრებული ყურადღება ამჟამად ექცევა სამხედრო სასწავლებლების შევსების საკითხს. ჩვენს წინაშე სდგას შემდეგი ამოცანა: კომკავშირის საუკეთესო კადრები გავგზავნოთ წითელი არმიის რიგებში და წითელი არმიის მეთაურთა სკოლებში. ჩვენ ეხლა მუშაობას ვაწარმოებთ წარსული წლის გამოცდილებათა ნიადაგზე და ამიტომ აღარ უნდა დაუშვათ ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შარშან.

კომკავშირის ყოველმა კომიტეტმა, ყოველმა კომკავშირელმა, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს გასამხედროების საკითხს.

ა. საკიანი.

თურქეთის ელჩი თბილისში

გუშინ სპარსეთიდან თბილისში ჩამოვიდა თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ზ. თევფიქ-ბეი. სპარსეთში იგი მონაწილეობას ღებულობდა თურქეთ-სპარსეთის მოლაპარაკებებში, როგორც თურქეთის მთავრობის წარმომადგენელი. აღნიშნულ მოლაპარაკების შესახებ, თევფიკ-ბეიმ ჩვენ თანამშრომელთან საუბრში განაცხადა:

— იმ მოლაპარაკების მიზანი, რომელიც სწარმოებდა თეირანში თურქეთ-სპარსეთს შორის იყო თურქეთისა და სპარსეთს შორის კეთილ-მეზობლური ურთიერთობის განმტკიცებული გარანტიის შექმნა. მოლაპარაკება დაიწყო ამ ერთი თვის წინად და დამთავრდა ივნისის შუა რიცხვებში.

კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ შეთანხმებული ხელშეკრულების განხილვის დროს, ორივე მთავრობის დელეგაციებმა გამოამჟღავნეს ურთიერთის ინტერესებისადმი დიდი პატივისცემა; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადებას არავითარი მნიშვნელოვანი დაბრკოლება არ გადაღობებია წინ.

ამჟამად მე მივემგზავრები თურქეთში, სადაც მინდა ჩემს მთავრობას გავაცნო სპარსეთთან წარმოებული მოლაპარაკების ზოგიერთი ტექნიკური მხარეები, და შემდეგ ვფიქრობ დაუყოვნებლივ დავბრუნდე მოსკოვში ჩემი პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად.

ამასთანავე მინდა აღვნიშნო, რომ კეთილმეზობლურ დამოკიდებულების განმტკიცებელი აქტი, რომელიც დაიდო თურქეთსა და სპარსეთს შორის დადებით გავლენას იქონიებს საერთოდ მშვიდობიანობის განმტკიცებაზე აღმოსავლეთში.

სახალხო მამულების ტრესტის საბრუნავი თანხები

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა სახალხო მამულების ტრესტის საბრუნავი თანხების მდგომარეობა.

ვინაიდან სახ. მამულების ტრესტის ვენახებს უკანასკნელ ხანში ძალიან აზარალებდა ფილოქსერა, საჭირო შეიქნა ამ მავნებლის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღება. გაშენებული იქნა ფილოქსერის გამძლე ვენახები და გარდა ამისა ტრესტმა მოაწყო სათბურები და ამერიკული ვაზის სამყნობები, რაზედაც დაიხარჯა—1.294.163 მანეთი.

გარდა ამისა, ტრესტი იძულებულია სხვადასხვა ნედლეულში დააბანდოს დიდი თანხები. ამასთანავე აღნიშნულ იქნა ის გარემოება, რომ როგორც ახლათ გაშენებულ ვენახში, ისე ნედლეულში დაბანდებული თანხებს ბრუნვას სჭირდება რამოდენიმე წელიწადი და სახალხო მამულების ტრესტის საბრუნავი თანხები ამჟამად საგრძნობლად შესუსტებულია, რაც შეაფერხებს ტრესტის ნაყოფიერ საქმიანობას. ამიტომ საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ სახ. მამულების ტრესტის საბრუნავი თანხები გადიდებულ იქნეს—1.359.000 მან., ამ მიზნით საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატს უნდა დაევალოს გამოსძებნოს სათანადო წყარო ამ ღონისძიების 1928-29 წელში გასატარებლად.

სამეცნიერო აკადემიის ექსპედიციის ჩამოსვლა

29 ივნისს თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ნ. ბუში. ექსპედიცია მიემგზავრება სამხრეთ-ოსეთში გეოლოგიურ და ბოტანიკურ გამოკვლევების ჩასატარებლად.

გეოლოგიურ გამოკვლევებს უხელმძღვანელებს პირადათ ექსპედიციის უფროსი, ხოლო ბოტანიკურ გამოკვლევების საწარმოებლად ექსპედიციას თან ჩამოჰყვა სამეცნიერო აკადემიის ბოტანიკური მუზეუმის სპეციალისტი ქალი ელ. ბუში.

ექსპედიცია თბილისში გაეცნობა ზოგიერთ სამეცნიერო მასალებს, რის შემდეგაც გაემგზავრება ცხინვალში.

მდგომარეობა პურის ბაზარზე

გუშინ საღამოს ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა ლენინის რაიონის მუშათა აქტივის გაფართოებული კრება, რომელზედაც პურის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის და მომავალი პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. **სააკიანმა.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პურის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გასულ წელს ხორბლეულის დამზადების კამპანია ვერ დამთავრდა სათანადო ეფექტით. ხორბლეულის ზოგიერთ რაიონში ხორბლის მოსავალი მეტად მცირე იყო, ხოლო ზოგ რაიონში, სადაც მოსავალი დიდი იყო, დამამზადებელი აპარატი ვერ იყო სათანადოთ მომზადებული და დამზადების გეგმა მთლიანად ვერ იქნა შესრულებული.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საერთოდ ჩვენი სოფლის მეურნეობა ნახევრად პრიმიტიულ ხასიათს ატარებს, რასაც შედეგად მოსდევს მოსავლიანობის მოულოდნელი ცვალებადობა. როგორც კი გამოირკვა, რომ ხორბალი დამზადებულია არაგანზრახული რაოდენობით, ხელისუფლებამ იმთავითვე მიიღო ზომები მოსახლეობისათვის საჭირო ხორბლის მარაგის შესანახად. ამ მიზნით შემცირებულ იქნა საექსპორტო გეგმა.

1926—27 წელში რუსეთიდან საზღვარგარეთ გატანილი იყო 100 მილიონ ფუთზე მეტი ხორბალი, ხოლო 1927—28 წელში ეს რაოდენობა დაყვანილი იქნა 27 მილიონამდე. მოსახლეობისათვის ხორბალი მომარაგებული იქნა საკმაო რაოდენობით. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამოირკვა, რომ ხანგრძლივი და ცივი ზამთრის გამო გაფუჭებულია შემოდგომის ნათესების დიდი ნაწილი და საჭირო გახდა ამ ნათესების მეორედ დათესვა.

1-ლი ივლისიდან იწყება ხორბლეულის დამზადების ახალი კამპანია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო გადამჭრელი ზომები რომ ხორბლეულის ადგილობრივი მოსავალი გამოყენებული იქნეს მაქსიმალურად და სანამ რუსეთიდან მივიღებდეთ ახალ ხორბალს, მოვიმარაგოთ ადგილობრივ დამზადებული ხორბალი.

ამჟამად სწარმოებს პურის საცხობების მექანიზაცია. ეწყობა პურის ქარხანა და მექანიკური თონეები, რაც გააიაფებს გამომცხვარი პურის თვითღირებულებას.

კოოპერატიულ პურის გამსაღებელი პუნქტები აქამდე მეტ წილად ეჭირათ მოიჯარადრეებს, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ პურის ბაზარზე შექმნილ გართულებას და ეწეოდენ სპეკულიაციას ფქვილით. ახლო მომავალში მოიჯარადრეები განდევნილი იქნებიან პურის ბაზრიდან, რაც ხელს შეუწყობს პურის ბაზარზე ნორმალურ მდგომარეობის შექმნას.

დღეს, 30 ივნისს, საღამოს 6 საათზე
სასახლეში საქ. ცაკთან არსებული ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის გამაუმჯობესებელი კომისია იწვევს
გაფართოებულ თათბირს
მეძაობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ
დასწრება სავალდებულოა ყველა მოწვეულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისათვის.

საბჭოთა საქართველო

წ ე რ ი ლ ე ბ ი

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

კედლის გაზეთების გამოცემა ჩვენში შედარებით ახალი საქმეა. ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ მათ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, რომელთა გამოსწორებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ეს ითქმის განსაკუთრებით სოფლად გამოცემულ კედლის გაზეთებზე.

რაში გამოიხატება კედლის გაზეთების ნაკლი? პირველ ყოვლისა აღსანიშნავია გლეხკორთა წრეების სუსტად ჩამოყალიბება კედლის გაზეთებთან. თემებში ბევრგან არსებობს კედლის ისეთი გაზეთები, რომელთა ირგვლივ გლეხკორთა წრე არ არის ჩამოყალიბებული. ზოგან კი წრეების არსებობას უფრო ფორმალური ხასიათი აქვს, ვინემ ფაქტიური. ამის გამო ძალიან ფერხდება გაზეთების თავის დროზე გამოცემა და ისინი სუსტი არიან შინაარსითაც.

კედლის გაზეთების გაჯანსაღებას და მის სისტემატიურად გამოცემას აფერხებს აგრეთვე საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უყურადღებობა კედლის გაზეთებისადმი. უმრავლეს შემთხვევაში ხსენებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კედლის გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს და არ იღებენ ზომებს მათი გამოსწორებისათვის. ეს გარემოება კედლის გაზეთების ხელმძღვანელებს და მის ირგვლივ შემოკრებილ კორესპონდენტებს ართმევს მუშაობის ხალისს და ამის შედეგად თვეში ერთხელ გამოსაცემი გაზეთი გამოდის რამოდენიმე თვის დაგვიანებით, ზოგან კი მთლად სწყვეტს არსებობას.

კედლის გაზეთების გამოცემის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე გლეხკორთა დევნაც. ზოგიერთი დაწესებულების მეთაურები, როდესაც გაზეთში მათი მუშაობის უარყოფითი მხარეების შესახებ იწერება შენიშვნა, ნაცვლად იმისა, რომ მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ცდილობენ გაიგონ შენიშვნის დამწერის ვინაობა და თუ ამ მიზანს მიაღწიეს, იწყებენ გლეხკორის დევნასა და შევიწროებას.

ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სოფლად კედლის გაზეთების გასაჯანსაღებლად პირველ ყოვლისა საჭიროა ყველა კედლის გაზეთებთან ჩამოყალიბდეს გლეხკორთა წრეები. ამ მუშაობის ხელმძღვანელობა უნდა იკისროს პარტორგანოებმა და თემკომიტეტებმა. სასტიკი ბრძოლა უნდა სწარმოებდეს გლეხკორთა მდევნელების წინააღმდეგაც.

რამდენადაც უფრო მრავალრიცხოვანი და სათანადო ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი გლეხკორები იქნება კედლის გაზეთების ირგვლივ შემოკრებილი, იმდენად ეს გაზეთები უფრო უკეთ შესძლებენ დაკისრებული ამოცანის განხორციელებას და გლეხკორთა დევნაც აღმოიფხვრება.

კედლის გაზეთებს დღევანდელ თვითკრიტიკის პერიოდში გაორკეცებული მნიშვნელობა ენიჭება და ჩვენი მოვალეობაა ყოველ მხრივ გავაჯანსაღოთ მათი საქმიანობა.

გლეხკორი.

საავადმყოფოა თუ აფთიაქი

დ. საჩხერე, შორაპნის მაზრა

ამ რამოდენიმე თვის წინად მაზრიდან გამოგზავნილ ცირკულიარის თანახმად საჩხერის საავადმყოფოს ჩამოერთვა ყოველივე სააფთიაქო ინვენტარი და გადაეცა საბჭოთა აფთიაქს. მიუხედავად ამისა, საავადმყოფო მაინც არ იშლის წამლების დამზადებას. იბადება კითხვა, თუ ვინ ამზადებს საავადმყოფოში წამლებს? წამლები მზადდება ექიმის თანაშემწის, ბებია-ქალების და მოწყალების დის მიერ. შესძლებენ თუ არა წამლების სწორად დამზადებას ზემოხსენებული პირები? რა თქმა უნდა ვერა. მაშ რად არ აქცევს მედსანშრომის ადგილკომი ამ გარემოებას ყურადღებას?

ადგილკომის თავმჯდომარეთ ექიმის თანაშემწეა და მან გვიპასუხოს თუ კი შეიძლება არა სპეციალისტის მიერ წამლების დამზადება. მაშინ რა საჭიროა აფთიაქის შტატის შენახვა ცხრა კაცის შემადგენლობით?

ასეთ მოვლენას საჩხერის საავადმყოფოში სისტემატიური ხასიათი აქვს. საჭიროა ჯეროვან ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს.

კობა.

ნაყოფიერი შედეგები ჩივილით

ლანირ-ჭაბანი, ქუთაისის მაზრა

მიმდინარე წლის შემოდგომისათვის საბჭოების გადარჩევის გადადებამ და ამის ნაცვლად საბჭოთა სექციების საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შემოწმებამ საშუალება მისცა მშრომელთა ფართო მასებს ჩამდგარიყვნენ საბჭოს და სექციების ყოველდღიური პრაქტიკულ მუშაობაში. ამომრჩევლები გულდასმით ეცნობოდნენ საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს, მომხსენებლებს აძლევდნენ მეტად საქმიან შეკითხვებს და უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ რამდენად სისწორით და მტკიცედ ატარებდნენ საბჭოები მიცემულ დავალებებს და სხვა. ამის ნათელი დამამტკიცებელია ყველას წერილები საბჭოების და სექციების მუშაობის შესახებ, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურ პრესაში იბეჭდებოდა.

სექციების მუშაობის შემოწმებამ გამოაშკარავა, რომ არის საბჭოები, სადაც ისეთი წევრი ირიცხებიან, რომლებიც არჩევნების შემდეგ ერთხელაც არ დასწრებიან საბჭოს სხდომაზე, ხოლო რაც შეეხება პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობას, ისეთს კი ახლოსაც არ ეკარებიან. ამგვარ მდგომარეობას მოსასპობისათვის აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს, „მკვდარი სულები“ საბჭოში არ უნდა იყვნენ.

ჩატარებული კამპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ამომრჩეველთა მიერ საბჭოს უმოქმედო წევრების უკან გაწვევა. ჩატარებულმა კამპანიამ ამის მაგალითები ბევრგან გვიჩვენა; საბჭოს პასიური, უმოქმედო და ლაჩრების შემლახველ წევრთა უკან გაწვევა ამომრჩეველთა ფართო მონაწილეობის ნიშნით ჩატარდა.

მომავალ არჩევნებში უნდა ვეცადოთ, რათა ავირჩიოთ ისეთი დეპუტატები, რომლებიც პირნათლად გაატარებენ ცხოვრებაში ამომრჩევლების დავალებებს.

მლ. მალდავა.

მოძრავი კინო სოფლად
(წერილი რაჭიდან)

რაჭის მაზრ-პოლიტგანმა მარტში შეიძინა მოძრავი კინო, რომელმაც 21 თემში აჩვენა სახკინმრეწვის კინო-სურათები „არსენა ყაჩაღი“ და „ჯამბი სიცოცხლე“. ამჟამად კი აჩვენებს „ვინ არის დამნაშავე“.

აღნიშნულმა მოძრავმა კინომ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხობაში, რამაც ნათლად დაანახა სამ-აღმასკომს, რომ ერთი მოძრავი კინო ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. სოფლებიდან აფარებული მომართვები მოსდის პოლიტგან-განყოფილებას მოძრავ კინოს პირველ რიგში მიღებისათვის.

საჭიროა მეორე მოძრავი კინოს შეძენა მოსახლეობის დაკმაყოფილების მიზნით.

ნარ. დალაქიშვილი.

სანიტკომისიას სძინავს

მარნეული, ბორჩალოს მაზრა

აქ ადგილმდებარეობა მალარიანია. მოსახლეობის უმრავლესობა მალარიით არის დაავადებული. ვისაც შეძლება აქვს ზაფხულობით კიროვკაში მიდიან ბამბეკიოთს, აღბულაღის და ლუქსემბურგის რაიონებში. ვინც უსახსრობის გამო ისევ ადგილობრივად რჩება ერთობ დაავადებულია მალარიით და თავის სიცოცხლეს ექიმობაში (წამლობა) ატარებს.

მაზრის ხელისუფლებამაც მიაქცია ყურადღება ისეთ მდგომარეობას და სარვანში გახსნა სამალარიო სადგური, რომელიც დახმარებას უწევს რამოდენიმე ათეულ სოფელს, მაგრამ ყოველივე ამ ცდებს მოსახლეობის დახმარებისათვის ეწინააღმდეგება სარვანის და მარნეულის მიდამოების უსუფთაობა. არავერი დუქნებში, სამიკიტნოებში, საყასბოებში და ბაზარზე სისუფთავე არ არის დაცული, რაც ხელს უწყობს მალარიის გავრცელებას და [illegible] გამრავლებას.

სანიტარული კომისიაც სალათას ძილს მისცემია და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ასეთ აუტანელ მდგომარეობას. არც სარვანის თემაღმასკომის სავალდებულო დადგენილება ტარდება ცხოვრებაში, სისუფთავის დაცვის შესახებ.

საჭიროა დროზე მიექცეს ამ საქმეს ყურადღება.

ვანილი.

წითელი ჯვრის კომიტეტის საქმიანობა
(წერილი ზესტაფონიდან)

წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტი გასული წლის პირველ ივნისისათვის აერთიანებდა 9 ქვე-კომიტეტს 1.300 წევრით, ხოლო 1928 წლის პირველ ივნისისათვის კი 28 ქვე-კომიტეტს 2696 წევრით. ამ ხნის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარდა 122 პროცენტით.

მოწყობილია მაზრის ყველა რაიონებში პირველდახმარების აღმოჩენის შესასწავლი წრეები, რომელსაც ექიმები ხელმძღვანელობენ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წრეებით მსმენელები რომელთა რიცხვი უდრის 187-ს დიდად დაინტერესებული არიან.

ქალაქ ზესტაფონში ისეთი წრე დაამთავრა 61 კაცმა, რომლებმაც სამუშაო მიიღეს მონაწილეობა მაზრაში მოწყობილ მანევრებში.

წითელ ჯვარს აქვს აგრეთვე ქ. ზესტაფონში და საჩხერეში საათიანი მაღაზია. ამასთან ერთად უღარიბეს გლეხობას უწევს უფასო სამედიცინო დახმარებას და აწვდის მედიკამენტებს ყოველ თვიურად 200 მანეთის ფარგლებში.

კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზემოთ აღნიშნულ წრეებით ერთის მხრივ მოსახლეობის გასამხედროებას, მეორეს მხრივ კი მშვიდობიანობის დროის მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს.

„ბ-კი“.

საკრედიტო ამხანაგობის საქმიანობა

ს. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა

საგრძნობლად გაფართოვდა ჩვენი თემის საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა. შეძენილია ტრაქტორები, სამკალი და სათესი მანქანები, გამოსაწერის სალეწი მანქანაც. ამხანაგობას სავსე აქვს ორი საწყობი მასალებით, გუთნებით და აგრეთვე სხვადასხვა სამეურნეო იარაღებით.

ამხანაგობას დათესილი აქვს 15—16 დესეტინაზე ბამბა, მზესუმზირა და სხვა. მასში ამუშავებს ღარიბ გლეხებს, რომლებსაც ხელფასი დამაკმაყოფილებელი ეძლევათ.

ამხანაგობის ინიციატივით შეიქმნა გლეხქალთა კოლექტივი, რომელშიაც ირიცხება 52 წევრი. ხსენებულ კოლექტივმა გათოხნა 20 დესეტინამდე ბამბის, მზესუმზირის და სიმინდის ნათესები.

წელს კაკაბეთის თემში მოსავალი კარგი პირი უჩანს, მხოლოდ უკანასკნელად გაჩნდა კალია. ამხანაგობამ ამასაც მიაქცია ყურადღება და გამოიწვია მაზრიდან სპეცი და თემში უკვე მოტანილია 120 ფუთამდე ნარევი კალიის საწინააღმდეგოდ.

ჩვენს თემში ბევრი ღარიბი გლეხია, რომელთაც ძველი სამოსახლოდან ახალ ალაგას გადააქვთ სახლები. ამხანაგობა ასეთებს აძლევს სესხად 150 მანეთს.

საერთოდ საკრედიტო ამხანაგობამ მრავალი საქმეები მოაწყო გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც უნდა მიეწეროს გამგეობის ენერგიულ საქმიანობას.

ხილომონ ქიზიყურაშვილი.

გლეხკორთა წერილებიდან

მევახშეობას ეწევა

სვირი, ქუთაისის მაზრა

ამ სოფელში სცხოვრობს ვანო კაპანაძე, რომელიც მევახშეობას ეწევა. გაჭირვებულ გლეხებს ის ახდევინებს 10 და ზოგჯერ მეტ პროცენტსაც თვეში. მევახშეობით კაპანაძემ კარგა მოიძლიერა თავი. თემაღმასკომმა არ უნდა დაუთმოს ნება კაპანაძეს მევახშეობის წარმოების.

სოლიბისტრო.

ჩვენი კედლის გაზეთი

სოფ. ბოსლევი, შორაპნის მაზრა

მიმდინარე წლის 16 მარტიდან ადგილობრივი პარტუჯრედისა და თემკომის ინიციატივით სოფ. ბოსლევში გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი „გლეხის ხმა“. გაზეთში საკმაოდ შუქდება ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თემში ბევრი გლეხკორია, გაზეთთან ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული გლეხკორთა წრე. კარგი იქნება, თუ გლეხკორთა წრის ჩამოყალიბებაში რომელიმე ცენტრალური გაზეთის რედაქცია დაგვეხმარება.

რე.

აღმშენებლობის ფრონტზე

საამშენებლო მასალის წარმოება გასაფართოებლად

საკავშირო ცაკმა და საკავშირო სახკომსაბჭომ შემდეგი ცირკულიარული მიმართვა დაუგზავნა საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს და სახკომსაბჭოებს:

საამშენებლო მასალების მწვავე დეფიციტი, მათი არაჩვეულებრივი სიძვირე და მდარე ღირსება ქმნიან ჩვენი აღმშენებლობის ტემპის შენელების საფრთხეს. ამასთან დაკავშირებით მიღებული უნდა იქნას გადამჭრელი ზომები საამშენებლო მასალათა მრეწველობის მუშაობის მოსაწესრიგებლად და მისთვის ფინანსების დაუბრკოლებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად.

დამატებით საამშენებლო მასალების მრეწველობის განვითარების შესახებ გამოცემულ დადგენილებებისა, საკავშირო ცაკი და საკავშირო სახკომსაბჭო წინადადებას აძლევენ მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს დაავალონ ეკონომიურ საბჭოებს (თათბირებს) სამხარეო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ქალაქის საბჭოების პრეზიდიუმებს მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა:

1) საკავშირო მთავრობის შესაფერ დადგენილებათა მიხედვით საამშენებლო მასალების მრეწველობას სასწრაფოდ და ფაქტიურად მიეცეს საჭირო ფულადი საშუალებები.

2) მაქსიმალურად იქნეს განვითარებული უმარტივეს საამშენებლო მასალების, განსაკუთრებით კი — აგურის დამზადება, რისთვისაც მხედველობაში იქნეს მიღებული საჭიროება იმ ადგილობრივი თუ საერთო-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, რომელიც ამა თუ იმ რაიონის ტერიტორიაზე სწარმოებს.

3) მოეწყოს და სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი ისეთ საამშენებლო მასალათა წარმოება, რომელთა დამზადების საქმე დიდ საშუალებათა დახარჯვას არ მოითხოვენ და წრეულსვე შეუძლია მოგვცეს შესაფერი შედეგი (კრამიტი, ცემენტი და სხ.), რათა ამ გზით შესაძლებელი შეიქნეს ზოგიერთ დანაკლის საამშენებლო მასალების შეცვლა.

4) საამშენებლო მასალების ადგილობრივ მრეწველობას გაეწიოს ფინანსიური დახმარება ფაქტიური შეღავათების მიცემით საბანკო კრედიტის დარგში.

5) ყოველმხრივ იქნეს განვითარებული საამშენებლო მასალების კოოპერატიული და კუსტარული მრეწველობა, რისთვისაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მათი უზრუნველყოფა ფინანსებით, მისცენ მათ საგადასახადო შეღავათები და სხ.

მზადება მომავალი წლის საამშენებლო სეზონისათვის

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან დაარსებულმა სპეციალურმა (საამშენებლო საქმეთა) კომისიამ 1929 წლის საამშენებლო სეზონისათვის თავის დროზე მომზადების უზრუნველსაყოფად საჭიროდ სცნო შეიცვალოს საბინაო და კომუნალურ აღმშენებლობისათვის გადადებულ კრედიტების განაწილების წესი და ვადები. განზრახულია გამოირკვეს 1929 წლისათვის საბინაო და კომუნალურ მშენებლობაზე დასახარჯავ თანხების მინიმალური ჯამი იმ ანგარიშით, რომ სათანადო თანხების განაწილება საკავშირო უწყებებსა და რესპუბლიკების შორის მოხდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ივლისის პირველი რიცხვებისა. ცენტრალურ კომუნალური ბანკის საერთო საკრედიტო გეგმა დამტკიცებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 28 სექტემბერისა. განცხადებები საჭირო კრედიტების შესახებ ბანკს უნდა გადაეცეს არა უგვიანეს 1-ლი დეკემბრისა.

კომისიამ საჭიროდ აღიარა აგრეთვე, რომ მიწის ნაკვეთების გამოყოფა ყოველი სახის აღმშენებლობისათვის, რომელსაც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები და შერეული საზოგადოებები აწარმოებენ, ხდებოდეს ისეთ ვადებში, რომ უზრუნველყოფილი იქნეს 1929 წ. საამშენებლო სეზონის თავის დროზე მომზადება.

განცხადებები მიწის ნაკვეთების გამოყოფაზე მრეწველობისა და მუშათა საბინაო მშენებლობისათვის შეტანილი უნდა იქნეს არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა. მიწის ნაკვეთების გამოყოფა კი უნდა მოხდეს არა უგვიანეს პირველი ნოემბრისა.

ყველა სახის აღმშენებლობის პროექტების შედგენის და დამტკიცების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1929 წ. პირველი იანვარი. ყველა საამშენებლო კანტორებმა პირველ ოქტომბრისათვის უსათუოდ უნდა იქონიონ საამშენებლო სამუშაოთა საორგანიზაციო პროგრამები. პირველ ნოემბრისათვის ეს გეგმები და პროგრამები დამტკიცებულ უნდა იქნან შესაფერ ორგანოების მიერ, რომელთაც ექვემდებარებიან ეს კანტორები.

აღმშენებლობაზე, რომელიც საიჯარო წესით სწარმოებს, საიჯარო ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა საბოლოო პროექტის დამტკიცების დღიდან.

ხელშეკრულებები საამშენებლო მასალების მიწოდებაზე 1929 წლისათვის დადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1929 წ. პირველი იანვრისა. 1929 წ. 1-ელ მარტისთვის კი სათანადო ორგანიზაციებმა უნდა იქონიონ საამშენებლო სამუშაოთა წარმოების და ფინანსების უზრუნველყოფის გამზადებული გეგმა, განაწილებული თვეების მიხედვით.

კეთროვანთა ახალშენის მოწყობა
(სპეციალისტთა თათბირის გადაწყვეტილება)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შემდგარმა სარესპუბლიკათაშორისო თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო კეთროვანთა ახალშენის მოწყობის საკითხზე, დაამთავრა თავისი მუშაობა. კეთრთან ბრძოლისა და ამიერკავკასიაში კეთროვანთა ახალშენის მოწყობის შესახებ თათბირმა მოისმინა სამი მოხსენება, რის შემდეგაც თათბირმა გადასწყვიტა:

ამიერ-კავკასიაში მოწყობილ იქნეს კეთროვანთა ერთი ახალშენი, რომელშიაც შესაძლებელი უნდა გახდეს 500 კეთროვანის მოთავსება. პირველ ხანებში ახალშენში გაიხსნება 150 ავადმყოფი. ახალშენი გაყოფილი იქნება სამ დამოუკიდებელ ნაწილად: პირველ ნაწილში მოთავსდება სამედიცინო პერსონალი და მუშა-მოსამსახურეები. მეორე ნაწილი დაკავებული ექნებათ კეთრით მსუბუქად შეპყრობილ ავადმყოფებს, რომლებსაც შეეძლებათ იმუშაონ ახალშენის ბაღებში. მესამე ნაწილში მოთავსდებიან მძიმე კეთროვანები.

კეთროვანთა ახალშენის მოწყობამდე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სპეციალური ექსპედიციები კეთრის ბუდეების გამოსაკვლევად და ჯერ აღურიცხავი ავადმყოფების აღრიცხვაზე ასაყვანად.

კეთროვანთა ახალშენის მოსაწყობი ადგილი თათბირმა აირჩია შემახის რაიონში (ქალ. შემახიდან 18 კილომეტრის დაშორებით შემახა-ქურდამირის გზატკეცილის მახლობლად).

როგორ გვეხმარებიან

ფიზიკური კულტურა ამ უკანასკნელ დროს თანდათან იკავებს შესაფერ ადგილს საერთო კულტურულ მუშაობაში, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურის განვითარებას არა აქვს გეგმიანი ხასიათი, ის ჯერ ჯერობით უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის შემთხვევით მოვლენას წარმოადგენს. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ფიზიკური კულტურა სოციალისტური აღზრდის ნაწილია, რომ ის მოსახლეობის ინერტულ ფენების საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის საშუალებაა და სხ. და სხვ., — ყოველივე ეს ქაღალდზე რჩება.

ჩვენ მოწმენი ვართ იმის, რომ როცა ფიზკულტურის მუშაკები ამა თუ იმ საქმის გამო, მიმართავენ დაწესებულების მეთაური უწინარეს ყოვლისა მას აძლევს ასეთ კითხვას: „რა, ფული გინდათ? და უპასუხებს — „ფული არა გვაქვს“!.

რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს კულტურულ - საგანმანათლებლო ორგანიზაციებს არ მოუსმენიათ ფიზკულტურის ორგანიზაციების მოხსენებები.

ფიზკულტურის ქვედა საფეხურის მუშაკებს, რომლებიც ფიზკულტურის წრეებში მუშაობენ, არავითარი დახმარებას არ უწევენ. ფიზკულტურა მხოლოდ თავისი ზრდა - განვითარების მეოხებით სტიქიურად აიძულებს ორგანიზაციებს გაუწიონ მას ანგარიში.

პროფკავშირებს, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ მუშაობას ფიზკულტურის დარგში, ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ თავის შიგნით სათანადო პირობები ფიზკულტურის განვითარებისათვის.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ფიზკულტურა პროფკავშირების კულტმუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ქაღალდზე რჩება, ფიზკულტურას დიდი ბრძოლა უხდება, როგორც კლუბის გამგესთან, ისე პროფსაბჭოს თავმჯდომარესთან იმისათვის, რომ მან შესაფერი ადგილი დაიკავოს კულტურულ მუშაობაში.

ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა ინსტრუქტორი თვეში ღებულობს 25 მან., ჩვენ წავიკითხეთ ოზურგეთის სამაზრო პროფბიუროს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ იქ ინსტრუქტორი ჯამაგირს სრულიად არ ღებულობს.

ინსტრუქტორებს სამი-ოთხი წრე აბარიათ, როგორ უნდა გაწვდენ ისინი ამ წრეებს? მაზრებში, მცირე გამონაკლისს გარდა, პროფკავშირები უფასოდ ამუშავებენ ინსტრუქტორებს, რა უნდა მოსთხოვოთ ინსტრუქტორს ასეთ შემთხვევაში?

ფიზკულტურა პროფკავშირებში იზრდება. მუშათა ახალგაზრდობა ეწერება წრეებში, ფიზკულტურის ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ ამოცანებთან, რას აკეთებენ ამ დროს უწყებები და ორგანიზაციები ფიზკულტურის განსამტკიცებლად? — ძალიან ცოტას. მუშაობის ახალი ფორმები მოითხოვენ ახალ მუშაკებს. რა გავაკეთეთ ჩვენ ამ მიმართულებით? — სრულიად არაფერი.

ფიზკულტურის წრეების მუშაკები შაბლონით მუშაობენ. არც პროფკავშირებს, არც განათლების სახალხო კომისარიატს, არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს ფიზკულტურის მუშაკების ახალი კადრის მოსამზადებლად.

დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები სათანადოთ არ აფასებენ ფიზკულტურას — ისინი მას ისე უყურებენ, როგორც თავშესაქცევ და გასართობ საქმეს.

ჩვენ ვიცით ასეთი შემთხვევაც: ა.-კ. ფიზკულტურის საბჭოს ხელმძღვანელს — პარტიულ ამხანაგს დაწესებულებებმა რამდენიმე თვის განმავლობაში არ მისცეს სამუშაო, როცა გაიგეს, რომ ის ფიზკულტურაში მუშაობდა — მათ ეჭვი ეპარებოდათ, რომ ეს ამხანაგი ჩვეულებრივ მუშაკად გამოდგებოდა.

ამას წინად ჩვენ გაზეთში მოვათავსეთ წერილი იმის შესახებ, რომ ფიზკულტურის ხელმძღვანელობის დარგში ადგილი აქვს მთელ რიგ არანორმალურ მოვლენებს, — წერილი, უმთავრესად, ეხებოდა პროფკავშირებს, მაგრამ არავინ გამოხმაურებია ჩვენს წერილს.

ეჭვის შეტანა იმაში, რომ კულტგანყოფილებების მუშაკებს წერა არ ეხერხებათ, ცოტა უხერხულია, ვინაიდან ეს ამხანაგები მუშაობენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე.

ვთქვათ, ყოველივე ეს წვრილმანია!... ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ პრესა ხელს უწყობს ჩვენი ნაკლის აღმოფხვრას. და მართლაც, როცა პრესა შეეხება მუშაობის ამა თუ იმ დარგს, ამას ყოველთვის მოსდევს რაიმე რეალური შედეგი. მაგრამ როცა ფიზკულტურის შესახებ სწერს, ეჭვი გეპარება — კითხულობენ თუ არა ამ წერილებს ის ამხანაგები, რომლებისგანაც არის დამოკიდებული ფიზკულტურის განმტკიცება. ვფიქრობთ, რომ არა.

ჩვენ ეს ასე გვეხატება: ამხანაგები, რომლებმაც აიღეს გაზეთი ხელში, როცა იმ ადგილამდე მიაღწევენ, სადაც სიტყვა „ფიზკულტურაა“, გადადიან სხვა განყოფილებაზე. ისინი ასე ფიქრობენ; რატომ უნდა დავკარგოთ ტყუილა დრო, ისიც კმარა, რომ ამდენ ადგილს უთმობს გაზეთი ფიზკულტურას.

ჩვენ იმის მოწმეც ვიყავით, რომ ფიზკულტურის დღესასწაულის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა არ შესდგა დანიშნულ დროს იმიტომ, რომ არ გამოცხადდნენ კომიტეტის წევრები.

რაშია საიდუმლოება? — თურმე „დიდი კაცებისათვის“ არ კმარა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს წერილობითი მიმართვა, ისინი ფიზკულტურის თათბირზე არ გამოცხადდებიან ისე, თუ სპეციალურად არ დაურეკეთ ტელეფონით.

მეორეჯერ დანიშნული სხდომა შესდგა იმიტომ, რომ კომიტეტის წევრებს დილის 7 საათზე დაურეკეს ტელეფონით სახლში და დაბეჯითებით სთხოვეს დასწრებოდენ სხდომას.

რაშია საქმე? — სახელებით ვაშინებთ, თორემ არ გამოცხადდებიან — გვიპასუხებენ.

ნაკლი ბევრია, ხოლო დახმარება კი ცოტა. დანარჩენ ნაკლის შესახებ სხვა დროის.

შ. კიკნაძე.

სახლების ჩამორთმევა

თბილისის აღმასკომი ერთი თვეა რაც აწარმოებს კერძო სახლების მდგომარეობის გამოკვლევას.

ვინაიდან კერძო მფლობელები სახლებს არ უვლიან სრულებით და ეწევიან მათ მტაცებლურ ექსპლოატაციას, ამიტომ საქართველოს ცაკის დადგენილების თანახმად გამოკვლევის დროს მოუვლელ მდგომარეობაში აღმოჩენილი სახლები ერთმევათ კერძო მეპატრონეებს და გადადის აღმასკომის განკარგულებაში. მთელ თბილისში სახლების მდგომარეობის გამოკვლევა დამთავრდება 1 ივლისს.

დღემდე გამოკვლეულია 8.000 მეტი სახლი, რომელთა უმრავლესობა აღმოჩნდა კატასტროფულ მდგომარეობაში; მათი ჩამორთმევის შესახებ საქმე აღძრულია თბილისის საბინაო სასამართლოში.

ჩამორთმეულ სახლების მოვლისა და ექსპლოატაციისათვის თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვით პირველ რიგში ყურადღება მიექცევა საიჯარო ამხანაგობების ჩამოყალიბების საქმეს.

ჩამორთმეული სახლები გადაეცემა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებს, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან საბინაო კავშირში. ამ გეგმის მიხედვით სახლების ჩამორთმევის საბოლოოდ დამთავრების შემდეგ დაარსდება მსხვილი საბინაო-საიჯარო კოოპერატიული გაერთიანებები ტერიტორიალურ ნიშნების მიხედვით. თვითეული ამხანაგობა გააერთიანებს მთელ კვარტალს, რომელშიაც მდებარეობს ყოფა ორ კოოპერატიულ ორგანიზაციად.

ასეთ კოოპერატიულ ამხანაგობების ჩამოსაყალიბებლად უბნებში დაარსდება საორგანიზაციო ბიუროები მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობით. ამ ბიუროებს ხელმძღვანელობას გაუწევს საბინაო კავშირი თბილისის საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად.

ბიუროები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საბინაო ამხანაგობათა წესდების გამომუშავებაში, დასდებენ ხელშეკრულებებს თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოსთან და სხ.

აღსანიშნავია, რომ ცალკე სახლებში საიჯარო ამხანაგობები არ იქნება დაარსებული. არსდება ერთი მთლიანი კოოპ. ამხანაგობა, რომელშიაც გაერთიანებული იქნება რამდენიმე სახლი.

ასეთ კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობებს და სარევიზიო კომისიებს აირჩევს სათანადო კვარტალში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რის შემდეგ დაიწყება ამხანაგობის ყველა წევრთა აღრიცხვა. გამგეობებთან დაარსებული იქნება სანიტარული, კულტგანმანათლებელი და ტექნიკური კომისიები.

აჭარის-წყალის ელსადგური

წინასწარ შედგენილი გეგმით, აჭარის-წყალის ჰიდრო-ელსადგურის აგება დაჯდება 8.500.000 მანეთი; ხარჯების შემცირების მიზნით ამიერ-კავკასიის ტექნიკურმა-საამშენებლო კომიტეტმა თავის დროზე წინადადება მისცა სადგურის საამშენებლო კომიტეტს შეედგინა ჯებირის ახალი პროექტი.

სადგურის საამშენებლო კომიტეტმა დაამუშავა და ამიერ-კავკასიის ტექნიკურ-საამშენებლო კომიტეტს წარუდგინა განსახილველად ჯებირის ორი საესკიზო ვარიანტი.

ტექნიკურმა-საამშენებლო კომიტეტმა განიხილა ორივე ვარიანტი და გამოარკვია, რომ რკინა ბეტონის ჯებირის აგებით (მეორე ვარიანტი) სადგურის ღირებულება მნიშვნელოვნად არ შემცირდება, მაშინ როდესაც ქვის ჯებირის აგებას (პირველი ვარიანტი) შეუძლია ხარჯები შეამციროს 1 მილიონი მანეთით.

ამის გამო კომიტეტმა დაადგინა დეტალურად დაამუშავოს ქვის ჯებირის საესკიზო ვარიანტი. ამ პროექტის მიხედვით სადგურის სიმძლავრე 7.500 ცხ. ძალიდან შემცირდება 5.000 ცხ. ძალამდე, რაც გავლენას არ მოახდენს ბათომის რაიონისათვის ელექტრო-ენერგიის მიწოდებაზე, რადგან „აზნაფტი“ თავის საჭიროებისათვის ამჟამად ბათომში აშენებს 2.800 კილოვატის სიმძლავრის სადგურს.

მოწაფეთა ნამუშევრის გამოფენა

ამ ერთი კვირის წინათ მეორე შრომის სკოლის შენობაში (კამოს ქუჩაზე) გაიხსნა თბილისის შრომის სკოლების მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე ერთად არის წარმოდგენილი ქართული, რუსული, სომხური და ებრაული სკოლების მოწაფეთა ნამუშევრები და ცალკე ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მოწაფეთა ნამუშევრებს.

გამოფენას უჭირავს 18 დიდი დარბაზი.

გამოფენაზე ნაჩვენებია უმთავრესად მოწაფეთა ნახატები, სხვადასხვა სპეციალური სკოლების ნამუშევართა დამახასიათებელი ნიმუშები, სახელმძღვანელოები, ცალკე მოწაფეების შთაბეჭდილებები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთების ნიმუშები, რომლებიც თვით მოწაფეებისაგანაა დამზადებული და სხვა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბავშვო ბაღების მოწაფეთა ნამუშევრები. გამოფენას ყოველდღიურად ათვალიერებს 500 მოქალაქე. გამოფენა დაიხურება კვირას, (საღამოს).

ვენახების აღდგენა
თელავის მაზრაში

მუშაობა კახეთის ვენახების აღსადგენად ყოველწლიურად ფართოვდება და ღრმავდება. უკვე არის 1.000-დე დესეტინა ვენახები, რომლებიც წელს პირველ მოსავალს მოგვცემენ; ზოგან ამ ვენახების მოსავალი ნორმალური იქნება. ამ ვენახებს განსაკუთრებით კარგათ უვლიან, ამიტომ ისინი ორჯერ ან სამჯერ მეტ მოსავალს მოგვცემენ, ვიდრე ძველი ვენახები.

ამ დღეებში დამთავრდა მყნობის გაზაფხულის სეზონი. აღსანიშნავია ვენახების აღდგენაზე მომუშავე არტელების რიცხვის ზრდა. ზამთრის და გაზაფხულის განმავლობაში აგრონომების ხელმძღვანელობით დაარსდა 10 არტელი; აქედან სამმა არტელმა („ყვარელი“, „კაცხნარი“ და „რქაწითელი“) გაშენა ახალი სათბურები ნერგების დასამზადებლად რიხტერის სისტემით. გაზაფხულზე ნერგების დამზადებას ხელი მიჰყო 23 ორგანიზაციამ და დაწესებულებამ, მათ შორის 13 არტელია, 4 სახალხო მამული და სახაზინო სანერგე, ერთი საცდელი სადგური, ერთი გლეხკომი და ორი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა. სულ გაზაფხულის სეზონის განმავლობაში დამზადებული იქნა 4.062.000 ცალი ნერგა, აქედან 1.390.000 ც. დამზადებულია არტელების მიერ (34 პროც.).

ეს რაოდენობა შეიძლებოდა გადიდებულიყო, მაგრამ ამერიკული ვაზის ლერწები, რომლებიც საფრანგეთში იყო შეკვეთილი, მიღებული არ ყოფილა საკმაო რაოდენობით, ამან კი დააბრკოლა სათბურების დატვირთვა.

ყველაზე მეტი ნერგები დაამზადა (180.000 ც.) კისისხევის არტელმა, სახალხო მამულებიდან კი—ყვარლის სანერგემ (564.000 ც.) ჯერ ჯერობით ნერგების ღირსების მხრივ საუკეთესო შედეგები აქვს არტელ „რქაწითელს“.

ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება

ვინაიდან ჩვენი თუშური ცხვრის მატყლი დამაკმაყოფილებელი ვერ არის მაღალი ხარისხის შალეულ ქსოვილების დასამზადებლად, საჭიროთ იქნა ცნობილი თუშური ცხვარის ჯიშის გაუმჯობესება.

„სოფლის კავშირი“ მეცხვარეთა ამხანაგობების საშუალებით შეუდგა ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებას. ამ მიზნით „ოვცევოდსოიუზ“-თან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად მეცხვარეებს მიეცემა გრძელვადიანი სესხი 80.000 მანეთის რაოდენობით. სესხი მიეცემა მხოლოდ ღარიბ მეცხვარეებს.

ცხვრის ჯიშის გაუმჯობესების საქმის სახელმძღვანელოთ „სოფლის კავშირმა“ მოიწვია სპეციალისტი-ზოოტექნიკები.

სას.-სამ. მანქანები ამ.-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ აღძრა შუამდგომლობა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რათა ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებმა მიიღონ გაძლიერებულ გეგმაზე მეტი სასოფლო- სამეურნეო იარაღ - მანქანა, როგორც მომავალ საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის, ისე შემდეგშიაც.

ეკონომიური საბჭო თავის შუამდგომლობას ასაბუთებს იმით, რომ ამიერ-კავკასია, საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე უფრო ნაკლებად არის უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით.

გარდა ამისა ამიერ-კავკასიის უმ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ადგილობრივი ცალკე რესპუბლიკებში მოაწყოს ზოგიერთი მარტივ სას.-სამ. მანქანა-იარაღების დამზადების საქმე. ამ მიზნით დაარსდება სპეციალური მსუბუქი კონსტრუქციის სახელოსნო-ქარხნები.

წინადადება მიეცა „ზაკსელმაშს“ გამოიკვლიოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობა ამიერ-კავკასიაში, ამავე დროს [illegible] ნებია უფრო გავრცელებული ამა თუ იმ რაიონში და [illegible] ადგილობრივ პირობებს.

ცალკე რესპუბლიკების მიწსახკომ. სას. კოოპერატივებთან მოეწყობა სპეციალური კომისიები იმ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ტიპისა და მარკების შესასწავლად, რომელთა გავრცელება უფრო მიზანშეწონილი იქნება ადგილობრივ პირობების მიხედვით.

ვინაიდან კოოპერატიული ორგანიზაციები უსახსრობის გამო განსაზღვრულ რაოდენობით აწვდიან გლეხებს მანქანებს, ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა შემოიღოს გლეხებთან წინასწარი ხელშეკრულების დადების სისტემა მათთვის საჭირო მანქანების მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების დადების დროს გლეხები გაიღებენ მანქანების ღირებულების ნაწილს ბეს სახით, რაც წელს შეუწყობს სათანადო ორგანიზაციებს მეტი რაოდენობით შეიძინონ მანქანები.

განათლების განყოფილებათა ინსტრუქტორების კონფერენცია

თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლის დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს განათლების განყოფილებათა ინსტრუქტორების კონფერენცია, კონფერენცია გახსნა ამხ. გ. გოგუაძემ.

ადგილებიდან მოხსენების გაკეთება დაევალა გორის, ზუგდიდის, თელავის, რაჭის, ქუთაისის და დუშეთის მაზრების განათლების განყოფილებათა ინსტრუქტორებს.

გორის მაზრის სკოლების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინსტრუქტორმა მელიქიშვილმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში, ობიექტურ პირობების გამო, მუშაობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, ხოლო წლის მეორე ნახევრიდან მუშაობა თანდათან გამოსწორდა.

ზუგდიდის მაზრის სკოლების მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ი. ქაჯაიავა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განათლების განყოფილება მეთოდიურ მუშაობას აწარმოებს გეგმიანად, სწავლება 90 პროცენტით სწარმოებს ახალი კომპლექსიური სისტემით. ადგილებზე მოწყობილია მასწავლებელთა თვითგანვითარების წრეები, სკოლების მიწის ნაკვეთებზე სწარმოებს კულტურულ მცენარეულობის მოშენება, რომელიც შემდეგ მოწაფეებს გადააქვთ ოჯახებში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სკოლების ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის შენობების მოუწყობლობა, ხელსაწყოების უქონლობა (ფიზიკური კაბინეტი და სხვა), ზოგიერთი მასწავლებლების ზედმეტად დატვირთვა და სხვა. მომხსენებლის აზრით საჭიროა 9 წლედების ათ წლედებად გადაკეთება.

თელავის მაზრის სკოლების შესახებ მოხსენება გააკეთა ინსტრუქტორმა ჩხეიძემ. მომხსენებელი ახასიათებს სკოლების მდგომარეობას მაზრაში და აღნიშნავს, რომ მაზრის ცენტრში ჩამოყალიბებულია მეთოდიური ბიურო, რომელშიაც ჩაბმული არიან მაზრის ცენტრში მომუშავე მასწავლებლები და პასუხისმგებელი მუშაკები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. ბიუროს კავშირი აქვს პერიფერიებთან.

რაჭის მაზრის სკოლების შესახებ მოხსენებას აკეთებს ინსტრუქტორი სხირტლაძე. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მაზრაში საინსტრუქტორო მუშაობა დაიწყო ნოემბრის შუა რიცხვებიდან, მოწაფეების ცოდნათა ჯამი დამაკმაყოფილებელია, ხოლო ოთხწლედებში კარგად ვერ არის დაყენებული რუსული ენის სწავლების საქმე.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა მე-6 ყრილობა
მეხუთე დღე

ყრილობა ისმენს ამხ. ს. ხანთაძის მოხსენებას —საპაიო კამპანიის ჩატარების შედეგების შესახებ. მომხსენებელმა ყრილობას გააცნო ყველა იმ ღონისძიებათა შინაარსი, რომლებიც მიღებულ იქნა საპაიო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

მომხსენებლის გადმოცემით საპაიო კამპანიის ჩატარებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ კამპანიასთან ერთად დაიწყო საგაზაფხულო თესვის კამპანია და გლეხურ მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია. გარდა ამისა კამპანიის ჩატარების პერიოდში წარმოიშვა, ზოგიერთ პირველი მოხმარების საქონლის კრიზისი. როგორიცაა პური და განსაკუთრებით მანუფაქტურა. ამ მოვლენამ ერთგვარად შეაშინა მომხმარებელი მასა.

მიუხედავად ამისა მთელ რიგ ადგილებში საპაიო კამპანია, მაინც წარმატებით დაგვირგვინდა.

ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება

ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შედეგებზე მოხსენების მოსმენა, ყრილობამ მოანდომა 29 ივნისის დილის სხდომა. მომხსენებელმა ამხ. კ. ჭავჭანიძემ აღნიშნა, რომ დირექტივა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ ცეკავშირმა მიიღო საანგარიშო წლის მხოლოდ მეორე კვარტალისათვის. გარდა ამისა მთავრობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებით, მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში ცეკავშირის ხარჯები უნდა შემცირებოდა 14,4 პროცენტით 1926—27 საბიუჯეტო წლის ხარჯებთან შედარებით.

აქედან თვითონ ცეკავშირში მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბოლომდე ხარჯები უნდა შემცირებულიყო 12,8 პროც., საქალაქო კოოპერატივებში—16,3 პროც. და სოფლის კოოპერატივებში—12,7 პროც.

მეორე კვარტალის განმავლობაში (პირველი იანვრიდან პირველ აპრილამდე) ხარჯები შემცირებულ იქნა—ცეკავშირში—7,7%, საქალაქო კოოპერატივებში—11,1 პროც., სოფლის კოოპერატივებში—8,8 პროც., საშუალოდ მთელ ქსელში—10,1 პროცენტით, რაც ნომინალურად უდრის 65.773 მანეთს.

მომხსენებლის განცხადებით ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების საქმე უფრო ბრკოლდება სოფლის კოოპერატივებში. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ადგილობრივი მუშაკები მნიშვნელობას არ აძლევენ ხარჯების შემცირებას. ამის გამო ცეკავშირმა დაავალა ადგილობრივ ინსტრუქტორებს მისცენ შესაფერი ახსნა-განმარტება სოფლის კოოპერატივების ხელმძღვანელთ და სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ ხარჯების შემამცირებელთ დაწყებულ კამპანიას.

შემდეგ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ს. თოხაძის მოხსენება ცეკავშირის სავაჭრო-საფინანსო საქმიანობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცეკავშირის სავაჭრო საქმიანობაში დიდი დაბრკოლება განიცადა პირველი მოთხოვნილების საქონლის ნაკლებობის გამო. საანგარიშო წლის პირველ ორ კვარტალში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მანუფაქტურის ნაკლებობა.

ამჟამად ყველა დაბრკოლებები თავიდანაა აცილებული და ცეკავშირის სავაჭრო-საფინანსო საქმიანობასაც შესამჩნევი წარმატება ეტყობა.

შემდეგი მოხსენებით—ცეკავშირის სისტემაში კულტმუშაობის წარმოების ამოცანების შესახებ,—გამოვიდა ამხ. შ. გოგიბაშვილი.

სტატისტიკურ სამმართველოში

საზაფხულო კვების გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველო 2-დან 8 ივლისამდე ჩაატარებს საზაფხულო კვების გამოკვლევას. გამოკვლეული იქნება თუ რა პროდუქტები და რა რაოდენობით იხარჯება სახალხო კვებაზე ზაფხულის პერიოდში.

სარეწაო გადასახადთა ობიექტების გამოკვლევა

წვრილ მრეწველობაზე არსებულ გადასახადთა სიმძიმის გამორკვევის მიზნით, ივლისში ჩატარებული იქნება სამრეწველო გადასახადთა ობიექტების გამოკვლევა. გამოკვლევაში უმთავრესი ყურადღება მიექცევა წარმოების სიმძლავრეს, წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვს, სარეწაო ტექნიკურ დონეს,—საწარმოს ნედლეულით უზრუნველყოფას, დაწესებულების ბრუნვას, შემოსავალ-გასავალს სხვადასხვა გადასახადს, პატენტს და წმინდა მოგებას.

კოლმეურნეობათა გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს დავალებული აქვს კოლექტიურ მეურნეობათა გამოკვლევა, რომელიც უნდა ჩატარდეს საკავშირო სტატსამმართველოს პროგრამით. გამოკვლევა დაიწყება ამ დღეებში.

კერძო ვაჭრების ფირმების წინააღმდეგ

კერძო ვაჭრები, რომლებსაც დღითი-დღე [illegible] ნიადაგი, ყოველგვარ საშუალებას [illegible] შექმნან არანორმალური მდგომარეობა თბილისის ბაზარზე და მეტოქეობა გაუწიონ კოოპერატიულ სავაჭროებს.

მიუხედავად ამისა, რომ კერძო ვაჭრებს უკვე დიდი ხანია საქონელი აღარ ეძლევათ სახელმწიფო და კოოპერატიულ საქონლის დამამზადებელ ორგანიზაციებიდან, ისინი კიდევ ახერხებენ [illegible].

კერძო ვაჭრებს სხვადასხვა მახინაციებით გამოაქვთ კოოპერატივებიდან როგორც ფართეული, ისე საგალანტერიო საქონელი და შემდეგ ორმაგ ფასებში ჰყიდიან.

გარდა იმისა, რომ კერძო ვაჭრები კანონით აკრძალულ გზით ახერხებენ საქონლის შოვნას, ისინი მყიდველების თვალის ასახვევათ მიმართავენ შემდეგ საშუალებას:

თავიანთ სავაჭროების აბრებზე აწერენ კოოპერატიულ სავაჭროების მსგავს წარწერებს და საქონელს ჰყიდიან „მტკიცე“ ფასებში.

ერთი სიტყვით ყოველ მხრივ ცდილობენ მყიდველების, განსაკუთრებით მაზრიდან ჩამოსულ გლეხებს, თავიანთი დუქნები მოაჩვენონ კოოპერატივად.

როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული თბილისის აღმასკომმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებას დაავალა მიიღო სათანადო ზომები.

ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებამ ამ დღეებში მოიწვია დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ლასკარმა გააკეთა მოხსენება აღნიშნულ მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების მოსმენის შემდეგ თათბირმა გამოიმუშავა შემდეგი ღონისძიებები.

აეკრძალოს კერძო ვაჭრებს აბრებზე კოოპერატიულ სახელწოდების მსგავსი წარწერების გაკეთება.

კერძო ვაჭრები ვალდებულნი არიან თავიანთი აბრები შესცვალონ შემდეგნაირად: აბრები უნდა იყოს მუქი-მწვანე ფერის, წარწერები კი უნდა გაკეთდეს თეთრი საღებავებით.

აბრებზე ჯერ წარწერილი უნდა იქნეს დიდი ასოებით სავაჭროს მეპატრონის სახელი, მამის სახელი და გვარი, შემდეგ—სავაჭროს ხასიათის აღნიშვნა. გვარის შემდეგ აბრებზე შეიძლება წარწერილ იქნეს ფირმის სახელწოდებაც. ფირმის შემოკლებული სიტყვებით დასახელება აკრძალულია. ყველა წარწერები უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე. მსურველთ შეუძლიათ წარწერის გაკეთება სხვა ენებზედაც ქართული წარწერების ქვეშ უფრო მომცრო ასოებით, ფირმის დასახელება კი შეიძლება მხოლოდ ქართულ ენაზე.

კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭროებსაც ეკრძალებათ იქონიონ კერძო სავაჭროების აბრების ფერის და ტიპის აბრები.

თათბირის დადგენილება უკვე დაამტკიცა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა. კერძო ვაჭრები ვალდებულნი არიან ძველი აბრები შესცვალონ ახალი ტიპის აბრებით 15 ივლისამდე.

ქ უ თ ა ი ს ი
(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სამაზრო აღმასკომის პლენუმის დადგენილებანი

სამაზრო აღმასკომის პლენუმის მიერ მიწათმოწყობის დარგში მიღებულ სხვა მნიშვნელოვან დადგენილებათა შორის საყურადღებოა შემდეგი: ვინაიდან კიდევ არაა აღმოფხვრილი მიწის ყიდვა-გაყიდვა და სუბიჯარა, ამიტომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მიწის რაციონალიზაციის კანონს არღვევენ.

კვლევა-ძიება მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ დაევალოს თემაღმასკომის საადგილ-მამულო სექციას და რაი-მილიციას საქმის უშუალო სახალხო სასამართლოებზე გადაცემით; საქმე რიგს გარეშე უნდა გაირჩეს. ამასთანავე სასამართლოს ორგანოებმა არ უნდა შეუმსუბუქონ მსჯავრდადებულთ მათზე გამოტანილი განაჩენი. საჭიროა სახალხო სასამართლოთა ხშირი რევიზია. ვინაიდან საკასაციო კოლეგია თბილისში არსებობს და კასაცია ჭიანურდება, ამიტომ საჭიროა საკასაციო კოლეგია სახალხო სასამართლოს საქმეებზე დაარსებული იქნეს ქუთაისში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უფლებები მიენიჭოს სამაზრო სასამართლოს შტატის სათანადო გადიდებით.

ჩამოყალიბდეს უახლოეს დროში სამტრედიასა და ხონში მეფრინველეობის ამხანაგობანი და გამოინახოს მათთვის შესაფერი კრედიტები.

დაევალოს თემაღმასკომებს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების ფარგლებში აკრძალონ საჯინე ადგილების სივრცის გაფართოება.

მოხდეს აგრონომიული ქსელის გაფართოება იმგვარად, რომ თვითეულ სასოფლო-სამეურნეო რაიონში თითო აგრონომი მაინც იქნეს, გაუმჯობესდეს აგრონომთა პირობები და მათი კვალიფიკაციის ასაწევათ შემოღებულ იქნეს სამეცნიერო მივლინებანი.

რადგან „სოფლის კავშირს“ არ ძალუძს სრული ხელმძღვანელობის განხორციელება კოლექტიურ მეურნეობებზე, ამიტომ საჭიროა კოლექტიური ერთეულებისადმი აგრონომიულ დარგში (ჰიდროთმოწყობა, ფერდობის გადიდება, ჯიშიან კულტურების შერჩევა და სხვ.). ხელმძღვანელობა დაეკისროს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის აგრონომიულ განყოფილებას, ხოლო სხვა სახელმძღვანელო მუშაობა, როგორიცაა: სასოფლო პროდუქციის, მიწოდება-გასაღება, იარაღების მიწოდება და სხ.- უნდა სწარმოებდეს „სოფლის კავშირთან“ არსებულ კოლმეურნეობათა სექციის საშუალებით.

თემაღმასკომის თავმჯდომარეთა თათბირი

სამაზრო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება უკვე შეუდგა სოფლად გლეხთა ფენებად დაყოფას. გამოყოფილია ინსტრუქტორები და პ. მ. მომუშავენი, რომლებიც რაიონებში უხელმძღვანელებენ ამ საქმეს. ახლო ხანში თემაღმასკომის თავმჯდომარეთა სარაიონო თათბირები ჩატარებულ იქნება შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, 2 ივლისს, მოწვეულია თათბირი შემდეგ თემაღმასკომთა თავმჯდომარეების: ქუტირის, მუხრანის, ოფურჩხეთის, მოლოგანის, ჰოლბიშის, რიონის, პატრიკეთის, წყალტუბოს, ფარცხნა ნაყანევის, მაღლაკის, საყულიას და აბაშის; 7 ივლისს ბაღდათში: თვითონ ბაღდადი, წითელხევი, ზეკარი, [illegible] და გორსა; 7 ივლისვე სამტრედიაში: სამტრედია, კულაში, დიდი-ჯიხაიში, იანეთი, ეწერი, ღანირ-ჭაგანი, გომი და გამოჩინებული; 8 ივლისს ხონში: ხონი; კუხი; ღანირ-ქვიტირი, ნახახულევი, ცხუნკური, გუბი, გორდი და კინჩხა; 8 ივლისს დაბა ვანში: ვანი, ამაღლება, დვალიშვილები; უხუთი, საპაიჭაო და ტობანიერი; 9 ივლისს სვირში: სვირი, ქვედა-სიმონეთი, ზედა-სიმონეთი, როდინაული და [illegible]; 11 ივლისს სოფ. საწირეში: საწირე, გორნა და ორპირი.

ხე-ტყის ქარხნის რაციონალიზაცია

რაჭის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, ხარისთვალაზე, სდგამენ ახალ ქვაბს. ამ ქვაბის დადგმის შემდეგ ქარხნის შრომის ნაყოფიერება აიწევს ათი პროცენტით. ამჟამად ქარხანა ამზადებს 400 კბ. ვერშოკს.

მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა

გავაძლიეროთ მეთვალყურეობა

კერძო წარმოება-დაწესებულებებში შრომის დაცვის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. კერძოდ დამქირავებლები საშინელ ექსპლოატაციას უწევენ დაქირავებულთ და ყოველგვარ ზომებს ღებულობენ იმისათვის, რომ დაქირავებულმა არ გაბედოს პროფკავშირში შესვლა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ შრომის დაცვის ორგანოები, კერძო დამქირავებლებთან მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას; ძალიან იშვიათად ათვალიერებენ კერძო სახელოსნოებს და აგრეთვე იშვიათად ეცნობიან სამუშაო პირობებს და მომუშავეების მდგომარეობას. იგივე შეიძლება ითქვას პროფკავშირებზედაც.

ეს, რასაკვირველია, არ აიხსნება შრომის დაცვისა და პროფორგანოების გულგრილობით. პირიქით, შრომის დაცვის ორგანოები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ კერძო დამქირავებლებთან მომუშავეთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით არა ერთი და ორი დამქირავებელი ყოფილა პასუხისგებაში მიცემული და არა ერთი დასჯილა შრომის კანონების დარღვევისათვის, მაგრამ თქმა იმისა, რომ შრომის დაცვის ორგანოების მუშაობა ამ დარგში სავსებით დამაკმაყოფილებელია, ეს არ იქნება მართალი.

არ კმარა მარტო სურვილი და სხვადასხვა ზომების მიღება. საჭიროა ამ სურვილებისა და ზომების განმახორციელებელი ძალა, რაც შრომის დაცვის ორგანოებს ძალიან ნაკლებად მოეპოებათ.

მთავარი ნაკლი შრომის დაცვის ორგანოების მუშაობაში, ეს არის შრომის ინსპექტორების ნაკლებობა. შრომის დაცვის ინსპექტორების ამ ჟამად არსებული შტატი, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. კერძო დამქირავებლები არ არიან გაერთიანებული ერთ რომელიმე საწარმოო ორგანიზაციაში, რომ შესაძლებელი იყოს ერთხელ ჩამოვლა და ყველა სამუშაოების ერთად დათვალიერება. ისინი ისე არიან გაფანტული ქალაქის ყოველ კუთხეში, რომ არამც თუ დათვალიერება და მათი აღრიცხვაზე აყვანა, არამედ ხშირად შრომის დაცვის ორგანოებისათვის შეუმჩნეველიც ხდება.

ასეთები არიან მაგალითად: მჭედლები, ხარაზები, მეჩექმეები, მკერავები და სხვა შინამრეწველ ხელოსნები, რომლებიც შინამრეწველ კავშირის წევრებადაც ითვლებიან და ბევრი მათგანი შეგირდებსაც საშინელ ექსპლოატაციას უწევენ. ეს სახელოსნოები ქალაქის ყველა კუთხეში მოიპოვება. ამიტომ ყველა მათგანის დათვალიერება და ყველგან შრომის კანონების მტკიცედ გატარება, ამ ჟამად არსებულ შრომის დაცვის ინსპექტორთა შტატით შეუძლებელია. უკანასკნელები ვერ მიაწვდენენ თავიანთ თვალს ყველა კერძო წარმოება-დაწესებულებებში. ამით სარგებლობენ კერძო დამქირავებლები და ექსპლოატაციას უწევენ დაქირავებულებს.

შრომის დაცვის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას და გააძლიერონ მეთვალყურეობა კერძო წარმოება-დაწესებულებებზე შრომის კანონების მტკიცედ დასაცავად და დაქირავებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ოგ.

როგორ ექცევა პროფმუშაკს

შრომის სასამართლოს აღმასრულებელი, რამოდენიმეჯერ გამოცხადდა გერმანელების საავადმყოფოში, ზედმეტ საათებში და უქმე დღეებში ნამუშევარის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს დადგენილებათა შესასრულებლად, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შესძლო მოლაპარაკებოდა საავადმყოფოს დირექტორს, მოქ. სიმს.

უკანასკნელად, 28 ივნისს, სასამართლოს აღმასრულებელმა, როგორც იქნა მოასწრო ადგილზე მოქალაქე სიმსს და საავადმყოფოს ადგილკომის თავმჯდომარესთან ერთად შევიდა დირექტორის კაბინეტში მოსალაპარაკებლად, მაგრამ დირექტორმა სიმსმა, კაბინეტში შეუშვა მხოლოდ აღმასრულებელი, ადგილკომის თავმჯდომარეს კი ჰკრა ხელი და მიაჯახუნა კარები.

ასე ექცევა კერძო საავადმყოფოს პატრონი პროფმუშაკს. სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას.

ნემსი.

საქმეს აჭიანურებენ

გასულ წელს, საკურორტო სამმართველოში მზარეულის თანამდებობაზე მუშაობდა სტეფანე არჩვაძე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მას სისტემატიურად დღეში 18-20 საათის მუშაობა უხდებოდა, არამც თუ ზედმეტი საათების ჯილდო, არამედ კუთვნილი ხელფასიც არ მისცეს. ატყუებდენ, რომ მოგცემთო, მაგრამ მათი „ხვალე“ ჯერაც არ მოსულა. უკანასკნელად ადმინისტრაციამ ოთახიდან გამოძევებაც დაუპირა.

ბოლოს მზარეული იძულებული გახდა მიემართა შრომის სასამართლოსათვის. საქმე გაირჩა ბორჯომშიც, სურამშიც და უბნების სასამართლოშიც. სურამის შრომის სასამართლომ კანონიერად სცნო არჩვაძის ძიება, მაგრამ ადმინისტრაცია არ დაკმაყოფილდა ამით და საქმე კვლავ გააჭიანურა. ისე, რომ მზარეული არჩვაძე მთელი ცხრა თვეა დადის სამი თვის ხელფასის ასანაზღაურებლად, მაგრამ საქმის გადაწყვეტას საშველი არ დაადგა.

ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას და ვინ მიიღებს ზომებს მუშის სამართლიან მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. იმედია სათანადო ორგანო გვიპასუხებს ამაზე.

კენჭი.

კომისია დანიშნეთ
(აღმასკომის საყურადღებოდ)

საბჭოთა სახლებში შეკეთებებს აწარმოებს აღმასკომის ტექნიკური განყ-ბა. წარსულში სუსტი მუშაობის გამოსაცოცხლებლად მიზნით, უქსის ადმინისტრაციამ თვითეულ საინსპექტორო უბანში მიამაგრა თითო ტექნიკი. მაგრამ ტექნიკური საქმეები საინსპექტორო უბნებში მაინც მოუგვარებელია. არავითარი ნაყოფი ტექნიკების მიმაგრებამ არ გამოიღო.

საჭირო შეკეთებებზე, როგორც ძველად, ისე ეხლაც სდგება ხარჯთ-აღრიცხვა. გადის სამი-ოთხი თვე ხარჯთ-აღრიცხვის შედგენიდან და სინამდვილეში არაფერი არ კეთდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხარჯთ-აღრიცხვაში ერთად შეაქვთ დიდი და პატარა სახის სამუშაოები, რის გამო დიდ სამუშაოს დაწყებამდე, პატარა სახლის სამუშაოები არ სრულდება და თანდათანობით უარესდება. ამ ნიადაგზე ბევრი საყვედური ხვდება სახლის კომენდანტებს მცხოვრებლებისაგან, რომლებიც მოითხოვენ ბინის შეკეთებას.

სასურველია გამოყოფილი იქნეს სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის საბჭოთა სახლების მდგომარეობას და შეიმუშავებს ცალკე სახლების შეკეთების გეგმას.

[illegible] პირველი.

უპატრონო სახლი
(უქსის საყურადღებოდ)

ლომინაძის ქუჩაზე სახლი № 38 [illegible] იზმაილ-ხან ფერიდ-პაჟა, რომელიც სპარსეთში ცხოვრობს, სახლი სრულიად უპატრონოდ და მიტოვებული; ჭერი ინგრევა, სახურავიდან ბინაზე წვიმის დროს წყალი ჩამოდის, წყლის ონკანი გაფუჭებულია და მდგმურები აგერ ერთი კვირაა უწყლოდ არიან მიტოვებულნი.

წინად სახლს თითქოს ვიღაც განაგებდა და მთელი სახლის შემოსავალს იგი, სახლის პატრონს უგზავნიდა სპარსეთში, წინანდელი გამგე წავიდა და მის ადგილზე მოვიდა ახალი გამგე, მაგრამ მის ასავალ-დასავალს კაცი ვერ გაიგებს. მოდის მხოლოდ მაშინ, როცა ქირაა ასაღები. სახლს ყოველთვიურად შემოსდის 200 მანეთზე მეტი, მაგრამ სახლის გამგეს არაფერი შეკეთება არ უწარმოებია, რადგან მთელ თანხას ის უგზავნიდა სპარსეთში პატრონს. ეხლაც იგივე ხდება. მდგმურები მოელოდენ, რომ ამ სახლებს დაათვალიერებდა კომისია და ამრიგად საქმეც ამით ამოიწურებოდა, მაგრამ დღევანდლამდე არაფერი ისმის უკანასკნელად მდგმურებმა კოლექტიური განცხადებით მიმართეს უქსის განყოფილებას ამის შესახებ.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და უქმა დააკმაყოფილოს ამ სახლებში მცხოვრებთა სამართლიანი განცხადება სახლის ნაციონალიზაციის შესახებ, სანამ სულ არ დანგრეულა.

საწევრო ანარიცხების შესახებ
(პროფსაბჭოს საყურადღებოდ)

კავშირის წესდებაში ნათქვამია, რომ კავშირის წევრი, რომელსაც არ გადაუხდია სამი თვის განმავლობაში საწევრო ანარიცხები, კარგავს კავშირის წევრობის უფლებებს და ირიცხება მექანიკურად კავშირიდან.

უნდა ითქვას, რომ ამ მთავარ დებულებას, რომელზედაც აშენებულია კავშირის მატერიალური კეთილდღეობა, მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ არამც თუ კავშირის რიგის წევრები, არამედ თვით ხელმძღვანელი ამხანაგებიც, ძირითად პროფუჯრედების გამოკვლევის დროს სხვა ნაკლთან ერთად აღმოჩნდა ერთი, ფრიად დამახასიათებელი მდგომარეობაც: ეს ფრიად დამახასიათებელი მდგომარეობაც: არის საწევრო ანარიცხების დიდი დავალიანება თვით კავშირის ხელმძღვანელ ამხანაგებს შორის, დაწყებული ადგილკომების წევრებით და გათავებული ც.-გამგეობის წევრებით. არის შემთხვევა, რომ საწევრო ანარიცხები არ გადაუხდიათ არამც თუ 3 და 4 თვე, არამედ ოცდაორი თვე და კიდევ მეტიც. გამოდის ასე, რომ კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში ირიცხოდა ისეთი პირები, რომელთაც კარგა ხანია დაკარგული ქონდათ კავშირის წევრობის უფლებები. ე. ი. თანახმად წესდებისა, ფაქტიურად ირიცხოდა არა კავშირის წევრები.

საჭიროა, საქ. პრ. კავშ. საბჭომ მიაქციოს სერიოზული ყურადღება ამ არა ნორმალურ მოვლენას და საკავშირო დისციპლინის მთელი სიმკაცრით მოეპყრას იმ ამხანაგებს, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებიან ხელმძღვანელ ორგანოებში, ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ თავიანთი პირადი მოვალეობა კავშირის წინაშე. პროფაქტივი, რომელიც მოწოდებულია იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობისაკენ კავშირში, უნდა იყოს მაგალითის მიმცემი საწევრო ანარიცხების გადახდაში.

ალ. ფრუიძე.

უმუშევრები კმაყოფილი არიან
(ცენტ. დამზღვევ სალარო)

ცენტრ. დამზღვევ სალაროს მუშაობა საგრძნობლად გადახალისდა. წინად უმუშევრებს რამოდენიმე დღეს ლოდინი უხდებოდა კუთვნილი დახმარების მისაღებად. ხშირად მომხდარა ისე, რომ რამდენიმე საათით რიგში დგომის შემდეგ, უმუშევარი ხელცარიელი წასულა სახლში, რადგან სალარო ვერ ასწრებდა ათასეულ უმუშევრის დაკმაყოფილებას.

ამჟამად ამ მხრივ გამოსწორდა მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც ცენტრ. სალაროში გადმოიყვანეს ამხ. ი. გუბელაძე, სალაროს წინ რიგში დგომა დიდხანს აღარავის უხდება. ამხ. გუბელაძე სახლში ხელცარიელს არავის უშვებს. ივი რჩება სამსახურის ვადის გათავების შემდეგაც და აწვდის უმუშევრებს თუ პენსიონერებს დახმარებას.

ასეთი დაუზარებელი და ენერგიული მუშაკი დასაფასებელია.

უმუშევარი მანიძე.

მუშკორთა წერილებიდან

კულტმუშაობა ცხოველდება (ბორჯომი). ბორჯომის მუშათა კლუბის გამგეობა შეუდგა საზაფხულო თეატრის აგებას. ამ საქმეში, კლუბის გამგეობას დიდ დახმარებას უწევენ: ბორჯომის საკასრე ქარხანა, დისტანცია, კოოპერატივი, ქართული დრამწრე და მინერალური წყლების დირექტორი ამხ. ლანჩხამერი. მადლობის ღირსნი არიან აღნიშნულ დაწესებულებების ხელმძღვანელები.

ხ. კ.

გაუფრთხილდით ქონებას (ქუთაისი). ორი წელიწადია, რაც ქუთაისის აღმასკომმა მოზიდა ქვები ჯაფარიძის ქუჩის შესაკეთებლად, მაგრამ მის შეკეთებას საშველი არ დაადგა. ქვა ყრია უპატრონოდ და ღამ-ღამობით ეზიდებიან გლეხები. აღმასკომო, თუ ქუჩას არ შეაკეთებ, ქონებას მაინც გაუფრთხილდი.

მაყურებელი.

კედლის გაზეთი განახლდა. თბილისის დეპოს მუშკორებმა ამას წინად მოახდინეს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა და დაავალეს სარედ. კოლეგიის ახალ შემადგენლობას, განაახლოს კედლის გაზეთის გამოცემა.

საყუდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

25 ივლისს თბილისში გაიხსნება ამიერ-კავკასიის სას.-სამ კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი. თათბირზე მოწვეული არიან ამიერ-კავკასიის სას.-სამ. კოოპერაციის უნივერსალური და სპეციალური კავშირები და ძირითად ქსელის ზოგიერთი წარმომადგენლები. თათბირის დღის წესრიგი შემდეგია: სას.-სამ. კოოპერაციის ამოცანები მე-15 პარტყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით; სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მორიგი ამოცანები, ღარიბ მეურნეობათათვის კოოპერატიულ დახმარების გაწევის შესახებ; ადგილობრივი სას.-სამეურნეო კოოპერაციის 5 წლიან საპერსპექტივო გეგმის შესახებ; ხელმძღვანელი კადრები (კოოპერატიული კადრების მომზადება-გადამზადება და მუშაკების განაწილება). სას.-სამ. კოოპერაციის მუშაობის შესახებ.

სპეციალისტების ხელფასი

სპეციალისტების ხელფასის მაქსიმუმის გადასინჯვის მიზნით შრომის კომისარიატმა გამოყო კომისია ამხ. ხ. თოდრიას, პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლის და ამხ. მუსაშნიკოვის შემადგენლობით.

„სოფლის კავშირში“

„სოფლის კავშირთან“ დაარსდა საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის ხელის შემწყობი კომისია, რომელსაც დაევალა დაჩქარებით შეიმუშაოს მუშაობის გეგმა და დაიწყოს მოსამზადებელი მუშაობა.

4 ივლისს ყაზბეგში შესდგება მეცხვარეთა ამხ-ბა „თერგის ხევი“-ს რწმუნებულთა მორიგი ყრილობა.

ბორჩალოს, თბილისის, გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში სოფლის კავშირი შეუდგა ხორბლეულის დამზადებას. აღნიშნულ მაზრებში დამზადებული ხორბლეული გადადებული იქნება სათესლე მასალად.

უპატრონო მოზარდთა სახლი

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, თბილისში (კრწანისი) არსდება უპატრონო მოზარდთა სახლი. აღნიშნული სახლისთვის თბილისის აღმასკომმა გამოყო ერთი შენობა. ამჟამად სწარმოებს შენობის შეკეთება, უპატრონო მოზარდთა სახლი გაიხსნება ზაფხულის დამლევისათვის.

ჩაის საცდელი მეურნეობა

სააქციო სზ-ბა „საქართველოს ჩაი“ შეუდგა ჩაის საცდელ მეურნეობის გაფართოებას, რადგან მას უახლოეს დახმარებას გაუწევს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი.

რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს წინადადებით, „საქ. ჩაი“ უახლოეს მომავალში ქ. ოზურგეთში მოაწყობს ჩაის საცდელ ცენტრალურ დაწესებულებას, რომელსაც ჩაქვში ექნება განყოფილება.

ხონის ძაფ-სალეჩი ქარხანა

24 ივნისს სპეციალისტებისაგან შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ხონის ახალი ძაფ-სალეჩი ქარხანა. შემოწმებამ კარგი შედეგი გამოიღო, ქარხანა ყოველმხრივ მზად არის და ასამუშავებლად გადაეცა „საქართველოს აბრეშუმს“. ქარხნის საზეიმო გახსნა დანიშნულია 1 ივლისს. ზეიმზე მოწვეული არიან თემების წარმომადგენლები. ქარხანა მუშაობას დაიწყებს 20 ივლისიდან. ქარხანაში იმუშავებს ხუთასამდე ქალი.

მედტეხნიკუმის კურსდამთავრებულები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მედტეხნიკუმი წელს დაამთავრა 98 ქალმა.

კურსდამთავრებულების ერთი ნაწილი გამოყენებული იქნება ჯანსახკომის სამკურნალო ქსელში სამუშაოთ.

„ავტოდორის“ განყოფილების დაარსება

ამხ. შ. ელიავას სახელობის თბილისის ავტო- კლუბის მოტო-სექციასთან დაარსდა ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესებისათვის ხელისშემწყობ საზოგადოება „ავტოდორ“-ის განყოფილება. აღნიშნული განყოფილება პირველია ამიერ-კავკასიაში.

სავაჭრო პუნქტების განაწილების გამოკვლევა

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გამოიკვლია თუ როგორ არის განაწილებული სავაჭრო პუნქტები რაიონებს შორის. გამოირკვა, რომ სავაჭრო პუნქტები რაიონებს შორის არ არის განაწილებული რეალურ მოთხოვნილებებთან შეფარდებით, რის გამოც ზოგიერთ რაიონებში პუნქტები ზედმეტად დატვირთულია სამუშაოთი.

ვაჭრობის კომისარიატს განზრახული აქვს ახლო მომავალში მოახდინოს სავაჭრო პუნქტების უფრო რაციონალურად განაწილება.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

უკანასკნელ ხანებში ქალაქში გავრცელდა ხმები თითქოს ქალაქის ლომბარდი აღარ უბრუნებდეს პატრონებს ძვირფას ნივთებს და ხალიჩებს.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ეს ხმები მოგონილია და სრულებით არ შეეფერება სიმართლეს.

ექსკურსია კავკავში

დღეს, 30 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება აწყობს კავშირების წევრთა ექსკურსიას კავკავში. თბილისიდან ექსკურსანტები გაემგზავრებიან ავტომობილით, კავკავში დარჩებიან 2 ივლისამდე. ექსკურსიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შეღავათებში მყოფთ ან ორშაბათამდე მუშაობიდან განთავისუფლებულებს.

თბილისის აღმასკომში

◆ „კვების კომბინატის“ წარმოების გაერთიანების მიზნით თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა აგოს ერთი დიდი ახალი შენობა.

◆ ასურეთის თემალმასკომის თავმჯდომარედ დამტკიცებული იქნა ამხ. ალ. გაბასიანცი.

◆ ახალი ხიდი—მდ. მტკვარზე ახალი ხიდის აგებისათვის წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად აღმასკომმა გადასდო 11.000 მანეთი.

◆ კონფერენცია. აღმასკომმა დაადგინა ახლო ხანში მოიწვიოს საბჭოს სექციების ბიუროების და სადეპუტატო მაგიდების სტაროსტების და აქტივის კონფერენცია.

◆ ვარაზის ხევის გასამაგრებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 5000 მანეთი.

ქართული ენის კაბინეტში

◆ წიგნების გაცემა. ქართული ენის კაბინეტის ბიბლიოთეკიდან დღეს, საღამოს 7—9 საათამდე იწარმოებს წიგნების გაცემა ზაფხულის განმავლობაში სასარგებლოდ.

◆ ბიუროს სხდომა. დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება ქართული ენის კაბინეტის ბიუროს სხდომა.

სხვადასხვა

◆ ექსკურსია. განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია ტექნიკურ თანამშრომელთა საერთო კრება ბორჯომ ბაკურიანში უფასო ექსკურსიის მოწყობის შესახებ.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. გორიდან—ჯანელიძეს, ძველსენაკიდან—ბედიას, ქუთაისიდან—ჩიქვილაძეს, დილიჟანიდან—გაბრელიანს, ცხინვალიდან—ბერუჩაშვილს, ლანჩხუთიდან—ებრალიძეს.

ხელოვნება

სახკინმრეწვში

„კომუნარის ჩიბუხი“

რეჟისორი კ. მარჯანიშვილი შეუდგა სურათ „კომუნარის ჩიბუხის“ გადაღებას ილ. ერენბურგის მოთხრობის მიხედვით. ოპერატორი—ზაბოზლაევი. მთავარ როლებში: ვერიკო ანჯაფარიძე, თ. მენზონი, თ. ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, შ. დამბაშიძე და ა. ჟორჟოლიანი, სცენარი—კ. მარჯანიშვილის.

„მწყემსები“

რეჟისორი—შ. ბერიშვილი—ექსპედიციით გაემგზავრა ზემო-თუშეთში სურათ „მწყემსები“-ს გადასაღებად. ოპერატორი ა. პოლიკევიჩი. სცენარი—სულაკაურის. მთავარ როლებში— მ. ტენაზი, ალისა ქიქოძე, ა. თაყაიშვილი დ. ძნელაძე და დ. ალავიძე.

„ელისო“

რეჟისორმა ნ. შენგელაიამ დაასრულა სურათ „ელისოს“ მონტაჟი. ოპერატორი ვ. კერესელიძე. მთავარ როლებში: კირა ანდრონიკაშვილი, ცეცილია წუწუნავა, კ. ყარალაშვილი, ა. იმედაშვილი და ა. ჟორჟოლიანი.

„ჯანყი გურიაში“

რეჟისორი ა. წუწუნავა—ამთავრებს სურათ „ჯანყი გურიაში“-ს მონტაჟს. ოპერატორი—დიღმელოვი,—სცენარი—ა. წუწუნავასი. მთავარ როლებში—ინა ნაზარიშვილი, თამარა ბოლქვაძე, კ. ხინთიბიძე, ს. ფალავანდიშვილი, დ. ძნელაძე, დ. ჩხეიძე; მელიავა; კ. ერისთავი; კ. ანდრონიკაშვილი; ვ. ტრაპაიძე და სხ.

„ახალგაზრდა მფრინავი“

რეჟისორ ნ. კახიძემ დაასრულა საბავშვო სურათი „ახალგაზრდა მფრინავი“. ოპერატორი—პოზნანი, მთავარ როლში—გოგი რატიანი.

„დღე ყარაჩაიში“

ნ. დოლიძემ დაამთავრა ქრონიკა „დღე ყარაჩაიში“ (ორ ნაწილად); ოპერატორი ნოვიცკი და პოლიკევიჩი.

„კორნეტი სტრეშნიოვი“

რეჟისორები მ. ჭიაურელი და ი. ძიგანი ახალციხეში იღებენ სურათ „კორნეტი სტრეშნიოვი“-ს. ოპერატორი —ენგელსი.

„სამანზე“

რეჟისორი ლ. ესაკია ექსპედიციით გაემგზავრა შირაქის ველზე სურათ „სამანზე“-ს გადასაღებად. ასისტენტი—ნ. დოლიძე, ოპერატორი პოზნანი. თემათ აღებულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. კოლექტივიზაციის ცუდი და ნამდვილი გაგება. ტრაქტორი სოფლის მეურნეობაში, კულაკებთან ბრძოლა.

დისპუტი კინო-სურათზე

საქ. პროფსაბჭოს კინო-სალექციო საექსკურსიო ბიურო დღეს, 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე ტრამვაის მუშათა კლუბში აწყობს კინო-სურათის „ალკოჰოლი, შრომა და ჯანმრთელობა“-ს საზოგადოებრივ ჩვენებას.

ჩვენების შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა გამოცვლა.

◆ სურათების გამოფენა პროვინციებში. ქართველ მხატვართა საზოგადოებამ გადასწყვიტა ივლისის პირველ რიცხვებში ქუთაისში და ბათომში მოაწყოს სურათების გამოფენა. ექსპონატების მიღება იწარმოებს 2 ივლისამდე საგამოფენო დარბაზში.

◆ ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბის საზაფხულო ბაღი გაიხსნება დღეს.

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

ველო-გადარბენა

ა. კ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის საბანაკო რაიონში ჩატარდა ველო გადარბენა 30 კილომეტრის მანძილზე. თითეულ რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღო ოთხ-ოთხმა კაცმა. აღრიცხვა სწარმოებდა სამი საუკეთესო მონაწილეს შედეგების მიხედვით.

აღნიშნული დისტანცია ყველაზე ადრე დაფარა **სტეფანოვმა** (საქართველო) რომელმაც მანძილი განვლო 1 საათსა და 18 წუთში. მეორედ მოვიდა **სააკაძე** (საქართველო) დისტანცია დაფარა 1 საათსა და 22 წუთში და 19,6 წამში. მესამედ მოვიდა **გუსიანი** (სომხეთი), რომელმაც დისტანცია დაფარა 1 საათსა, 22 წუთში და 30 წამში.

გუნდების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა საქართველომ, მეორე—სომხეთმა, ხოლო მესამე—აზერბეიჯანმა.

ჭიდაობა

ამ დღეებში ცირკში შესდგა ამიერ-კავკასიის ძალოსნების ცილობა ჭიდაობაში. შედეგები ასეთია:

ბუზის წონა: **მამედოვმა** (აზერბ.) 3 წუთში და 10 წამში დასცა **ვანიანი** (სომხ.);

მჩატე წონა: **ბახშალიევმა** (აზერბ.) 5 წუთში და 30 წამში დასცა **სარკისიანი** (სომხეთი).

საშუალო წონაში—საუკეთესო ჭიდაობას წარმოადგენდა **აკოპოვის** (საქართველო) და **სტეფანიანის** (აზერბ.) შეხვედრა. აკოპოვმა 4 წუთში დასცა მოწინააღმდეგე.

მძიმე წონა: **ჭიჭინაძემ** (საქართველო) 6 წუთში დასცა **მიასნიკოვი**. (აზერბ.),

ჩოგბურთი

ჩოგბურთში ვაჟთა ინდივიდუალურ ცილობაში აზერბეიჯანმა (დანილოვი) დაამარცხა სომხეთი (სარკისიანი) ანგარიშით 6—2, 6—2,

საქართველომ (ნეგრებეცკი) მოუგო მატჩი აზერბეიჯანს (მოსტმანი) ანგარიშით 6—2: 6—1.

ქალთა ინდივიდუალურ ცილობაში აზერბეიჯანი (ნიკოლაევა) უბრძოლველად დანებდა საქართველოს (ა. გომერი) ანგარიშით 4—6, 1—6.

ვაჟთა ჯგუფური ცილობაში საქართველომ (ი. გომერი, რ. ნეგრებეცკი) მატჩი მოუგო აზერბეიჯანს (შკიპერიოვი, შიშენკო) ანგარიშით 6—1, 6—4. სომხეთმა (სარკისიანი, მესხიევი) წააგო საქართველოსთან (ხანგულიანი, ე. ნეგრებეცკი) ანგარიშით 3—6, 2—6, თამაშის კლასის მხრივ სომხეთი იპყრობს ყურადღებას, მაგრამ მოუფიქრებელი თამაშის გამო ის მარცხდება.

ჯგუფურ პირველობაზე ვაჟთა ცილობაში განსაკუთრებული ინტერესით მოელოდენ საქართველოს (ხანგულიანი—ნეგრებეცკის) და აზერბეიჯანის (მოსტმანის, დანილოვის) შეხვედრას, მაგრამ თამაშის დასაწყისშივე გამოირკვა საქართველოს უპირატესობა მოწინააღმდეგეზე. ცილობა დამთავრდა საქართველოს გამარჯვებით,—ანგარიშით 6—4, 6—2. საქართველომ (ი. გომერი, რ. ნეგრებეცკი) მოუგო აგრეთვე სომხეთს (რ. სარკისიანი, არშ. სარკისიანი) ანგარიშით 6—0, 6—4. განსაკუთრებით საინტერესო იყო 14 წლის არშ. სარკისიანის თამაში, რომელიც დიდ იმედებს იძლევა.

აზერბეიჯანის (მოსტმანი—დანილოვი) შეხვედრა სომხეთთან (არშ. სარკისიანი. მესხიევის) დამთავრდა აზერბეიჯანის გამარჯვებით 6—1, 6—4.

სტეფანოვი

რომელმაც ამიერ-კავკასიის პირველობა აიღო ველოგადარბენაში 30 კილომეტრის მანძილზე. დისტანცია დაფარა 1 საათსა და 18 წუთში.

შერეულ ჯგუფურ ცილობაში საქართველომ (ა. გომერი, ს. ნეგრებეცკი) დაამარცხა აზერბეიჯანი (ნიკოლაევა—მოსტმანი) ანგარიშით 6—4, 6—4.

ამრიგად, ჩოგბურთში ყველა რესპუბლიკებიდან გამარჯვებული გამოდის საქართველო.

რბენა ხელოვნურ დაბრკოლებებით

ხუთშაბათს, 28 ივნისს ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის საბანაკო რაიონში გაიმართა ცილობა ხელოვნურ დაბრკოლებებით რბენაში 400 მეტრის მანძილზე. მონაწილეობა მიიღო 4 გუნდმა, მათ შორის ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა გუნდმა კონკურსის გარეშე.

პირველი ადგილი დაიკავა საქართველომ. დისტანცია დაფარა 3 წუთში და 10,8 წამში, მეორე ადგილი შეხვდა სომხეთს. დისტანცია დაფარა 3 წუთში და 24,5 წამში, მესამე ადგილი დაიკავა აზერბეიჯანმა, რომელმაც დისტანცია დაფარა 4 წუთში. საუკეთესო შედეგს ხელოვნური დაბრკოლებებით მიაღწია ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა გუნდმა.

კალათბურთი

ხუთშაბათს, 28 ივლისს, დინამოს სტადიონზე გაიმართა ცილობა საქართველოს და სომხეთის ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრება მოიგო საქართველომ („სინათლე“) შედეგით 54:11.

აზერბეიჯანის და საქართველოს ქალთა კალათბურთის გუნდებს შორის ჩატარებული ცილობა პირველ ხავტაიმში დამთავრდა უშედეგოთ 7:7. მეორე ხავტაიმში კი უპირატესობა მოიპოვა საქართველომ. ბურთი უმთავრესად აზერბეიჯანის კალათთან იყო. თამაში დამთავრდა საქართველოს გამარჯვებით 21:12

საქართველო-აზერბეიჯანი

დღეს, 30 ივნისს, საღამოს 5 საათზე ლენინის სახ. სტადიონზე გაიმართება საქართველოს და აზერბეიჯანის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. საქართველოდან თამაშობს „დინამო—ა“ აზერბეიჯანიდან—პროფკავშირების ნაკრები გუნდი.

ჭადრაკი

ა.-კავ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეხუთე ტური

მეხუთე ტური აღინიშნა რამოდენიმე ყაიმით. ამ ტურში ვერც ერთმა მაესტრომ (ილინ-ჟენევსკი, მაკაგანოვი და სმიროდსკი). ვერ შესძლო პარტიის მოგება.

გოგლიძე—სმიროდსკი (ლაზიერის პაიკების დებიუტი). გოგლიძე დებიუტშივე გადაიტანა შეტევაზე, მან გაარღვია მოწინააღმდეგის ფრონტი და ძლიერ შეასუსტა უკანასკნელის პოზიცია. სმიროდსკიმ დაუშვა შეცდომა და ჩავარდა უიმედო მდგომარეობაში, რომლის შემდეგ თეთრებმა რამდენიმე ლამაზი სვლით შეავიწროვა შავების მეფე. შამათის მუქარის ქვეშ სმიროდსკიმ დაჰკარგა ფიგურა და დანებდა მოწინააღმდეგეს.

მაკაგანოვი—ტალვიკი (ლაზიერის პაიკების დებიუტი). დებიუტში ტალვიკმა დაუშვა ისეთი შეცდომა, რომ მოსალოდნელი იყო პარტიის წაგება. შემდეგში მან შესძლო მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშების მოგერიება. და ბოლოს საკმაოდ გაიუმჯობესა პოზიცია, მაგრამ 6 საათის ბრძოლით მოქანცული დასთანხმდა მაკაგონოვის წინადადებაზე პარტია დაემთავრებიათ ყაიმით.

ილინ-ჟენევსკი—ავეტისოვი. მიუხედავად მოწინააღმდეგის სუსტი თამაშისა, მაესტრო მაინც ვერაფერს გახდა შავებთან ბრძოლაში. მან დებიუტშივე დაჰკარგა პაიკი, გაირთულა მდგომარეობა და თამაში გადაიყვანა ლაზიერის ენდშპილში; შესაძლებელია თამაშის დამთავრება ყაიმით. პარტია გადადებულია.

მალუნცევი—ებრალიძე (ოთხივე მხედრის დებიუტი). მთელი რიგი ფიგურების გაცვლის შემდეგ პარტია დამთავრდა ყაიმით.

აბრამიანი—კარჩიკიანი. თეთრებმა კომბინაციური სვლით მოიგო ფიგურა და კარჩიკიანი აიძულა დანებებულიყო.

იმენიტოვი—მოტევოსიანი. უკანასკნელის ავადმყოფობის გამო თამაში არ შემდგარა.

როსტოვცევი—ტოტევიანი. უკანასკნელის სვლით როსტოვცევმა დებიუტშივე შესძლო შავების დაჭერა, მოიგო ფიგურა და მოწინააღმდეგე ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში. რამდენიმე სვლის შემდეგ ტოტევიანი დანებდა თეთრებს.

სოროკინი—ბადაი (ფრანგული). სოროკინმა ვერაფერი ვერ გააწყო ბადაისთან, რომელიც გულმოდგინეთ თამაშობდა პარტიის ყაიმით დამთავრებისათვის ფიგურების გაცვლის შემდეგ პარტია დამთავრდა ყაიმით.

მეხუთე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: გოგლიძე+3 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, მაკაგანოვი+4, ებრალიძე+3 ნახ., აბრამიანი+3, მალუნცევი+2 ნახ. და ერთი დაუმთავრებელ, ბადაი+2 ნახ. ტალვიკი+2 და ორი დაუმთავრებელი, როსტოვცევი+1 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, ავეტისოვი+ ნახ. როდსკი+2, იმენიტოვი+1 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, სოროკინი+1 ნახ. და ორი დაუმთავრებელი მოტევოსიანი + ნახ. და ტოტევიანი. 0.

დღეს თამაში არ შესდგება, რადგან შაბათი ჩემპიონატში მონაწილეთა დასასვენებელი დღეა.

მეშვიდე ტური

კვირას, 1-ლ ივლისს, საღამოს 6 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგება მეშვიდე ტური. თამაშობენ: აბრამიანი—იმენიტოვი, ილინ-ჟენევსკი, მოტევოსიანი, მალუნცევი—კარჩიკიანი, სოროკინი—ავეტისოვი, ტოტევიანი—ებრალიძე, მაკაგანოვი—ბადაი, გოგლიძე—როსტოვცევი, სმიროდსკი—ტალვიკი.

ვ. გოგლიძე.

სასამართლო

სეხნიაშვილის და სხვ. საქმე

თბილისის მაზრის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით დაამთავრა ალექსანდრე პავლეს ძე სეხნიაშვილის, ნიკოლოზ ჩერნიშოვის საქმე და პეტრე კიკულის საქმის გარჩევა.

ალექსანდრე სეხნიაშვილი იყო ფოსტა-ტელეგრაფის თბილისის კანტორის ტექნიკური ნაწილის გამგე, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სეხნიაშვილი გულგრილად ეპყრობოდა თავის მოვალეობას, არ აქცევდა ყურადღებას საფოსტო აპარატების თავის დროზე შეძენას, მოვლას და შეკეთებას, მისი გამგეობის დროს იყო აპარატის დაკარგვის შემთხვევა.

ეს ერთი ბრალდებათაგანია, რომელიც წარდგენილი ჰქონდა სეხნიაშვილს.

გარდა ამისა სეხნიაშვილს ბრალდებად წაყენებული ჰქონდა სახაზინო ფულის გაფლანგვა.

როგორც სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, სეხნიაშვილს განჯაში გასაგზავნი აპარატის შესაძენად გამოუწერია 230 მანეთი. ამ თანხიდან სეხნიაშვილს „შემოეხარჯა“ პირადი საჭიროებისათვის 94 მანეთი.

სეხნიაშვილი ამავე დროს ითვლებოდა საბინაო ამხანაგობის მოლარედ. საბინაო ამხანაგობის ფულსაც გაუსინჯა გემო სეხნიაშვილმა და „ჩაატკბარუნა“ 915 მანეთი.

მიადგა კარებზე სეხნიაშვილს „დაუპატიჟებელი სტუმარი“ სახელად რევიზია. „გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას, გიჩვენებო“,—ნათქვამია სეხნიაშვილიც გაიქცა, მაგრამ შორს არ წასულა. მიადგა თავის მეგობარს პეტრე კიკულის, რომელიც შემნახველ სალაროს გამგე იყო იმ დროს.

კიკულიმ მეგობრული ხელი გაუწოდა განსაცდელში მყოფ ამხანაგს და ჩასწერა წიგნში: „შემნახველ სალაროს მიღებული აქვს სეხნიაშვილისაგან შესანახად 915 მანეთი“.

ნამდვილად კი ეს ფული დიდი ხნით ადრე „შეხვილიფებული“ ჰქონდა სეხნიაშვილს.

ყოველივე ეს დადასტურდა გამოძიებით.

სეხნიაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, ხოლო მის ხელის შემწყობს, პეტრე კიკულის—6 თვით. უკანასკნელს სასჯელი შეეცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაენიშნა ორი წელი.

ნიკოლოზ ჩერნიშევი, რომელსაც ბრალად ედებოდა ყალბი ხელწერილის შედგენა სეხნიაშვილის დავალებით, გამართლდა.

ტრაგიკული „სტუმარ-მასპინძლობა“

გაზულ ზამთარში მოქ. შალვა ალმასხანისძე ახალაძე „სტუმრად“ ეწვია სოფლიდან თავის სიძეს მოქ. ნიკოლაიშვილს თბილისში.

ახალაძის სტუმრობა, როდი იყო ხუმრობა. ის სოფლიდან უკანასკნელად „ჩამოხტა“ თბილისში და აქ დაიწყო სამსახურის მოძებნა. როცა სამსახურს უშოვიდა, შემდეგ ბინის მოძებნას შეუდგებოდა ახალაძე, მანამდე კი „იოლად წაეყოლა“ ნიკოლაიშვილის ბინითაც.

ნიკოლაიშვილის ოჯახი შესდგებოდა 9 სულისაგან. 9 სულს კიდევ მიემატა ერთი „სტუმარი“ და ათივეს უნდა ეცხოვრა ორ პატარა ოთახში.

სიძემ დიდი სიამოვნებით, წრფელი გულით კარები გაუღო ცოლის ძმას და მოათავსა ბინაში.

ცოტა „ფეშქეშებიც“ ჩამოუტანა სოფლიდან ახალაძემ და პირველი შთაბეჭდილება ძალიან კარგი დასტოვა.

დატრიალდა სიძე. აქეთ ეცა, იქეთ ეცა და ახალაძე ერთი თვის განმავლობაში მოაწყო საუწყებო მილიციაში.

ნიკოლაიშვილის ოჯახს კიდევ მიემატა ერთი სული. ეს გახლდათ მისი დედა საშა თუხარელისა, რომელსაც ბავშვობისას დიდი მზრუნველობა გაუწევია ნიკოლაიშვილისათვის.

დაიწყო ქალებს შორის მითქმა-მოთქმა. განსაკუთრებული ნერვიულობა დაეტყო დედას, რომელიც ყოველთვის წარბს შეიხრიდა, როცა ახალაძე კარებს შეაღებდა.

„დილას ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი“,—ნათქვამია. დედას შეუერთდა ნიკოლაიშვილის დედაც.

დაიწყო რეპლიკები „სტუმარსა“ და მასპინძელ ქალებს შორის. ახალაძე მაინც განაგრძობდა „სტუმრობას“.

— დავიხუთეთ, გავიგუდეთ, თვითონ უნდა მიხვდეს წასვლა,—ჩაილაპარაკებდენ ქალები ახალაძის გასაგონად.

ახალაძე გამა ედავებოდა, არ შეარჩენდა არც ერთ სიტყვას. ნიკოლაიშვილის ოჯახს უწოდებდა დედამს სამფლობელოს, სადაც „მბრძანებელი“ იყო დედა და „აღმასრულებელი“ სიძის დედა ნინა.

საშინლად გამწვავდა დამოკიდებულება „სტუმარსა“ და ქალებს შორის. დედა უკვე აღარაფერს ზოგავდა, რომ ახალაძე განედევნა ნიკოლაიშვილის ოჯახიდან.

ა. წ. 17 თებერვალს, როცა ჩვეულებრივი ლანძღვა-გინება ჩამოვარდა „სტუმარსა“ და მასპინძელ ქალებს შორის, ახალაძემ დაატაცა ხელი რევოლვერს, გამოუმიზნა ნიკოლაიშვილის დედას და ესროლა.

თუხარელის ქალი მკვდარი დაეცა ძირს ტყვია გავიდა სხეულიდან, მოხვდა ნიკოლაიშვილის დედას და დასჭრა.

ასე ტრაგიკულად დასრულდა „სტუმარ-მასპინძლობა“.

შალვა ახალაძე გაასამართლა თბილისის მაზრის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით.

ახალაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

გერ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

ნ. გუნსასოვს (კამოს ქ., 75), სიმონ მანუჩარიანს (კამოს ქ., 93) მადერს (კამოს ქ., 105), ალ. ილინას (კამოს ქ.), გაჯიევს (პლეხანოვის პრ.,8), კასოვსკაიას (კამოს ქ., 75 ბ), აირაპეტოვებს (ჟორესის ქ., 48), ნ. ატიანს (კამოს ქ., 80), მირზოიანს და ზეიტცს (პასტერის ქ., 6), დავიდოვას და სხვ. (პლეხანოვის ქ., 140), კუზუხიძეს და მეტრეველს (ჟორესის ქ., 56), ტარინს და კროლს (კამოს ქ. 50), ეჯუბოვს (პლეხანოვის პრ. 132), ალექსანდრა ზლობინას (გურამიშვილის ქ., 24), ი. ხოჯაევს (კამოს ქ. 12), ემ გურგენოვს (პლეხანოვის პრ., 116), მ. რიჩის (პლეხანოვის პრ., 115), ავაქოვს (კამოს ქ., 84), ლარიონოვს (კამოს ქ., 83), ივანე გურგენიძეს (საბჭოთა ქ., 16), ანა ალანიას (საბჭოთა ქ., 20), ბარტყულაშვილს (არსენალის ქ., 13), მარიამ გავრიილოვას (ოსიპოვის შეს., 5), შტეინგელს (ოსიპოვის შეს., 12), ნინა ნაცვლიშვილს (მერკვილაძის ქ., 35), დავით არჯევანიძეს (ჩერნიშევის ქ., 7), სუმბათ შარაბაჩევს (აკიმოვის ქ., 32), იოსებ მურადოვს (ახალციხის ქ., 12), სოფიო ხარაზიანს (მეჩნიკოვის შეს., 11), ნოვოსარტოვას (ვასერის ქ., 10), კარაჩიანს (ვასერის ქ., 3), მარიამ გელიაზოვას (ლისაგორის შეს., 8), კირაკოსიანს და დათეშიძეს (ცეტკინის ქ., 66) დავით შალამბერიძეს და მარია იმნაძეს (თამარის ქ., 36), მიხეილ ბუზ-ოღლის (შიო ჩიტაძის ქ., 10), პეტრე შუმანოვს (ორჯონიკიძის ქ., 36), დერზიბაშევს (ჭავჭავაძის ქ., 16), შტურმ-კალმ-ერნესტს (ტრამვაის შეს., 10), ალექსი დავიდოვს (თამარის ქ., 7), არკადი მილოვს (ბესიკის შეს., 6), ტერ-პეტროსიანს (სომხის ქ., 4), ისაკი ბათუაშვილს (ბებელის ქ., 5), აბრამ ტურაშვილს (კალინინის ქ., 90), მზარულს (მესხის ქ., 34), გიორგი ხელიძეს (ყიფიანის ქ., 31), ერმ. ხმელიძეს (ყიფიანის ქ., 46), ი. გოლოვინსკის (ყიფიანის ქ., 33), ა. კორნეევს (ყიფიანის ქ., 34), ასლამაზოვს (ვეძინის ქ., 32), მარტიროსოვს (ვეძინის ქ., 15), რუსიაშვილს (ნინოშვილის ქ., 37), ვედრილსკის (ნინოშვილის ქ., 25), სერგო არუთინოვს (ჭავჭავაძის ქ., 5), ტერ-ავეტისიანს (ცეტკინის ქ., 55), ვარნაზოვს (ნინოშვილის ქ., 21), ზამგურაშვილს (პრიუტის ქ., 27), სოსინს (ორჯონიკიძის ქ., 43), ნიკოლოზ ნაცვალოვს (ორჯონიკიძის ქ., 61), ჩინგალაშვილს და დეკანოზიძეს (ორჯონიკიძის ქ., 62), ლანოვსკის (ნინოშვილის ქ., 13), შერემეტიევს და ხაჩატუროვს (ორჯონიკიძის 40 ბ) ბელოუსოვს და კაჩარიანს (ორჯონიკიძის ქ., 59), ალ. მიტნიკოვს (ორჯონიკიძის ქ.,55), ანა ტერ-დავიდოვას (ნინოშვილის ქ., 26), პოზდნიაკს, ბაქრაძეს და მელქუმოვს (ნინოშვილის ქ., 40), კურცს (ნინოშვილის ქ., 44), ჩიტაშვილს ნინოშვილის ქ., 41 ბ), აჯამოვს და სხვებს (ნინოშვილის ქ., 38), ალფონსკაიას (ნინოშვილის ქ., 31), ექსკუზიანს (ნინოშვილის ქ., 8), კლიუჩარიოვს (სამხედრო ქ., 6), კუნცოვს, არუცევს და მირზოიანს (ორჯონიკიძის ქ., 47), ეკატერინე ბუტულაშვილს (ორჯონიკიძის ქ., 37 ა), ლეშტაევს (ორჯონიკიძის ქ., 33 ბ), კაბიჩიანს (ორჯონიკიძის ქ., 31), ლევანდოვას და კარაპეტიანს (კალინინის ქ., 98), როგაჩოვს (ორჯონიკიძის ქ., 39), ისაევას (რუსთაველის ქ., 41), მნაცაკანოვს (ცეტკინის ქ., 23), გეურქოვს (ორჯონიკიძის ქ., 45), ბეზრუჩკოს (სახანძრო ქ., 3), პოლოსიანს (გრიბოედოვის ქ., 25), სტანიშევსკის (სამხედრო ქ., 11), პრიპუტიევას (ზარიადის შეს., 2).

შემთხვევები

დაჯახება

გუშინ. დილით, ტრამვაის ვაგონი (№ 133. [illegible] 9) შაუმიანის ქუჩაზე დაეჯახა ვსევოლოდ ვოლუკინს და მსუბუქად დააშავა ვოლუკინს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება. ვატმანი ბაგრატ ვართანოვი დაპატიმრებულია.

მოწამვლა

გუშინწინ, დილით, ალუბალის მურაბით მოიწამლა 6 წლის ტარიელ სამხარაძე (მცხ. რუსთაველის პროსპ., 17), სამხარაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში, სადაც იგი მიყვანისას გარდაიცვალა.

ჯიბგირობა

გუშინ, ნაშუადღევს თათოშ საკოვს ვიღაც უცნობმა მუხრანის ქუჩაზე ჯიბიდან ამოაცალა 262 მანეთი და მიიმალა.

ქურდობა

გუშინ გაქურდეს მარო უშვერიძის ბინა (კალინინის ქ., 84), წაღებულია 200 მანეთის ნივთები.

ჯიბგირების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა: ამბარცუმ მანუკისძე ბრამიანცი, ნიკოლოზ იოსებისძე ღინიკოვი და ზაქარია დავითისძე ამირანი, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

საექსპორტო ღვინის სარდაფი გურჯაანში

საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამშენებლო მიზნებისათვის გამოყოფილია 110.000 მანეთი. საგეგმო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ ეს თანხა გადაიდოს გურჯაანში საექსპორტო ღვინის სარდაფის ასაგებათ: გურჯაანის სარდაფს აშენებს „სოფლის კავშირი“, რომელიც ამ საქმისათვის, გარდა ზემო ნაჩვენებ თანხისა, თავის საკუთარ საშუალებიდან გაიღებს 40.000 მანეთს.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 30 ივნისი

დღეს, 30 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო გაზეთი—ქართულ ენაზე.

კოოპერაცია—მოხს. ქართულ ენაზე.

სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობანი მიმდინარე წელში ქართულ ენაზე.

კულტურული რევოლიუცია და პრესა.—მოხს. რუსულ ენაზე

როგორი პირი უჩანს მოსავალს ამიერ-კავკასიაში—მოხს. რუსულ ენაზე.

გაზ. „ენიკენდ“—თურქულ ენაზე.

კვირეული ცხრილის გადაცემა—რუსულ და ქართულ ენებზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოსვენების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 30 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ოლნა მაჭავარიანი; ესპირა მოვშოვიჩი; ზინა კოსტავა; ივანე ზეკარიძე; ანტონინა ნიკიტინა; ვაზნერ მალხაზიანი; სერგო პოლოსიანი; ოგანეს ასატუროვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ჯ. ჯაშიაშვილი; ლავრენტი ტოგონიძე; ელისო ჩიკვაიძე; რიფსიმე გაბელაშვილი; თ. ნებიერიძე; არტაშეს აიჩუმიანი; მარიამ ნეედუევა; ელენე ბიკოვა; ანნა ჩლენოვა; თამარ გუგუშვილი; ოლღა ჩიხლაძე; ელისაბედ ორაგველიძე; ბარბალე მაჭავარიანი; მარგარიტა ელისაბედაშვილი; გ. ღლონტი; გელიოს ჩორგონიანი; ნინო მიქელაძე; მარინე ინაშვილი; ვლ. ფსანოვიჩი; მარიამ ზარიაშვილი, მარიამ გუკასიანი; ბარბალე ეჯუბოვა; გრიგოლ იოხაძე; ვლადიმერ ქარაშვილი; პარმენ ტორონჯაძე; მიხეილ ჭელიძე; ა. კეკელიძე; დარია ივანოვა; ნადეჟდა პრავედნიკოვა; ვალენტინა ჩუნიკოვა; დარია ლომაძე; ელისაბედ არეშიძე; რამან ანისჩიკი; ვახტ. თაქთაქიშვილი; მიხეილ დიდებულიძე; კალისტრატე შარაშენიძე; ლიდა რაზმაძე; ანნა კუდრიავცევა; ანნა ჭუმბურიძე; სუხანგულოვა და ევგენია პირზოიანი.

მედსექციიდან: ოლღა თარხნიშვილი, თადეოზ მოსიანი; ს. მეგრაბიანი; ელენე დეკანოზიშვილი; თამარ რელაშვილი და ნინო როკიძე.

იურიდიული დახმარება

ი. სამხარაძეს (შორაპნის მაზრა, სოფ. [illegible]) კითხვა:

1923 წელს, შევირთე მახლობელ სოფლის მცხოვრები [illegible] ქვრივი, [illegible] მას შემდეგ შემეძინა ერთი ქალი და ერთი ვაჟი. ამჟამად ვართ სულ 6 სული. ამ ბოლო ხანებში მოხუცი ქალი გადამეკიდა და ცდილობს ჩემს ოჯახიდან გაძევებას. აღნიშნული ოჯახის გარეშე ცხოვრების სახსარი არ მაქვს. გეკითხებით, შეუძლია თუ არა ამ მოხუცს ჩემი გამოსახლება უმიზეზოდ და წილის მიუღებლად და თუ არ შეუძლია, რამდენი მეკუთვნის საერთო ქონებიდან.

პასუხი:

თუ თქვენ კომლს შეადგენთ, უფლება მიწაზე და ქონებაზე გეკუთვნის ყველა, კომლის ყველა წევრს. ასეთ პირობაში გამოსახლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. თუ თქვენ შორის არის უსიამოვნება, ამ შემთხვევაში კომლს თავი უნდა მიანებოს და გადავიდეს კომლიდან დედამთილი, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას აწარმოოს მეურნეობა პირადი შრომით. მაგრამ თუ თქვენ, კომლს არ წარმოადგენთ, მაშინ გამოსარკვევია, ვის საკუთრებას წარმოადგენს ის ქონება, რითაც თქვენ სარგებლობთ. თუ მემკვიდრეობის საფუძველზეა გადმოსული ეს ქონება, თვითეულ მემკვიდრეს ეკუთვნის თანაბარი ნაწილი. თუ კი დედამთილის საკუთრებაა, ამ შემთხვევაში წილი თქვენს ოჯახს არ ერგება. ერთად-ერთი, რაც უკანასკნელ შემთხვევაში თქვენ გერგებათ დედამთილისაგან ისაა, რაც თქვენ მიერ მის ოჯახშია შეტანილი (ფულად ან შრომით).

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 34

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების სახელწოდების შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 30-ის დადგენილებისა და საქართველოს ს.ს.რ. წითელი ჯვრის საზოგადოების დებულების (საქ. ს.ს.რ. კან. კრებ. 1925 წ. № 3, მუხ. 66) სათანადო ნაწილების შესაცვლელად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს ს.ს.რ. წითელი ჯვრის საზოგადოების სახელწოდება „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება“ შეიცვალოს ასე „სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოება“.

2. უფლება მიეცეს სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას სახმარებელ ემბლემად გამოიყენოს წითელი ჯვრისა და წითელ ნახევარმთვარის ნიშანი თეთრ არეზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—
ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—
შ. მათიკაშვილი.

1928 წელი, მაისის 9.
თბილისი — სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. შუმანიკ გაზარიანს, ფრანს, გოფმანს და დავით ჭყონიას გამოცხადდენ საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ამირაძესთან (ოთახი № 43).

ს. ა. ლ. კ. კ. ლენ-რაიკომი აცხადებს ყველა იმ კომკავშირელთა საყურადღებოდ, რომელნიც არიან მიმაგრებულნი მოწაფეთა უჯრედებზე, ლენინის რაიონში და რჩებიან ადგილობრივ, რომ ისინი ვალდებული არიან გამოცხადდენ ორშაბათს, 2 ივლისს—28 წ. საღსრულ 5 საათზე რაიკომის შენობაში (საბჭოთა ქ. № 122).

მშობლები: გრიგოლ და ტერეზი, დები: მარგალიტა, ცაცო, ბაბუა ვასილი, ბებია ტერეზი, ბიძები: ნიკოლოზ, დათიკო, კოწია სამხარაძეები, მამიდები: პილასი, კატო, ბიძა სიმონი, დეიდა ანუშკა ბიწაძეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ მათთვის დაუვიწყარ პატარა

ტარიკოს

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 1-ლ ივლისს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 12 საათზე რუსთაველის ქუჩა № 17. სამოქალაქო პანაშვიდი 30 ივნისს, საღამოს 6 საათზე. 2885

დამწუხრებულნი შვილი პეტრე მეუღლე თამარით, რძალი ანნა, შვილისშვილები: სუსანა, ქეთო, ჩიტო და სიძე ვალერიან კიტია აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 1 ივლისს, დილის 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

მატრონა სვიმონ ბაქრაძის ასული ლანდიას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნის. 1334

მუშათა ცენტრალური კლუბი
დღეს, 30 ივნისს,
დიდი სიმფონიური კონცერტი
სახ. არტისტის მ. ი. ჩერნიახოვსკის გამოსათხოვარი გასტროლი.
სოლისტების ლ. სტუპელის და ე. კაპელნიცკის მონაწილეობით. პროგრამაში: ლისტი, ბახი, ჰუნო, ბეთჰოვენი, ბერლიოზი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ხვალ, 1 ივლისს, კონცერტი მედსანშრომის მუშაკთა კლუბში. ნ. 1331

ფოსტა-ტელეგრაფის ამ.-კავ. ოლქის სამმართველო

1928 წლის 7 ივლისს შუადღის 12 საათზე ქალ. თბილისში
რუსთველის პროსპექტი № 43
ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

356.127 კლიგრ. ქერის, 249.014 კილ. დაპრესილი თივის და 197.776 კილ. დაპრესილი ბზის მიწოდებაზე

1) აღნიშნული საქონლის ჩაბარება და ხარისხის შემოწმება—ფრანკო-საწყობი საფოსტო სადგური.

2) ჩაბარების ვადა 1928 წლის 1 აგვისტოდან 1 იანვრამდე ნაწილ-ნაწილად ყოველთვიურად.

3) საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მაძიებელთა სურვილის მიხედვით, მიწოდება შეიძლება დაყოფილ იქნეს სხვადასხვა ფურაჟის მიხედვით ე. ი. ქერის მიწოდება დაეკისრება ერთს, თივის მეორეს და სხვ.

4) ორგანიზაციები, დაწესებულებები ან კერძო პირები, რომელთაც უნდათ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა გამოცხადდენ ან უნდა შემოიტანონ საჯარო ვაჭრობის დღეს, არა უგვიანეს შუადღის 2 საათისა, თავისი განცხადებები სალერბო მარკებ დაკრული, ღია ან დაბეჭდილ კონვერტებში წარწერით „7 ივლისისი საჯარო ვაჭრობისათვის ამა და ამ ფურაჟზე“, საჯარო ვაჭრობის შესახებ არსებულ ინსტრუქციით შემოღებულ ყველა წესების დაცვით.

5) საჯარო ვაჭრობისათვის შემოტანილ განცხადებებში აღნიშნულ უნდა იქნეს მიწოდების პირობები, ფუთი ქერის, თივის, ბზის ღირებულება და განცხადების შემოტანის მისამართი.

6) როგორც წერილობით, ისე პირად განცხადებებს თვით საჯარო ვაჭრობაზე დართული უნდა ექნეს შემდეგი დოკუმენტები: საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღების პირადობის მოწმობა, ქვითარი ვაჭრობის მონაწილის მიერ აღნიშნულ თანხის 10 პროც. შეტანის შესახებ სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ სალაროში ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს დეპოზიტში, ან დოკუმენტები ამა თუ იმ უძრავ ქონების მფლობელობის შესახებ და ხელწერილი ხელშეკრულების აუცილებლად ხელმოწერის შესახებ. თუ მიწოდების უფლება საჯარო ვარჭრობაში დარჩა განცხადების შემომტანს, და იგი დამტკიცებულ იქნა.

7) სახელმწიფო წარმოებები და რესპუბლიკანური ან საოლქო მასშტაბის კოოპერატიული ორგანიზაციები საწინდარის შემოტანისაგან განთავისუფლებული არიან.

8) კონდიციების და პირობების გაცნობა შეიძლება ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველოს საფოსტო განყოფილებაში—რუსთაველის პროსპ. № 43, ოთახი № 11, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ყოველდღე სამუშაო დღეებში.

ს. ს. რ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხოკომისარიატის რწმუნებულის
მოადგილე ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ყამარაული.
საფოსტო განყოფილების გამგე ცაგარეიშვილი.

ნის. 1336

სახელმწიფო კინოები

აპოლო მინიონი სოლეი	მხატვრული სურათი ორფეხნი (ქარიშხალი) რეჟისორი ივ. პერესტიანი, ოპერატ. ა. დიღმელოვი
განთიადი (ნაძალადევში)	არაჩვეულებრივი ფილმი დიადი გზა
საზაფხულო ეთერი	გრანდიოზული ფილმი ეკატერინე მეორის ეპოქიდან ბულატ ბატირ
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი კეთროვანი ფ. დიუშენის რომანის „ახალგაზრდა მთვარე“-ს მიხედვით.
საზაფხულო პალასი	თავზე ხელაღებული 3 და 4 სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი	მეტად საინტერესო კინო რომანი თავზე ხელაღებული 1 და 2 სერია

ანონსი მალე უცხოეთის ახალი სურათი „მათხოვარი-მაჰარაჯა“ ნ კოლინის მონაწ. 0—26

კინო
დარბაზი
(საზაფხულო)
ორშაბათიდან
2
ივლისიდან
არაჩვეულებრივი ფილმი
მისი
აღმატებულება
რაბინის და გუბერნატორის როლებში
სამხატვრო თეატრის
დამსახ. არტისტი
ლ. ლეონიდოვი
ნ. 1337

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავტრესტი

აცხადებს, რომ ა. წ. 3 ივლისს დილის 10 ს. მის მიერ

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება საცხენო ტრანსპორტი: სამი ცხენი, შესაბამელი მოწყობილება, დროგი, პოვოზკა, ფურგონი და ტაჩკა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, ზემოდაღნიშნული ტრანსპორტი შეუძლია დაათვალიეროს ყოველდღე დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ყველა ცნობების მიღება შეიძლება ტრესტის სამეურნეო ნაწილის გამგესთან, კომუნალური ქ. 82.

ნ. 1313. ტყავტრესტის გამგეობა.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 2 ივლისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 23 დესიმონოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ჩახავა და ხურციას სასადილოს მოწყობილობას მაგიდებს, სკამებს, ქვაბებს, ბოჭკებს და სხვ. შეფასებულს 286 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 19 ივნისის 1928 წ. თარიღით, № 2333 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1335

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 3 ივლისს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 59 ლვინის აღმართზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სარიბეგოვის სასადილოს მოწყობილობას: მაგიდებს, სკამებს, შკაფის არღანს და საყინულეს შეფასებულს 300 მან., სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 19 ივნისის 1928 წ. თარიღით, 2335 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1335

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის კომუნალური განყოფილება

ამით აქვეყნებს ჟიურის გადაწყვეტილებას ქალაქ თბილისში მდ. მტკვარზე ხიდის ასაგებათ გამოცხადებულ კონკურსის შედეგების შესახებ.

პირველი ჯილდო ხვდა პროექტს დევიზით „2 თუ 3“, რომელიც დამუშავებულია პროფ. კ. ს. ზავრიევის, ინჟ. ა. ბ. პატალეევის და სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტის ა. ნ. სლავინსკის მიერ, რომელთაც შეადგინეს პროექტი სააქციო საზოგადოება „სამშენი“-ს დავალებით.

მეორე ჯილდო ხვდა პროექტს დევიზით „საქართველო“, რომელიც დამუშავებულია პროფ. პ. ზ. შჩუსევის, ინჟ. ა. ზ. კრილოვის და აკად. ხუროთმოძღვარის ა. ვ. შჩუსევის მიერ.

მესამე ჯილდო ხვდა პროექტს დევიზით „შოთა“, რომელიც დამუშავებულია ინჟ. ნ. მ. ვინოგრადოვის, ინჟ. ნ. ე. კალმიკოვის, ინჟ. ს. ი. ბოდუნოვის და ხუროთმოძღვარ ა. ვ. ბოდუნოვის მიერ.

ყველა პროექტების გამოფენა გახსნილი იქნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზის ფოიეში შაბათიდან დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე, 30 ივნისის და 1 და 2 ივლისის განმავლობაში.

კომუნალურ განყოფილების გამგე სიხარულიძე.

ნ. 1332

ალმშენებელთა კავშირის წევრების და თბ. მოქალაქეთა საყურადღებოთ

შაბათს 30 ივნისს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია
ალმშენებელთა კავშირის საზაფხულო კლუბის საზეიმო გახსნა (პლეხანოვის პრ. № 65).

საღამოს პროგრამა: 1. კინო, 2. წარმოდგენა, 3. კონცერტი. მოწვეულია საუკეთესო ძალები. ბაღში დაუკრავს სამხედრო-სასულე ორკესტრი. ბაღში მოწყობილია ბუფეტი, ტირი. დაწვრილებით აფიშებში.

2875 2—1 ალმშ. კავშ. ც. გამგეობა.

დასამატებლად სათამასუქო ბლანკების სიისა, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „კომუნისტის“ 288/2033 №-ში. წ. წ. დეკემბრის 20-ს თარიღით, საქ. ფინსახკომისარიატი

ყველას საყურადღებოდ აცხადებს

აწ. მოქმედი ახალი სათამასუქო ბლანკების შემდეგი კუპიურების სიას.

1 მ.	50 კ.	ღირებულების ვალიუტაზე	..	600	მან-დე.
1 „	75 „	„	„	.. 700	„
2 „	25 „	„	„	.. 900	„
3 „		„	„	. 1200	„
3 „	75 „	„	„	. 1500	„
6 „	25 „	„	„	. 2500	„
10 „		„	„	. 4000	„
15 „		„	„	. 6000	„
20 „		„	„	. 8000	„
22 „	50 „	„	„	. 9000	„
37 „	50 „	„	„	. 15000	„
62 „	50 „	„	„	. 25000	„
100 „		„	„	. 40000	„
187 „	50 „	„	„	. 75000	„

ნის. 1329 ფინსახკომი.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-იტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10 13—1

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დავკარგე: მანდატი № 30/2149 საქართველოს ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს მიერ გაცემული სერგო ესტატესძე ტრაპაიძის სახელზე, ჩ. გ. 2880

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 5101 ვარა მედოშვილის სახელზე, ჩ. გ. 2379

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 3603 პავლე კოდუას სახელზე, ჩ. გ. 2883

დაიკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 4 ივ. ის. ნიქობაძის სახელზე, ჩ. გ. 2882

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის № 6-ე სტამბა, კამოს ქ. №